

ანგელოზთა სამყარო მართლმადიდებელი  
ეკლესიის სწავლებით

წინამდებარე წიგნში გადმოცემულია მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება წმიდა უხორცო ძალთა შესახებ. წიგნის პირველი ნაწილი ეძღვნება ზოგადად ანგელოზთა სამყაროსა და ანგელოზთა ცხრა დასის აღწერას. შემდეგ გვიამბობთ ღმრთის შვიდ მთავარანგელოზსა და ზეციურ ძალთა მხედართმთავარ მიქაელზე, აგრეთვე ჩვენი ხსნის მახარობელ გაბრიელზე. აქვე გაიგებთ, თუ როგორ ზრუნავს კაცთმოყვარე ღმრთის მიერ წმიდა ნათლისღებისას დადგენილი მფარველი ანგელოზი ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანზე. წიგნის მეორე ნაწილში მოყვანილია შემთხვევები ეკლესიის ისტორიიდან და წმიდანთა ცხოვრებიდან, თუ როგორ იცავენ წმიდა ანგელოზები ღმრთისმოშიშ ადამიანებს და განუცხადებენ მათ საღმრთო სიმათლეს, განამტკიცებენ წმიდა მოწამეებს ღვაწლში და შეეწევიან ყოველ კეთილმორწმუნე ადამიანს ამ სოფლიდან მარადიულ ცხოვრებაში მიცვალების ჟამს. წიგნში ასევე შეხვდებით უკანასკნელ საუკუნეებში ანგელოზთა მიერ აღსრულებულ სასწაულებს. განსაკუთრებული ადგილი ეთმობა საქართველოსთან დაკავშირებულ ანგელოზთა გამოცხადებებსა და საკვირველებებს. კრებულში თავმოყრილია გაზეთ “მრევლში” სხვადასხვა დროს გამოქვეყნებული მასალები, აგრეთვე სხვადასხვა საეკლესიო თუ ისტორიული წყაროებიდან აღებული სწავლებანი და გადმოცემანი.

*“მრწამს ერთი ღმერთი... შემოქმედი ცათა  
და ქვეყანისა, ხილულთა ყოველთა და არახილულთა” (მრწამსი)*

*“რამეთუ მის მიერ დაებადა ყოველივე ცათა შინა და ქვეყანასა ზედა,  
ხილულნი და არა-ხილულნი, ანუ თუ საყდარნი, ანუ თუ უფლებანი, გინა  
თუ მთავრობანი, გინა თუ ხელმწიფებანი, –  
ყოველივე მის მიერ და მისა მიმართ დაებადა” (კოლას. 1, 16)*

## ანგელოზთა სამყარო და ცხრა დასი ანგელოზთა

### ეს დილის ვარსკვლავები უფლის ანგელოზებია

შემოქმედის გულუხვ მარჯვენას ჩვენს თვალწინ მრავალი საკვირველი მშვენიერება მიმოუფანტავს – მინდორ-ველები, მდელოები და დამწიფებული ყანები, ზურმუხტისფერი ყვავილებით აჭრელბული და ისე მდიდრულად შემოსილი, რომ სოლომონ მეფეც კი არ შემოსილა მთელ თავის დიდებაში, ფრინველების ჭიკჭიკით აღსავსე უღრანი ტყეები, მიუვალი მთები, გაშეშებული ხეობები და თითქოსდა ღრმად ჩაფიქრებული კლდეები, უნაპირო ლურჯი ზღვა აქაფებული და ბობოქარი ტალღებით, სადაც მწვანე ველზე მშვიდად და ნაზად მორაკრაკე წყნარი ნაკადული, ლაღად მფრინავი ტოროლას წკრიალა გალობა, ვარსკვლავებით მოჭედული თვალუწვდენელი ზეცა. ამ უთვალავი ენით უთქმელი მშვენიერებით სავსეა მთელი ქვეყანა. მართლაც, ეკლესიის ერთ-ერთი მოძღვრის აღიარებით, ჩვენ რომ ერთბაშად მოზრდილი და შეგნებული დავიბადოთ და უეცრად ვიხილოთ ყველა ეს მშვენიერება, გონება და გული ამას ვერ დაიტევდა; ჩვენთვის გასაგები ხდება მეფე-მეფსალმუნის აღტაცებული ჰიმნი, რომელიც მან მთელი ამ მშვენიერების შემოქმედს აღუვლინა: “ვითარ განდიდნეს საქმენი შენნი, უფალო, და ყოველივე სიბრძნით ჰქმენ! უფალო, უფალო ჩუენო, ვითარ საკვირველ არს სახელი შენი ყოველსა ქუეყანასა ზედა, რამეთუ ამადღა დიდად შეუნიერებაჲ შენი ზესკნელს ცათა” (ფს. 103, 24; 8, 1).

მაგრამ... რაა ეს ხილული მშვენიერებანი უხილავთან შედარებით! რაა ეს ხილული მშვენიერებანი, თუ არა ანარეკლი, თუ არა აჩრდილი უხილავისა? არის, საყვარელნო, ამ ჩვენს მიერ ხილული ვარსკვლავიანი ზეცის მიღმა არის სხვა ზეცა, სადაც ოდესღაც ატაცებულ იქნა წარმართთა დიდი მოციქული და სადაც მან იხილა და მოისმინა ის, “რომელი თუალმან არა იხილა, და ყურსა არა ესმა, და გულსა კაცისასა არა მოუხდა”. ეს ზეცა ასევე მოფენილია ვარსკვლავებით, მაგრამ ისეთით, რომლებსაც ახლა ჩვენ ვერც კი წარმოვიდგენთ, ვარსკვლავებით, რომლებიც არასოდეს ცვივიან და მუდამ ელვარებენ, დილის ვარსკვლავებით, როგორც წმ. წერილშია ნათქვამი: ღმერთმა დადგა მიწის საძირკვლები და დადო მისი ქვაკუთხედი, როცა გალობდნენ დილის ვარსკვლავები (იოხ. 38, 6-7). ეს დილის ვარსკვლავები უფლის ანგელოზებია.

### ახლა კი ზეცაში, სწორედ ამ ანგელოზებთან წავიდეთ ჩვენი ფიქრებით

საყვარელნო, იცით, გრძნობთ მთელ უფსკრულს ღმრთის მოწყალებისას იმაში, რომ ჩვენთვის, მიწის შვილებისათვის, გახსნილია ზეცა, ჩვენ, ცოდვით დაბნელებულთ, მართლმადიდებელი ეკლესიის საიდუმლოებების მეშვეობით გვენიჭება განათლებული სულიერი თვალეები, რომლებითაც შეგვიძლია ვიხილოთ ზეცის მკვიდრი ღმრთის ანგელოზები. “ამიერითგან, – აღგვეთქვა ჩვენ, – იხილნეთ ცანი განსუმუნნი და ანგელოზნი ღმრთისანი, აღმავალნი და გარდამომავალნი ძესა ზედა კაცისასა” (იოვან. 1, 51). “ზეცა, – აღტაცებით ამბობს ამის შესახებ ერთი მქადაგებელი, – უხილავი სულების ეს ნეტარი სამკვიდრებელი და ჩვენი მომავალი მარადიული საცხოვრებელი, უწინ ძალზე ნაკლებად იყო ცნობილი. ოჰ, მარტო ეს არცოდნა რა მომაკვდინებელი და მტანჯველი იქნებოდა ჩვენთვის! მწუხარების წუთებში, ჭმუნვის საათებში სად გაფრინდებოდა ჩვენი სული? სიკვდილის წუთებში, განშორების საათებში სად ვიპოვიდით ნუგეშს? ან რა იქნებოდა ეს სიცოცხლე, რომელიც სამუდამოდ უნდა დასრულდეს? უმჯობესია, საერთოდ არ იცოცხლო ასე. რა იქნებოდა ეს სიხარული, რომელიც საუკუნოდ უნდა გაქრეს? უმჯობესია, საერთოდ არ იხარო ასე. ახლა, დედამიწაზე ქრისტე მაცხოვრის მოსვლასთან ერთად, მსგავს აზრებს არ შეუძლიათ და არ უნდა შეგვაწუხონ. ახლა ჩვენ გვაქვს ზეცა

– შვებისა და ნუგეშის ქვეყანა, სადაც წუთისოფლის ამოებათაგან ასე ხშირად მიფერინაეთ, რათა დავისვენოთ სულით და დაგმშვიდდეთ გულით; ახლა ჩვენ გვაქვს საუკუნო ცხოვრება და ოდესმე ვიცხოვრებთ ახალი ცხოვრებით, ყველაფერ იმასთან განუშორებლად, რაც ასე ძვირფასი და სანატრელია ჩვენი გულისათვის”.

ღიას. ჩვენ გვაქვს ზეცა, რომელიც ჩვენთვის გაიხსნა ღმრთის ძის პატიოსანი სისხლით, მოელვარე ნათელი, მარადიული ვარსკვლავებით, რომლებიც არასოდეს ქრებიან – ღმრთის ანგელოზებით. ახლა კი ზეცაში, სწორედ ამ ანგელოზებთან წავიდეთ ჩვენი ფიქრებით, ჩვენი გულით და მოვწყდეთ მიწიერ ამოებას.

ზე გვაქვდინ გულნი!

მაღლა მივმართოთ გულის თვალი! მაგრამ... როგორ აღვიდეს იქ დაცემული ადამიანი, როცა ცოდვა მას გამუდმებით ქვემოთ ეწევა? ჩვენს მფარველ ანგელოზს ვთხოვოთ შეწევნა, რომ ზეციური სიკეთისაკენ მივაპყროთ თვალი.

გაფერინდეთ ზეციური სიკეთისაკენ არა ჩვენი ძალებით, არამედ ავიღოთ ღმრთის სიტყვის ფრთები, ეკლესიის ღმრთივანობრივობილ მამათა და მოძღვართა შრომანი და მოწმობანი, გავშალოთ ისინი მთელი მათი სიფართითა და ძალით და ეს ფრთები უთუოდ ზეასწევნენ მარად მერყევ და დაცემად ჩვენს სულს. მაღლა მივმართოთ გულის თვალი! ზე – ანგელოზთა მიმართ – გვაქვდინ გულნი!

## ვინ არიან ანგელოზები?

ანგელოზები... ვინ არიან ისინი? როგორი არსებანი არიან? ბევრნი არიან თუ არა? რას აკეთებენ, როგორ ცხოვრობენ ზეცაში? მყოფობენ თუ არა ისინი როდისმე ჩვენთან მიწაზე?

ვინ არიან ანგელოზები? ყველა ხალხს ყველა დროში ღმერთზე თანდაყოლილ აზრთან ერთად მუდამ ჰქონდა აზრი და ესა თუ ის წარმოდგენა ანგელოზთა სამყაროზე. ჩვენც, თუმცა არ გვინახავს ანგელოზები ხორციელი თვალებით, შეგვიძლია დავხატოთ მათი სახე, შეგვიძლია ვთქვათ, როგორი არსებანი არიან ისინი: ჩვენს სულში ღრმად არის ჩადებული აზრი მათზე; გონებით თითოეულ ჩვენგანს წარმოუდგენია ანგელოზები.

ანგელოზი... ხომ მართალია, რომ, როდესაც ჩვენი ბავშვებით წარმოვთქვამთ ამ სიტყვას, ან გვესმის იგი სხვების ბავშვთაგან წარმოთქმული, ან როდესაც ვფიქრობთ ანგელოზზე, ყოველთვის თვალწინ წარმოგვიდგება რაღაც არაჩვეულებრივად ნათელი, უბიწო, სრულყოფილი, წმიდა, ნაზი და მშვენიერი, რაღაც ისეთი, რისკენაც უნებურად მიისწრაფვის სული, რაც მას უკვარს და თაყვანს სცემს? საერთოდ ყველაფერს, რასაც ქვეყანაზე ვხედავთ წმიდას, ნათელს, უბიწოს, მშვენიერსა და სრულყოფილს, გვჩვევია, ვუწოდოთ ანგელოზის სახელი. მაგალითად, ვუცქერთ სანდომიან ბავშვებს, ვტკბებით მათი მიმნდობი თვალებით, გულუბრყვილო ღიმილით, და ვამბობთ: ”ისინი ანგელოზებივით არიან”, “ანგელოზის თვალები, ანგელოზის ღიმილი აქვთ”. გვესმის ხმაშეწყობილი, გულის ამანუყუბელი გალობა, წკრიალა, ნაზი ხმები, ყურს ვუგდებთ მათ ნაირგვარ მელოდიებს, ხან მშვიდს, ნაღვლიანსა და დამაფიქრებელს, ხანაც მხიარულს, საზეიმოსა და დიდებულს, და ვამბობთ: “თითქოს ზეცაში ანგელოზები გალობენ”. ვსტუმრობთ ოჯახს, რომლის წევრებიც ცხოვრობენ ურთიერთისყვარულით, თანხმობითა და ღოცვით, სადაც ყველაფერი ატარებს რაღაც საკვირველი სიმშვიდისა და მყუდროების ბუჭედს, სადაც სული უნებლიეთ ისვენებს, ვსტუმრობთ ასეთ ოჯახს და ვამბობთ: “ისინი ანგელოზებივით ცხოვრობენ”. ჩვენს მხერას განაკვირვებს რაღაც უჩვეულო სილამაზე და კვლავ ვამბობთ: “ანგელოზებრივი სილამაზეა”. და თუკი გეთხოვენ, დაგვაგალებენ ანგელოზის დახატვას და თუ ფუნჯიც გვიჭრის, როგორ დავხატავთ მას? უთუოდ მშვენიერი ჭაბუკის სახით, თოვლივით სპეტაკ სამოსელში, ნათელი სახით, უბიწო მხერით, თეთრი ფრთებით – ერთი სიტყვით, შევეცდებით დავხა-

ტოტ რაღაც მიმზიდველი, ნაზი, რომლისთვისაც უცხოა მიწიერი და რაიმე გრძნობადი. და რაც უფრო მკაფიოდ აღვბეჭდავთ ჩვენს ნახატზე უცხოობას მიწისაგან, ჰაეროვნებას, სიმსუბუქეს, სულიერებას, უხორცობას, ზეციურობას, ნახატი მით უფრო სრულყოფილი იქნება, მით უფრო მეტ მზერას მიიპყრობს თავისკენ, მით უფრო ცხადად მოაგონებს მის მომზირალთ ზეცის მკვიდრს. მაშასადამე, იმაზე, თუ ვინ არიან ანგელოზები, უწინარეს ყოვლისა გვეუბნება ჩვენი შინაგანი გრძნობა, შინაგანი სულიერი ალლო, ჩვენი შინაგანი უშუალო გამოცდილება.

ჩვენ ანგელოზის სახელს ვუკავშირებთ ყველაფერს, რაც ჩვენთვის ყველაზე ძვირფასი, წმიდა, მიმზიდველი, უბიწო, სრულყოფილი, მშვენიერი და არამიწიერია. ჩვენი შინაგანი მზერის წინაშე ანგელოზი წარმოისახება, როგორც არსება არა ამა სოფლისაგან, სულიერი, ყოველგვარი სიტლანქისა და გრძნობითისაგან თავისუფალი, ერთი სიტყვით, როგორც არსება ზეციური. და რასაც ჩვენი შინაგანი გრძნობა, შესაძლოა, ბუნდოვნად და არც ისე ცხადად გვეუბნება ანგელოზებზე, იმას განსაკუთრებით აშკარად და ნათლად განგვიცხადებს ღმრთის სიტყვა.

### **ამ უნეტარეს და წმიდა მდგომარეობაში იმყოფებიან დღემდე ანგელოზები ზეცაში**

ღმრთის სიტყვა – ეს არის ამბავი ზეციდან და ზეციურის შესახებ. და რაც უფრო ხშირად და გულდასმით წავიკითხავთ მას, მით უფრო ახლობელი გახდება ჩვენთვის ზესთასოფელი, ანგელოზთა სამყარო, მით უფრო ხელშესახებად ვიგრძნობთ მას ჩვენი გულით, მით უფრო მკაფიოდ მოაღწევს ჩვენს შინაგან სმენამდე მისი ძლევის საგალობლები. როგორც სუფთა წყალში აირეკლება მზე და ვარსკვლავებით მოჭედული ზეცა, ისე ღმრთის სიტყვაში – ამ ცხოველი წყლის წყაროში – აირეკლება სულიერი ზეცა – ანგელოზთა სამყარო; ღმრთის სიტყვაში ჩვენ ვხედავთ ანგელოზებს, თითქოსდა ჩვენს წინაშე მდგომარეთ.

ღმრთის სიტყვა გვასწავლის, რომ ანგელოზები თავისი ბუნებით არიან სულები. “განა ყველანი მომსახურე სულები არ არიან, – ამბობს პავლე მოციქული, – მათდა სამსახურად წარმოგზავნილნი, ვინც ხსნა უნდა დაიმკვიდროს?” (ებრ. 1, 14). “გსურს იცოდე, – ამბობს ნეტარი აგუსტინე, – მისი (ანგელოზის) ბუნების სახელი? იგი სულია. გსურს იცოდე მისი თანამდებობა? იგი ანგელოზია. თავისი არსებით იგი სულია, ხოლო საქმიანობით – ანგელოზი”. მაგრამ ანგელოზები არიან სულები, რომლებიც ჩვენი სულის მსგავსად არ არიან შებოჭილი ხორცით, რომელიც ებრძვის სულს, ატყვევებს მას ცოდვის კანონით, ზღუდავს, აბრკოლებს მის სწრაფვას ზეცისკენ და მუდმივად მიწისაკენ ეწევა. ანგელოზები არიან ყოველგვარი ხორციელი ბორკილებისგან თავისუფალი სულები და ხორცის კანონები მათთვის უცხოა. მათ არ ტანჯავს შიმშილი და არ აწუხებს წყურვილი. ამიტომაც მათ არ იციან ჩვენი შეუპოვარი შრომა, რათა მოვიპოვოთ პური არსობისა. “დაიწყეველოს მიწა შენს გამო, ძეძვი და ეკალი აღმოგიცნოს მან. პიროფლიანი ჭამდე პურს” (დაბ. 3, 17-19). ღმრთაებრივი მართლმსაჯულების ეს მრისხანე განაჩენი გამოითქვა მხოლოდ დაცემული ადამიანის მიმართ, ანგელოზებმა კი ბოლომდე უერთგულეს თავის შემოქმედს. ძეძვი და ეკალი არ იზრდება ზეცაში, ოფლით არ ინამება ანგელოზის სახე. ისინი არ თესავენ, არ მკიან, არ აგროვებენ ბედელში, მათ არ ღრღნის ზრუნვა ზვალინდელ დღეზე; ჩვენი ბრძოლა პურისათვის, არსებობისათვის, ამის გამო ჩვენი ურთიერთმტრობა, უთანხმოება, ომები, რისხვა, სიძულვილი, შური უცნობია უხორცო სულებისათვის. მართალია, ისინი განიცდიან შიმშილს და გრძნობენ წყურვილს, მაგრამ არა ჩვენს მტკივნეულ შიმშილს, არა ჩვენს მტანჯველ წყურვილს. მათი შიმშილია განუქარვებელი მოთხოვნილება, გაძღნენ ღმრთაებრივი მშვენიერების ჭვრეტისა და მარადიული სიბრძნის შემეცნების სიტყვებით, გაძღნენ ერთადერთი ცხოველი პურით.

რა ამაღლებული, ჭეშმარიტად ზეციური და უნეტარესი შიმშილია! ანგელოზები ანთებული არიან წყურვილითაც, მაგრამ ასევე ზეციური და ნეტარი წყურვილით – ღმერთთან სულ უფრო და უფრო ახლო თანახიარებისა, ღმრთაობით გამსჭვალვისა და განათლებისა. მათი წყურვილი – ესაა განუქარვებელი მისწრაფება ღმრთისკენ. ამ წყურვილის მცირე მსგავსება არსებობს მიწაზე. ასე არ-წივი ფართოდ გაშლის ძლიერ ფრთებს, ზეაიჭრება და მიფრინავს, მიიწევს სულ მაღლა და მაღლა... იქ, ზეცის სიღრმეში. მაგრამ რაც უნდა მაღლა ავიდეს, ისევე ძირს უნდა დაეშვას. ასევეა ჩვენი გონე-ბაც; ყველაზე დიდი სულიერი დაძაბულობის, შთაგონებისა და ლოცვის წუთებში იგი მბრძანებლურად წყვეტს ხორცის ბორკილებს და არწივის მსგავსად მიისწრაფვის ზეცისაკენ, ჭვრეტს ღმერთს, მისით განიმსჭვალება და მასზე ფიქრობს. მაგრამ ვაი, რომ ჩვენი გონება, მერყევი და ცვალებადი, ზეციური სიმაღლიდან ისევე ძირს ეცემა, ამას ზრახვებზე იმსხვრევა და იფანტება. ანგელოზებთან კი სხვაგვარადაა: მათი გონება განუწყვეტლივ, ნიადაგ მიმართულია ღმრთისკენ, არც ერთი წამით არ განეშორება მას, უკან მობრუნება მან არ იცის. ანგელოზები მტკიცე გონებითა და ურყევი სურ-ვილით ჭვრეტენ ღმრთაებას. ანგელოზები იწვიან ღმრთაებრივი სიყვარულით.

ჭეშმარიტად, რა ღმრთაებრივი, რა უტკბილესი წყურვილია! ასე, ღმრთის განუწყვეტელ ჭვრე-ტაში, მისკენ მუდმივ მისწრაფებასა და ამაღლებაში, მისი განუზომელი დიდებისა და სიდიადის დაუდუმებელ გალობაში ცხოვრობენ ზეცაში ანგელოზები.

ღმრთისკენ თავისი მუდმივი მისწრაფებისა და ამაღლების გზაზე მათ არ იციან არანაირი შე-ჩერება, ზღუდე და დაბრკოლება, არ იციან ამ გზაზე ყველაზე მთავარი, ყველაზე ძირითადი და მძიმე დაბრკოლება – ცოდვა, რომელიც თავისი ბორკილებით წამდაუწუმ ბოჭავს ჩვენი სულის ფრთებს, ზღუდავს მის გაფრენას ზეცაში ღმრთისკენ. ანგელოზებს უკვე აღარ შეუძლიათ შესცოდონ. ნეტარი ავეუსტინეს სწავლებით, ღმერთმა თავდაპირველად ისინი შექმნა ცოდვის ჩადენის შესაძლებლობის მქონენი, შემდეგ სიკეთეში თავისი ნების მუდმივი ვარჯიშით ისინი გადავიდნენ ცოდვის არჩადენის შესაძლებლობის მდგომარეობაში, და ბოლოს, ღმრთის მორჩილებაში განმტკიცებულნი, ღმრთაებრივი მაღლის ძალით იმდენად სრულ-იქმნენ, რომ მიაღწიეს ცოდვის ჩადენის შეუძლებლობის მდგომარეო-ბას.

აი, ამ უნეტარეს და წმიდა მდგომარეობაში იმყოფებიან დღემდე ანგელოზები ზეცაში.

### **სულით და გონებით ადამიანი ანგელოზია**

როგორც უხორცო სულებმა, ანგელოზებმა არ იციან არც ჩვენი სივრცე და არც დრო; მრავალ ძალისხმევასა და სირთულესთან დაკავშირებული ჩვენი გადაადგილების საშუალებანი მათთვის უცხოა. ანგელოზები სწრაფმავალი არიან: ანგელოზი ახლა ერთ ადგილზეა, თვალის დახამხამებაში კი მეორეზე; მათ არ აკავებთ არც კედლები, არც კარები და არც საკეტები. “ისინი, – ასწავლის გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – თავისუფლად მოძრაობენ დიდი საყდრის გარშემო, რადგან სწრაფ-მავალი, ცეცხლოვანი და ღმრთაებრივი სულები არიან და სწრაფად გადაადგილდებიან ჰაერში”. ისინი გადიან ჩაკეტილ კარებში, ხედავენ კედლის მიღმა და არავითარ ციხე-სიმაგრეს, ყველაზე მტკიცეს, მაღალსა და მიუდგომელს, არ ძალუძს შეაკავოს მათი ფრენა.

და არა მარტო თვითონ დაქრიან ასე მსუბუქად ანგელოზები; ანგელოზი თუ ადამიანს მიუახ-ლოვდა, აიყვანს, ასწევს მას თავის ფრთებზე და მამინ ადამიანისთვისაც წყვეტს სივრცე არსებობას; ანგელოზის ფრთების საფარველი მას ყველაზე შორეულ მანძილზე თვალის დახამხამებაში გადააქროლებს. “საქმე მოციქულთა” წმიდა ფილიპე მოციქულზე ასე მოგვითხრობს: “უფლის ან-გელოზმა უთხრა ფილიპეს: ადექი და წადი სამხრეთისაკენ, იმ გზაზე, რომელიც იერუსალიმიდან დაზაში ეშვება... იგი ადგა და წავიდა”. გზაზე ფილიპე შეხვდა ეთიოპელ კაცს, საჭურისს, ეთიოპიის

დედოფლის, კანდაკის დიდებულს, წამოიწყო ამ დიდებულთან საუბარი, მოაქცია იგი ქრისტესადმი და მონათლა. და აი, “როგორც კი წყლიდან ამოვიდნენ, სული წმიდა გადმოვიდა საჭურისზე, ფილიპე კი წარიტაცა უფლის სულმა და საჭურისმა ვედარ დაინახა იგი. ფილიპე კი (მაშინვე) აღმოჩნდა აზოტში” (საქ. 8, 26-40).

კიდევ უფრო საკვირველი რამ არის მოთხრობილი ღმრთის სიტყვაში დანიელ და ამბაკუმ წინასწარმეტყველთა შესახებ. დანიელ წინასწარმეტყველი იმყოფებოდა ბაბილონის ტყვეობაში; ბაბილონელ წარმართთა ხრიკებითა და სიბოროტით იგი მეფის მიერ ჩაგდებულ იქნა ლომებთან ხაროში. ექვსი დღის მანძილზე იყო იგი ხაროში საჭმლის გარეშე, ლომები პირს არ აკარებდნენ წმიდანს, მაგრამ შიმშილი თავს ახსენებდა. იმ დროს იუდეაში ცხოვრობდა ამბაკუმ წინასწარმეტყველი, რომელსაც შეჭამანდი მოეხარმა, კერძში პური ჩაეფშვნა და მინდვრად მიდიოდა, რათა საჭმელი მომკალთათვის მიეტანა. მაგრამ უფლის ანგელოზმა უთხრა ამბაკუმ: “ეგ საუზმე, შენ რომ გაქვს, წაუღე დანიელს ბაბილონში, ლომების ხაროში”. ამბაკუმმა გაკვირვებით წამოიძახა: “უფალო, არც ბაბილონი მინახავს და არც ხარო ვიცი. აიყვანა იგი უფლის ანგელოზმა თმებით და დააყენა ხაროს თავზე, ბაბილონში, თავისი სულის ძალით. ჩასძახა ამბაკუმმა დანიელს და უთხრა: დანიელ, დანიელ! აიღე ეს საუზმე, ღმერთის გამოგზავნილია”. სიხარულით აღსავსე დანიელმა მადლობა შესწირა უფალს: “შენ გამისხენე, ღმერთო, და არ მიატოვე შენი მოყვარული! ადგა დანიელი და ჭამა; ღმრთის ანგელოზმა კი მეყვსეულად დააბრუნა ამბაკუმი თავის ადგილზე”, ისევ იუდეაში (დან. 14, 31-39).

საკვირველია, საოცარია ეს, მეგობრებო!

ჩვენთვის, ხორციით შებოჭილთათვის, უცნაურია, ჩვენთვის, სივრცით შეზღუდულთათვის, გაუგებარია, როგორ შეიძლება, ახლა იმყოფებოდე აქ, და ერთ წამში გადაიქროლო ასობით, ათასობით, ათი ათასობით, მილიონობით ვერსი და აღმოჩნდე ერთბაშად სხვა ადგილას, უცხო ქვეყანაში, სხვა ადამიანებში, გაიგონო უცხო ენა, დაინახო სხვა ბუნება. უცნაურია, მაგრამ არა იმდენად, რომ ჩვენ სრულებით ვერ შევძლოთ ჩვენს გონებაში დავიტიოთ ასეთი სისწრაფე; გაუგებარია, მაგრამ არა იმდენად, რომ ასეთი სისწრაფე პირდაპირ ეწინააღმდეგებოდეს ჩვენს გონებას. ადამიანი, რომელიც ღმრთის სიტყვის თანახმად ბევრად არ არის დამცირებული ანგელოზებზე (ფს. 8, 5), თავის თავში ატარებს ანგელოზთა სისწრაფის შესაძლებლობას. მართლაც, თქვით, განა სწრაფად მოძრავი არ არის ჩვენი სული, განა სწრაფმავალი არ არის ჩვენი გონება? ჩვენი გონების, ჩვენი სულისათვის ხომ ასევე არ არსებობს არავითარი ზღუდე და დაბრკოლება. თვალის დახამხამებაში გონებით შეგვიძლია გადავიქროლოთ ყველაზე უზარმაზარი მანძილები, თვალის დახამხამებაში სულით შეგვიძლია მოვიაროთ სხვადასხვა ადგილები. ის გარემოება, რომ დღეს სულ უფრო ძლიერდება მისწრაფება სივრცის დაპყრობისა, ძლევისა, მისი ათასგვარი, ყველაზე სწრაფმავალი მანქანებით გადაჭრისა, სულ უფრო იზრდება წყურვილი მიწისაგან მოწყვეტისა და ახლად გამოგონებული საჰაერო ხომალდებით, როგორც ფრთებით, მალლა და მალლა გაფრენისა იქ, სადაც ლურჯი ცაა – რას გვეუბნება ეს, თუ არა იმას, რომ ადამიანი ჭეშმარიტად მცირედითაა დაკლებული ანგელოზებზე, რომ მისი სული და გონება სწრაფმავალია, რომ სულით და გონებით ადამიანი ანგელოზია, და ასევე არ არის სივრცით შეზღუდული.

ვაი, რომ ჩვენში მცხოვრებმა ცოდვამ ანგელოზებრივი სისწრაფისადმი ადამიანის ამ მისწრაფებასაც თავისი მძიმე ბეჭედი დაასვა! ჩვენი გონების ანგელოზებრივ სისწრაფეს ცოდვა თავისი მომაკვდინებელი და დამღუპველი შხამით წამლავს: ადამიანი ელვის სისწრაფით კვეთავს უზარმაზარ სივრცეებს, გადაცურავს ზღვებს იმისათვის, რომ რაც შეიძლება სწრაფად გადაიტანოს დაღუპვა და სიკვდილი; ადამიანი ჩიტივით მიფრინავს ზევით და ამ სიმაღლიდან აგდებს ქვემოთ საშინელ დამანგრეველ ჭურვებს.

საყვარელო ძმანო, ვილოცოთ, რომ ჩვენს სულსა და გონებაში ჩადებულმა ანგელოზებრივმა სისწრაფემ სულ უფრო ღრმად გაკვეთოს და გააპოს ჩვენში დამკვიდრებული ცოდვა, ვიშრომით საკუთარ თავზე, რომ ანგელოზივით სწრაფმავალი ჩვენი სული ისწრაფვიდეს ღმრთისკენ, რაც შეიძლება ხშირად მიქროდეს ზეციურ, ანგელოზთა სამყაროსაკენ!

### **“იყავით სრულყოფილნი, როგორც თქვენი ზეციური მამაა სრულყოფილი”**

ჩვენ ვნახეთ, რომ ანგელოზებმა, როგორც უხორცო სულებმა, არ იციან სიერცე. მათ არც ჩვენი დრო იციან. ზეცაში არ არის არც ჩვენი გუშინ, არც დღეს და არც ხვალ ან, უკეთ რომ ვთქვათ, იქ არის მხოლოდ დღევანდელი დღე, მარადიული მყოფობა; ანგელოზებმა არ იციან არც ჩვენი დღეები და ღამეები, არც წუთები და საათები; მათ სამეფოში არც ზამთარია და არც გაზაფხული, არც ზაფხული და არც შემოდგომა ან, უკეთ რომ ვთქვათ, იქ მხოლოდ გაზაფხულია, ნათელი, მხიარული; ანგელოზთა შორის მუდმივი აღდგომაა, განუწყვეტელი დღესასწაული, საუკუნო მხიარულება, – ანგელოზებს, მაცხოვრის თქმით, “ადარც სიკვდილი შეუძლიათ” (ლუკ. 20, 36). პირდაღებული, ბნელი საფლაგი, საფლაგის ქეები და ძეგლები არ აშფოთებენ ანგელოზის მზერას, საფლაგზე აღვლენილი სამგლოვიარო გალობანი არ აწუხებენ მათ სმენას, ჩვენი უკანასკნელი, სულის შემძრავი “მშვიდობით” მათთვის უცნობია, განშორების სიმწარე არ ღრღნის მათ გულებს, სიკვდილი თავისი გამხრწნელი სუნთქვით არ ამახინჯებს ანგელოზის მშვენიერებას.

ცხოვრება, მეგობრებო, მხოლოდ ცხოვრებაა ზეცაში, მარადიული, ნეტარი ცხოვრება ღმერთში და ღმერთთან – “მასშია ცხოვრება” (იოან. 1, 4). გინახავთ ზღვა, ვრცელი და უნაპირო... უმზერ, და არა აქვს მას ბოლო; გონება იკარგება, ვითარცა ქვიშის მარცვალი, ვითარცა მტვრის ნამცეცი, მის თვალუწვდენელობაში. ასევეა ანგელოზთა ცხოვრებაც: იგი უსაზღვროა, არა აქვს მას დასასრული და საზღვარი. ჩვენ დღითიდღე უფრო ვსუსტდებით, ვბერდებით, ვძაბუნდებით, ანგელოზები კი ღმერთთან ყოველი მიახლოების შემდეგ სულ უფრო ახალგაზრდავდებიან, უფრო ძალმოსილი და სრულყოფილი ხდებიან.

ჰოი, ღმრთის ანგელოზნო, რა მადლმოსილ სიმშვიდესა და სიტბოებას ჰგვრის სულს მარტოოდენ ჭკრეტა თქვენი ნეტარი ცხოვრებისა! ზეცის სიმაღლეებიდან მოგვეცით, ჩაგვაწვეთ ამ ცხოვრების თუნდაც ერთი წვეთი ჩვენს გულებში!

ჩვენი გული კი, ძვირფასო ძმანო, ისეა მოწყობილი, რომ შეუძლია ჯერ კიდევ ამქვეყნად შეიგრძნოს ანგელოზთა ცხოვრება. თქვენ იცით, რომ ანგელოზებმა იმიტომ არ იციან დრო და მასთან დაკავშირებული თანდათანობითი დაჭკნობა, სიბერე და სიკვდილი, – რომ ისინი ცხოვრობენ ღმერთში. ადამიანიც, როდესაც იგი ცხოვრობს ღმერთში და ლოცვის საშუალებით შედის მასთან ყველაზე ახლო კავშირში, ასევე წყვეტს დროსთან ანგარიშის გაწევას, ხშირად აბიჯებს მის ზღვარს და მარადისობის ზღურბლს უახლოვდება. დრო მისთვის შეუმჩნეველი ხდება. გადის მრავალი საათი, მას კი ეჩვენება, რომ მხოლოდ რამდენიმე წუთმა მოასწრო გასვლა. ასე ტკბილია ღმერთთან საუბარი! “ღმერთი, – ამბობს წმ. იოანე დამასკელი, – თავის თავში მოიცავს სრულ ყოფიერებას, თითქოსდა ერთგვარ უსაზღვრო ზღვას არსისა”. და ვინც ამ ზღვაში შედის, მის გამოუკვლეველ სიღრმეებში ეშვება, მისთვის ამ სიღრმეებში ქრება წუთები, საათები – მთლიანად დრო, რჩება მხოლოდ მარადისობა, და მარადისობაში – მარადიული ღმერთი.

ღირსი სერგის ლავრის მახლობლად, გეტსამანიის სკიტში მოღვაწეობდა დაწყუდებული ბერი, მღვდელსკემონაზონი ალექსანდრე († 1878წ.), რომელიც გონებით დაუცხრომლად ადასრულებდა იესოს ლოცვას. მისი ყოფილი მოწაფე, შემდგომში იღუმენი, თავად ბრძენი და სულიერ ცხოვრებაში გამოცდილი ბერი, მის შესახებ მოგვითხრობს შემდეგს: “როდესაც ღამისთევით ლოცვაზე მივდიოდი,



შევივლიდი მამა ალექსანდრესთან; იგი ჩემი თანდასწრებით სკამზე დაჯდებოდა. წავიდოდი ლოცვაზე და ღმრთისმსახურების დასრულების შემდეგ ისევ შევივლიდი ბერთან, იგი იმავე ადგილზე იჯდა და ლოცულობდა. როდესაც ხმაურს გაიგონებდა, თავს წამოწევდა, დამინახავდა და გააკვირვებული მკითხავდა: “ნუთუ ღამისთევით ლოცვა დასრულდა? ვფიქრობდი, რომ ეს წუთია, რაც დავჯექი, მაგრამ უკვე ოთხი საათი გასულა, იესოს ლოცვისას დროს ვეღარ ვხედავ, იგი ისე სწრაფად მიდის, გეგონება მიქრისო”.

თუკი აქ დედამიწაზე, დროისა და სიკვდილის სამეფოში, ადამიანი ღმერთთან საუბარში სრულიად ივიწყებს დროს და გამოდის მისი მჩქეფარე მორევიდან, მაშ გესმით, საყვარელნო, თუ ხეცაში, საუკუნო ცხოვრების სამეფოში, რატომ არ არის და არც შეიძლება იყოს დრო? იქ ანგელოზებს მხოლოდ ერთი აქვთ გონებაში, ერთი აქვთ გულში – მარადიული ღმერთი. “მარადისობა, – ამბობს წმ. გრიგოლ ღმრთისმეტყველი, – ისეთი ხანგრძლივობაა, რომელიც მარადიულთან ერთად ვრცელდება, არ იყოფა ნაწილებად, არ იზომება რაიმე მოძრაობით, არც მზის მსვლელობით... მარადისობა არ არის დრო, არც დროის ნაწილი, იგი განუზომელია”.

განუზომელი, უსაზღვრო მცნება მოგვეცა ჩვენც, მეგობრებო: “იყავით სრულყოფილი, როგორც თქვენი ზეციური მამა სრულყოფილი” (მათ. 5, 48).

ღმრთის მარჯვენით გაძლიერებულნი მტკიცედ და განუხრელად იდეით ქრისტე იესოში სულიერი ზრდისა და სრულყოფილების ამ გზაზე და თქვენ მიემსგავსებით ანგელოზებს: მთელი სულით იგრძნობთ, თუ როგორ დაიწყებს თქვენს წინაშე გაუჩინარებას დრო, დღეები, კვირები, თვეები, წლები, და თქვენი თვალთახედვის წინაშე მთელი თავისი დიდებულებითა და უსასრულობით, ვითარცა ანგელოზთა წინაშე, იწყებს გადაშლას მარადისობა... მარადისობა... მარადისობა...

### ასეთი დიდი და უსაზღვრო ანგელოზთა სამყარო

ბევრი არიან ანგელოზები? ისინი გარს ერტყმიან ღმრთის საყდარს ასობით ათასნი (ბევრის ბევრნი) და ათასობით ათასნი. “ვნახე, – მოგვითხრობს დანიელ წინასწარმეტყველი, – რომ დაიდგა ტახტრეწები და დაჯდა ძველი დღეთა... მოედინებოდა ცეცხლოვანი მდინარე და მის წინ გამოდიოდა. ათასის ათასნი ემსახურებოდნენ და ბევრის ბევრნი იდგნენ მის წინაშე“ (დან. 7, 9-10). ბეთლემში შობის წმიდა ღამეს მწყემსებმა იხილეს მრავალრიცხოვანი ზეციური მხედრობა, რომელიც გალობდა: “დიდება მაღალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობა, და კაცთა შორის სათნოება” (ლუკ. 2, 14). როდესაც უფალი იესო ქრისტე შეიპყრეს გეთსიმანიის ბაღში, პეტრე მოციქულმა მოძღვრის დასაცავად მახვილი იშიშვლა და მღვდელმთაერის მონას დაარტყა, უფალმა უთხრა პეტრეს: “თავის ადგილას ჩააბრუნე ეგ მახვილი... თუ გგონია, რომ არ შემიძლია შევევედრო ჩემს მამას, და ახლავე მომგვაროს ანგელოზთა თორმეტი ლეგიონი და უფრო მეტიც” (მათ. 26, 52).

ანგელოზთა ლეგიონები... მრავალრიცხოვანი მხედრობა... ასობით ათასნი და ათასობით ათასნი... ხედავთ, როგორ აღრაცხავს ღმრთის სიტყვა ანგელოზებს? აი რატომ არის ღმრთის სიტყვაში ანგელოზები ვარსკვლავებთან შედარებული (იოხ. 38, 7). ვარსკვლავთა ცქერით შეიძლება დატკბე, განადიდო უფალი, მაგრამ მათი დათვლა შეუძლებელია; ასევე ანგელოზებიც: შეიძლება მათდამი ილოცო, უგალობო, მაგრამ იმის თქმა, თუ რამდენი არიან ისინი, შეუძლებელია. შესანიშნავ აზრებს გამოთქვამს ამის თაობაზე წმ. კირილე იერუსალიმელი: “წარმოიდგინე, – ამბობს იგი, – რა მრავალრიცხოვანია რომაელი ხალხი; წარმოიდგინე, რა მრავალრიცხოვანია ამჟამად არსებული სხვა ხალხები, და მათგან რამდენი გარდაიცვალა ასი წლის მანძილზე; წარმოიდგინე, რამდენი დაკრძალეს ათასი წლის მანძილზე; წარმოიდგინე ადამიანთა სიმრავლე ადამიდან მოყოლებული დღემდე: დიდია მათი რიცხვი, მაგრამ იგი უფრო მცირეა ანგელოზებთან შედარებით. ისინი ოთხმოცდაცხრამეტი

ცხვარია, ადამიანთა მოღვაძე კი – მხოლოდ ერთი ცხვარი; ადგილის სივრცის მიხედვით უნდა ვიმსჯელოთ მის მკვიდრთა მრავალრიცხოვანებაზე. ჩვენს მიერ დასახლებული დედამიწა არის რაღაც გარკვეული წერტილი, რომელიც მდებარეობს ზეცის შუაგულში: ამიტომაც მის გარემომცველ ზეცას იმდენადვე მეტი რიცხვი ჰყავს მკვიდრთა, რამდენადაც მეტია მისი სივრცე; ზეცაში მათი უსასრულო რიცხვია; “ათასნი ათასთანი ჰმსახურებდეს მას და ბევრნი ბევრთანი წარდგომილ იყვნეს წინაშე მისსა” (დან. 7, 10); ეს არა იმიტომ, რომ სწორედ ამდენი იყო ანგელოზთა რიცხვი, არამედ იმიტომ, რომ მეტი რიცხვის გამოთქმა წინასწარმეტყველს არ შეეძლო”.

ასეთი დიდი და უსაზღვრო ანგელოზთა სამყარო!

### **რა ღმრთაებრივი წესრიგი, რა საკვირველი სიმწყობრეა!**

და როგორი წესრიგი, როგორი საკვირველი ჰარმონია, სიმწყობრე და მშვიდობა სუფევს ანგელოზთა სამყაროში მთელი მისი უსაზღვრობისას! ნუ ფიქრობთ, ეძიოთ ანგელოზთა შორის მათი ურთიერთსიყვარულის ჭკრეტისას თანასწორობა ან აღვირახსნილი თავისუფლება, რაც ხშირად მოჰყავთ და ქადაგებენ სრულყოფილების იდეალად, მწვერვალად. არა, ვერაფერ მსგავსს ვერ იპოვით ანგელოზებთან. “იქაც, – შენიშნავს ერთი მღვდელმთავარი, – ერთნი მთავრობენ და წინმდგომარე არიან, სხვები მორჩილებენ და მიმდევრობენ. არსებითი და სრული თანასწორობა არის მხოლოდ ყოვლადწმიდა სამების სამ პირს: მამა ღმერთს, ძე ღმერთს და სული წმიდა ღმერთს შორის”.

ვინმე გვეტყვის, კი მაგრამ რატომ არის განსხვავება, ხარისხები თვით ზეცის მკვიდრთა შორის? ნუთუ ზეცაშიც კი არ შეიძლება წოდებათა და ხარისხთა გარეშე ცხოვრება? ხომ არ შეაქვთ ხარისხებსა და წოდებებს ანგელოზთა ცხოვრებაში გარკვეული უთანხმოება და დისჰარმონია? თუ ზეცაშიც ერთნი მთავრობენ და წინმდგომარე არიან, სხვები კი მორჩილებენ და მიმდევრობენ, ხომ არ ხდება იქაც ის, რასაც ჩვენთან, მიწაზე, თითქმის მუდმივად აქვს ადგილი: მორჩილებაში მყოფთ და მიმდევართ ხომ არა აქვთ შურისა და უკმაყოფილების გრძნობა მთავრობათა და წინმდგომთა მიმართ? ერთი ნაწილის უფრო მაღალი და სხვების უფრო დაბალი მდგომარეობა ხომ არ აყენებს თუნდაც უმცირეს ჩრდილს ანგელოზთა ნათელ ცხოვრებას? ყველა მსგავსი კითხვა იმიტომ გვიჩნდება, რომ მეტისმეტად მივეჯაჭვებთ მიწას, ისე რომ ზეციურზეც ხშირად მიწიერად ვფიქრობთ და ზეცაში გადაგვაქვს ის, რასაც შევეთვისეთ მიწაზე; ამასთან მხედველობიდან სრულიად გვრჩება ყველაზე მთავარი და მკვეთრი განსხვავება ზეცისა მიწისაგან: მიწაზე სუფევს ცოდვა, ზეცაში კი იგი არ არის. სწორედ ცოდვიდან, როგორც ფესვიდან, წარმოსდგება და აღმოცენდება ყოველგვარი არანორმალურობა და გადახრა სიმაღლისა და ჭეშმარიტებისაგან. ამ შემთხვევაშიც ასეა: ხარისხებსა და წოდებებში სხვაობა კი არ წარმოშობს განსხვავებულთა შორის შურსა და უკმაყოფილებას, არამედ ცოდვა ანიჭებს ამოების ცოდვიან ელფერს სხვაობას და თავისი შხამიანი სიმწარით ადავსებს მას, მიწიერი სხვაობა ხშირად წვრილმანი ცუდმედიდობისაგან მომდინარეობს, მისით საზრდოობს და ცოცხლობს; მაღლა მდგომებში შეაქვს ძალაუფლებისმოყვარების, პატივმოყვარეობის, უმოწყალობისა და სისასტიკის გრძნობაც კი დაბლა მდგომთა მიმართ; დაბლა მდგომებში კი აღძრავს დრტვინვას, აძლიერებს პირფერობას, მლიქვნელობას, კაცთმოთნეობას, თვალთმაქცობასა და მამულებლობას. ყოველივე ეს ცოდვის სიმახინჯეებია. ზეცაში შეუძლებელია ეს მოხდეს. ანგელოზთა წოდებანი და ხარისხები თითქოსდა სხვადასხვა ტონებია ერთი და იმავე ჰარმონიისა, სხვადასხვა ფერებია დიდი მხატვრის – შემოქმედის ერთი სურათისა. ანგელოზთა სხვაობა – ესაა სხვაობა ვარსკვლავთა ლურჯ ცაზე, სხვაობა კეთილსურნელოვანი ყვავილებისა მწვანე მღვდლოზე, ანგელოზთა სხვაობა – ესაა სხვაობა ხმებისა ხმაშეწყობილ გუნდში, – სხვაობა, რომელიც ქმნის ჰარმონიას, სილიადესა და სილამაზეს.

საიდან ვიცით, საყვარელნო, ანგელოზთა წოდებებისა და ხარისხების შესახებ? ამის შესახებ გვიამბო მან, ვინც თვითონ თავისი თვალთ იხილა ანგელოზთა წოდებანი და ხარისხები, ვინც თვითონ მოისმინა მათი გულის ამაჩუყებელი გალობა, მათი ძლევამოსილი ჰიმნები – წარმართთა პირველმოციქულმა პავლემ. “ვიცი, – მოგვითხრობს იგი თავის შესახებ, – კაცი ქრისტეში, რომელიც... არ ვიცი, სხეულში, არ ვიცი, სხეულის გარეთ, ღმერთმა იცის, – ატაცებულ იქნა მესამე ცამდე... სამოთხეში და ისმენდა გამოუთქმელ სიტყვებს, რომელთა გამოთქმა ნებადართული არა აქვს ადამიანს” (2 კორ. 12, 2-4). ნებადართული არა აქვს იმიტომ, რომ ვერ გაუძლებს გული, ვერ დაიტევს გონება. ამიტომაც არ შეეძლო პავლემ მოციქულს ვინმესთვის გამოეთქვა მის მიერ ზეცაში მოსმენილი სიტყვები. მაგრამ თუ როგორია ანგელოზთა ცხოვრების წესი, როგორი ხარისხებია მათ შორის – ყოველივე ამის შესახებ მოციქულმა მოუთხრო თავის მოწაფეს, რომელიც მან ათენში ყოფნისას წარმართობიდან ქრისტესაკენ მოაქცია. პავლეს ამ მოციქულის სახელია დიონისე არეოპაგელი (იგი იყო არეოპაგის, ათენის უმაღლესი სასამართლოს წევრი). დიონისემ ყველაფერი, რაც კი პავლესგან მოისმინა, ჩაიწერა და შეადგინა წიგნი: “ზეციური იერარქიის შესახებ”.

ანგელოზთა სამყაროს მოწყობას ეს წიგნი შემდეგი სახით წარმოგვიდგენს: ყველა ანგელოზი იყოფა სამ წოდებად, თითოეულ წოდებაში კი სამი დასია.

პირველ წოდებაში სამი დასია. პირველი დასი – სერაბიმნი; მეორე დასი – ქერუბიმნი; მესამე დასი – საყდარნი.

შემდეგ მოდის მეორე წოდება: მასში ასევე სამი დასია. პირველი დასი – უფლებანი; მეორე დასი – ძაღნი; მესამე დასი – ხელმწიფებანი.

და ბოლოს, მესამე წოდება; მასში შემდეგი სამი დასია: პირველი დასი – მთავრობანი; მეორე დასი – მთავარანგელოზნი; მესამე დასი – ანგელოზნი.

ამგვარად, თქვენ ხედავთ, რომ ყველა ანგელოზი იყოფა სამ წოდებად და ცხრა დასად. ასეც ამბობენ: “ანგელოზთა ცხრა დასი”. რა ღმრთაებრივი წესრიგი, რა საკვირველი სიმწიფობრეა! ვერ ამჩნევთ, საყვარელნო, ანგელოზთა სამყაროს მოწყობაში აშკარა ანაბეჭდებს თავად ღმრთაებისა? ღმერთი ერთია, მაგრამ სამპიროვანი. შეხედეთ: ანგელოზთა სამყაროშიც ბრწყინავს სამ-მზის ნათელი. და შენიშნეთ, რა მკაცრი თანმიმდევრობაა, სამთა რა საკვირველი განლაგებაა, სამთა ერთობა: ერთი წოდება და სამი დასი; კვლავ ერთი წოდება და სამი დასი; და კვლავ ერთი წოდება და სამი დასი. რა არის ეს, თუ არა ნათელი გამოხატულება წმიდა სამებისა, თუ არა ღრმა კვალი სამერთიანი ღმრთისა? ერთი ღმერთი – ერთი წოდება; სამი პირი – სამი დასი. შემდეგ ისევე გამეორება, გაძლიერება, ღმრთაებრივი განმრავლება: ერთი წოდება, ერთი წოდება, ერთი წოდება – ერთი ადგილია სამჯერ; დასნი: სამი, სამი, სამი – გამოდის: სამჯერ სამი. ასეთი განმრავლება, გამეორება, თითქოსდა ხაზგასმა ხომ არ აღნიშნავს იმას, რომ სამ-მზიანი ნათლის ბრწყინვალეობა განსაკუთრებით უხვად ეფინება ანგელოზთა სამყაროს, რომ სამერთიანი წყაროს მარადმყოფადი ცხოვრება ზეციურ ძალებში მოედინება უწყვეტ, უხვ, განმრავლებულ ნაკადად.

დიას, ღრმა და მიუწვდომელია სამიპოსტასიანი ღმრთაების საიდუმლო, – მხოლოდ ღმრთის სულმა უწყის ღმრთის სიღრმენი; ღრმა და მიუწვდომელია ანგელოზთა სამყაროს სამრიცხოვანების საიდუმლოც – თავად ანგელოზებიც ვერ წვდებიან მას სრულიად. ჭეშმარიტად, “ღიდ ხარ შენ, უფალო, და საკვირველ არიან საქმენი შენნი, არცა ერთი სიტყვა კმა არს გალობად სასწაულთა შენთა!”

ახლა უფრო ყურადღებით შევჩერდეთ ანგელოზთა თითოეულ დასზე.

## სერაბიმნი

ყველა ზეციურ დასს შორის სერაბიმნი ყველაზე ახლოს დგანან ღმერთთან; ისინი პირველი მონაწილენი არიან ღმრთაებრივი ნეტარებისა, პირველი გაბრწყინდებიან ღმრთაებრივი ღიადების ნათლით. და რაც ყველაზე მეტად აოცებს მათ ღმერთში, ესაა მისი უსასრულო, მარადიული, უსაზღვრო და გამოუკვლეველი სიყვარული. სერაბიმნი მთელი ძალით, ჩვენთვის გაუგებარი მთელი სიღრმით შეიგრძნობენ ღმერთს, სწორედ როგორც სიყვარულს, და ამით უახლოვდებიან თავად კარს, თავად წმიდათა წმიდას იმ “მიუწვდომელი ნათლისა”, რომელშიც ცხოვრობს ღმერთი (1 ტიმ. 6, 16), ამით შედიან ყველაზე მჭიდრო, ყველაზე წრფელ კავშირში ღმერთთან, რამეთუ თვითონ ღმერთი სიყვარულია: “ღმერთი სიყვარული არს” (1 იოვან. 4, 8).

ოღესმე გიცქერიათ ზღვისათვის? უცქერ, უცქერ მის თვალუწვდენელ შორეთს, მის უსაზღვრო სივრცეს, ფიქრობ მის უძირო სიღრმეზე და... მთელ არსებას რაღაც წმიდა თრთოლვა და შიში ეუფლება; გსურს პირქვე დაეცე და დაიმალო ღმრთის ცხადად შესაგრძნობ, უსასრულო სიდიადის წინაშე, რომელიც ზღვის თვალუწვდენელობაშია გამოხატული. აი რაღაც, თუნდაც ყველაზე სუსტი მსგავსება, ოდნავ შესამჩნევი აჩრდილი იმისა, რასაც განიცდიან სერაბიმნი, როდესაც განუწყვეტლივ ჭვრეტენ განუზომელ, გამოუკვლეველ ზღვას ღმრთის სიყვარულისა.

ღმერთი-სიყვარული “ცეცხლია შემწველი” და სერაბიმნი, რომლებიც მუდმივად წვდებიან ამ ცეცხლოვან ღმრთაებრივ სიყვარულს, ყველა სხვა დასზე უპირატესად აღივსებიან ღმრთაების ცეცხლით. თავად სიტყვა სერაბიმი აღნიშნავს მგზნებარეს, ცეცხლოვანს; ცეცხლივით მგზნებარე ღმრთაებრივი სიყვარული თავისი გამოუკვლეველი მოწყალებით, თავისი უსაზღვრო ღმობიერებით ყველა ქმნილებისადმი, ყველაზე მეტად კი ადამიანთა მოდგმისადმი, რომლის გულისთვისაც ამ სიყვარულმა თავი ჯვარცმამდე და სიკვდილამდე დაიმდაბლა, სერაბიმებს მუდამ აუწერელ წმიდა თრთოლვას ჰგვრის, თავზარს სცემს, მთელ მათ არსებას ძრწოლით ალავსებს. მათ არ შეუძლიათ გაუძლონ ამ ღიდ სიყვარულს. ორი ფრთით სახეს იფარავენ, ორი ფრთით ფეხებს და ორით ფრინავენ, შიშით, თრთოლვითა და უდიდესი მოკრძალებით მგალობელნი, მხმობელნი, მღაღადებელნი და მეტყველნი: “წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ!”

თავად ანთებულნი ღმრთისადმი სიყვარულით, ექვსფრთიანი სერაბიმნი ამ სიყვარულის ცეცხლს სხვების გულებშიც აღანთებენ, სულს ღმრთაებრივი ცეცხლით განწმედენ, ძალითა და სიმტკიცით ალავსებენ და ქადაგებისთვის აღძრავენ, რათა სიტყვით დაწვან ადამიანთა გულები. როდესაც ძველი აღთქმის წინასწარმეტყველმა ესაიამ უფალი ამალღებულ და ზეამართულ საყდარზე მჯდომარე და სერაბიმებით გარშემორტყმული იხილა, თავის უწმინდურებაზე იწყო ურვა და წამოიძახა: “ვაიმე, დავიღუპე, რადგან ბაგეუწმინდური კაცი ვარ, ჩემმა თვალებმა კი მეუფე, საბაოთ უფალი იხილეს!.. მაშინ, – მოგვითხრობს თავად წინასწარმეტყველი, – მოფრინდა ჩემთან ერთ-ერთი სერაბიმი და ხელში სამსხვერპლოდან აღებული მუგუზალი ეჭირა მაშით. ბაგეზე შემახო და მითხრა: აჰა, შეეხო ეს შენს ბაგეს და მოგცილდა უკეთურება, მიტევებულია შენი ცოდვა” (ეს. 6, 5-7).

ჰოი, მგზნებარე სერაბიმნო, ღმრთაებრივი სიყვარულის ცეცხლით განწმიდეთ და აღანთეთ ჩვენი გულებიც, რათა ღმრთის გარდა არ ვისურვოთ არანაირი სხვა სილამაზე; დაე, ღმერთი იყოს ჩვენი გულის ერთადერთი ნუგეში, ერთადერთი სიტკობება, ერთადერთი სიკეთე და სილამაზე, რომლის წინაშეც ფერმკრთალებსა ყოველგვარი მიწიერი მშვენიერება!

## ანგელოზთა მეორე დასი – ქერუბიმნი

თუკი სერაბიმთათვის ღმერთი ცეცხლივით მგზნებარე სიყვარულია, ქერუბიმთათვის ღმერთი მარადმანათობელი სიბრძნეა. ქერუბიმნი განუწყვეტლივ უღრმავდებიან ღმრთაებრივ სიბრძნეს, აქებენ და უგალობენ მას თავიანთ საგალობლებში, ჭკრეტენ ღმრთაებრივ საიდუმლოებებს და თრთოლვით იხრიან ქედს მათ წინაშე. აი რატომ გამოსახავდნენ ძველ აღთქმაში, ღმრთის სიტყვის მოწმობით, ქერუბიმებს აღთქმის კიდობნის თავზე თავდადრეკილს.

“ოქროსგან გამოჭედავ ორ ქერუბიმს, – უთხრა უფალმა მოსეს, – და (კიდობნის) სახურავის ორსავე კიდეზე დაამაგრებ. ერთ ქერუბიმს ერთ კიდეზე დაამაგრებ, მეორე ქერუბიმს – მეორე კიდეზე. თავსხემით ჰქონდეთ ფრთები გადმოშლილი ქერუბიმებს, რომ ფრთებმა დაფარონ სახურავი; პირი ერთმანეთისკენ ჰქონდეთ მიქცეული, სახურავს უნდა დაჰყურებდნენ ქერუბიმები” (გამოსვ. 25, 18-20).

საკვირველი ასახვაა! ასევეა ზეცაშიც: ქერუბიმები ღმობიერებითა და შიშით შეჰყურებენ ღმრთაებრივ სიბრძნეს, წვდებიან და განისწავლებიან მასში, თითქოსდა თავიანთი ფრთებით ფარავენ საღმრთო საიდუმლოებებს, იცავენ მათ, უფროხილდებიან და მოკრძალებით თრთიან მათ წინაშე. ეს მოკრძალება ღმრთაებრივი სიბრძნის საიდუმლოებების წინაშე იმდენად დიდია ქერუბიმებში, რომ ყოველგვარი კადნიერი მაძიებლობა, ყოველგვარი ამპარტავნული მზერა ღმრთის გონებაზე მათ მიერ მაშინვე ცეცხლოვანი მახვილით მოიკვეთება.

გაიხსენეთ ადამიანის ცოდვით დაცემა: ადამმა და ევამ, ღმრთის ნების საწინააღმდეგოდ, კადნიერად იგემეს კეთილისა და ბოროტის შეცნობის ხის ნაყოფი, აღივსნენ გონების ამპარტავნებით და მოისურვეს ყველაფრის ცოდნა ღმრთის დარად; განიზრახეს ჩამოეგლიჯათ ფარდა, რომელიც ფარავდა ღმრთაებრივი სიბრძნის საიდუმლოებებს. და ნახეთ, მყისვე გადმოდის ზეციდან ამ საიდუმლოთა ერთ-ერთი მცველი, ღმრთაებრივი სიბრძნის ერთ-ერთი მსახური – ქერუბიმი და ცეცხლოვანი მბრუნავი მახვილით განდევნის მათ სამოთხიდან. ასე დიდია ქერუბიმთა მოშურნეობა, ასე მკაცრად ეპყრობიან მათ, ვინც ბედავს კადნიერად ჩასწვდეს ზეცის მიუწვდომელ საიდუმლოებებს! გეშინოდეთ, გონებით გამოიკვლიოთ ის, რისიც უნდა გწამდეთ!

თუკი წმ. ბასილი დიდის თქმით, “ბალახის ერთი ღეროც საკმარისია, რათა მთელი ჩვენი გონება დაკავებულ იქნეს იმ ხელოვნების გარჩევით, რომლითაც იგია შექმნილი”, მაშ რაღა ითქმის სიბრძნის იმ უფსკრულზე, რომელიც განცხადებულია ქერუბიმთათვის?

მართლაც, ღმრთის სიმდიდრის, სიბრძნისა და მეცნიერების რა სიღრმეს ხედავენ ქერუბიმთა თვალები! ტყუილად არ იწოდებიან ისინი “მრავალთვალნიანად”. ეს ნიშნავს: ღმრთაებრივი სიბრძნის განუწყვეტელი ჭკრეტით ქერუბიმები თავად არიან ცოდნით აღსავსე, ამიტომაც ისინი ყველაფერს სრულყოფილად ხედავენ და იციან, და ცოდნას აუწყებენ ადამიანებს.

## ანგელოზთა მესამე დასი – საყდარნი

თქვენ, რასაკვირველია, იცით, რა არის საყდარი, რა მნიშვნელობით იყენებენ მას ხშირად ჩვენთან? მაგალითად, ამბობენ, “სამეფო საყდარი” ან “სამეფო ტახტი”, “მეფემ თქვა მაღალი საყდრიდან”. ყოველივე ამით სურთ, აჩვენონ სამეფო ღირსება, სამეფო სიდიადე. ამგვარად, საყდარი განასახიერებს სამეფო სიდიადეს, სამეფო ღირსებას. ზეცაშიც არიან საყდარნი, არა ჩვენი ნივთიერი და უსულო, ოქროს, ვერცხლის, ძვლის ან ხისგან გაკეთებული, რომლებიც მხოლოდ სიმბოლოებს წარმოადგენენ, არამედ გონიერი საყდარნი, ღმრთის დიდების, ღმრთის სიდიადის ცოცხალი მატარებელნი. საყდარნი ანგელოზთა ყველა დასზე უპირატესად შეიგრძნობენ და ჭკრეტენ ღმერთს, როგორც მეუ-

ფეს დიდებისა, მეუფეს მთელი სამყაროსი, მეუფეს, მსჯავრისა და სიმართლის მოქმედს, მეუფეს მეუფებათა, როგორც “ღმერთს დიდს, ძლიერსა და საშინელს” (II რჯულ. 10, 17).

“უფალო, უფალო, ვინ გემსგავსოს შენ? (ფს. 34, 10)... ვინ მსგავს შენდა ღმერთთა შორის, უფალო? ვინ მსგავს შენდა წმიდათა შორის, დიდებული საკვირველ (გამოსვ. 15, 11). დიდ არს უფალი და ქებულ ფრიად, და სიდიდისა მისისაჲ არა არს დასასრულ (ფს. 144, 3)... დიდ არს და არა არს დასრულება, მაღალ და უსაზომო (ბარ. 3, 25)!” ყველა ეს ჰიმნი ღმერთის სიდიადისა მთელი სისხვით, სიღრმითა და ჭეშმარიტებით, გასაგები და მისაწვდომია მხოლოდ საყდართათვის.

საყდარნი არა მარტო გრძნობენ და უგალობენ ღმერთის სიდიადეს, არამედ თვითონაც აღივსებიან ამ სიდიადითა და დიდებით, და სხვებსაც აგრძნობინებენ მას, ადამიანთა გულებში ღვრიან თაჲვანთ აღმავსებელ ტალღებს ღმერთის სიდიადისას და დიდებისას.

არის წუთები, როდესაც ადამიანი ღმერთის სიდიადეს განსაკუთრებული სიცხადით შეიცნობს გონებით და განსაკუთრებული ძალით გრძნობს გულით: ჭეკა-ქუხილი, გაელვება, ბუნების საოცარი ხედები, მაღალი მთები, მიუდგომელი კლდეები, ღმერთისმსახურება რომელიმე შესანიშნავ დიდ ტაძარში – ყოველივე ეს ხშირად ისე შეგვიკრავს სუნთქვას და ისე ჩამოკრავს გულის სიმეზუგ, რომ ადამიანი მზად არის შეთხზას და იგალობოს ქების ფსალმუნნი და საგალობელნი; ღმერთის სიდიადის შეგრძნობისაგან ქრება, იკარგება, პირქვე ეცემა. იცით, საყვარელნო, ამ წმინდა წუთებს ღმერთის სიდიადის ნათელი განცდისას საყდარნი გვანიჭებენ. ისინი თითქოსდა გვაერთებენ თავის განწყობასთან, მის ნაპერწკლებს აგდებენ ჩვენს გულში.

ოჰ, ნეტავ ხშირად გვეწვიონ საყდარნი, ხშირად გარდამოგვივლინონ ღმერთის სიდიადისა და საკუთარი არარაობის განცდა! მაშინ არ აღვიმაღლებდით თავს, არ გაგმედიდურდებოდით ჩვენი გონებით, როგორც არცთუ იშვიათად ვმედიდურობთ და აღვიმაღლებთ თავს, საკუთარი ფასი კი არ ვიცით და თავი ღამის ღმერთად მიგვანინია.

### ანგელოზთა მეოთხე დასი – უფლებანი

უფლებანი... ჩაუფიქრდით ამ სახელწოდებას. ხომ არ გახსენებთ იგი მის მსგავს სხვა სახელს? “უფალი”... აი, უდავოდ საიდან არის ნასესხები “უფლებანიც”. ესე იგი, რომ გავიგოთ, ვინ არიან ეს უკანასკნელნი, საჭიროა გავარკვიოთ, რა მნიშვნელობით ხმარობენ სახელწოდებას – უფალი.

გსმენიათ, რომ ჩვეულებრივ საუბრისას ამბობენ: “სახლის უფალი” ან “ამა და ამ მამულის უფალი”. რისი თქმა სურთ ამით? იმის, რომ კაცს, რომელსაც ჩვენ ვუწოდებთ სახლის ან მამულის უფალს, ხელთ უპყრია თავისი სახლი ან მამული, მართავს მას, ზრუნავს მის კეთილდღეობაზე, განმგებლობს მას – ერთი სიტყვით, კეთილი პატრონია. ღმერთიც იწოდება უფლად იმიტომ, რომ ზრუნავს მის მიერ შექმნილ სოფელზე, განმგებლობს მას, მისი უზუნაესი პატრონია. “იგი, – ამბობს ნეტარი თეოდორიტე, – თვითონაა გემთმშენებელიც და მებაღეც, რომელმაც გაზარდა ნივთიერება. მან ნივთიერებაც შექმნა, გემიც ააგო და მუდმივად მართავს მას საჭით”. ასე რომ, შენიშნავს ეკლესიის სხვა მოძღვარი, “არც მიწაზე და არც ზეცაში არაფერი რჩება ზრუნვისა და განგებულების გარეშე, მაგრამ შემოქმედის მზრუნველობა თანაბრად ვრცელდება ხილულსა და უხილავზე, დიდსა და მცირეზე: რადგან ყველა ქმნილება საჭიროებს შემოქმედის ზრუნვას, ისევე როგორც თითოეული ცალ-ცალკე, თავისი ბუნებითა და დანიშნულებით”. “არც ერთი დღით არ წყვეტს ღმერთი ქმნილებათა განმგებლობის საქმეს, რათა მათ მყისვე არ გადაუხვიონ თავიანთ ბუნებრივ გზებს, რომლებითაც წარიმართებიან იქითკენ, რომ მიადწიონ თავისი განვითარების სისრულეს და თითოეული დარჩეს თავის გვარში იმად, რაც არის”.

აი, სწორედ ღმრთის მიერ ქმნილებებზე ამ უფლობას, მართვას, ამ მზრუნველობასა და განმგებლობას ყველა ხილულსა და უხილავზე, დიდსა და მცირეზე, წვედებიან უფლებანი.

სერაბიმთათვის ღმერთი ცეცხლივით მგზნებარე სიყვარულია; ქერუბიმთათვის – მარად მანათობელი სიბრძნე; საყდართათვის ღმერთი დიდების მეუფეა; უფლებათათვის ღმერთი არის უფალი-განმგებელი. უფლებანი ყველა სხვა დასზე უპირატესად ჭკრეტენ ღმერთს სწორედ როგორც განმგებელს, უგალობენ მის მზრუნველობას სოფელზე: ხედავენ, რომ ხომალდს მისი განგება მართავს, იგი აძლევს მას ზღვაში გზას და ტალღათა შორის საიმედო ბილიკს (სიბრძ. 14, 3), შიშით უმზერენ, თუ როგორ “სცვალებს იგი წამთა და ჟამთა, დაადგენს მეფეთა და გარდაადგენს” (დან. 2, 21). წმიდა აღფრთოვანებითა და ღმობიერებით აღსავსე უფლებანი უღრმავდებიან ღმრთის მრავალგვარ საზრუნავთ: როგორ მოსავს ველის შროშანებს, “რამეთუ არცადა სოლომონ ყოველსა მას დიდებასა მისსა შეიმოსა, ვითარცა ერთი ამათგანი” (მათ. 6, 29), როგორ “შემოსნის ცანი ღრუბლითა და განუმზადის წვიმაჲ ქუეყანასა... აღმოაცენის თივაჲ მთათა და მწუხანე სამსახურებელად კაცთა... მოსცის საზრდელი პირუტყუთა და მართუეთა ყორნისათა, რომელნი ხადიან მას” (ფს. 146, 7-9). განკვირდებიან უფლებანი, რომ ასე დიადი ღმერთი თავისი მზრუნველობით მოიცავს ყველასა და ყოველს; იცავს და თავს ეგლება ბალახის თითოეულ ღეროს, თითოეულ ქინქლას, ყველაზე მცირე ქვიშის მარცვალს.

ჭკრეტენ რა ღმერთს როგორც სოფლის განმგებელსა და აღმშენებელს, უფლებანი ადამიანებსაც ასწავლიან თავისი თავის, თავისი სულის მოწყობას; გვასწავლიან სულისთვის ზრუნვას, მასზე განმგებლობას; ადამიანს ჩააგონებენ, უფლობდეს თავის ვნებებზე, სხვადასხვა ცოდვიან ჩვევაზე, შეზღუდოს ხორცი და გასაქანი მისცეს სულს. უფლებებს შეწვევისათვის ღოცვით უნდა მიმართოს ყველამ, ვისაც სურს, გათავისუფლდეს რაიმე ვნებისაგან, ვისაც სწადია სძლიოს მას, ჩამოსცილდეს ამა თუ იმ მავნე ჩვევას, მაგრამ არ ძალუძს ამის გაკეთება სუსტი ნების გამო. დაე, დადადყოს ამ ადამიანმა: “წმიდაო უფლებანო, განამტკიცეთ ჩემი სუსტი ნება ცოდვასთან ბრძოლაში, შემეწიეთ, რათა ვუფლებდე ჩემს ვნებებზე” და გწამდეს, ამგვარი ღოცვითი მოხმობა არ ჩაივლის უნაყოფოდ და უფლებათა დასი მყისვე შეგეწევა და მოგანიჭებს სიმტკიცეს.

### **ანგელოზთა მეხუთე დასი – ძალნი**

ყველა სხვა დასზე უპირატესად ანგელოზთა ეს დასი ჭკრეტს ღმერთს როგორც მრავალი ძალის ანუ სასწაულის მოქმედს. ძალთათვის ღმერთი სასწაულთმოქმედი. “შენ ხარ ღმერთი მოქმედი სასწაულთა”, – აი, რა არის მათი მუდმივი ქებისა და დიდებისმეტყველების საგანი. ძალნი სწვედებიან იმას, რომ “სადაცა ენებოს ღმერთსა, იძლევის წესი ბუნებათა”. ოჰ, რა აღტაცებელი, რა სახეიმო, რა საკვირველი უნდა იყოს მათი გალობანი! თუ ჩვენც, ხორციითა და სისხლით შემოსილნი, როდესაც ვხდებით ღმრთის რაიმე აშკარა სასწაულის, მაგალითად, ბრმის თვალის ახელის ან უიმედოდ სნეულის განკურნების მოწმე, გვეუფლება ენით გამოუთქმელი აღფრთოვანება და თრთოლვა, გოცება და გულაჩუყება, მაშ რაღა ითქმის ძალებზე, როდესაც მათ მიეცათ, იხილონ ისეთი სასწაულები, რომლებსაც ჩვენი გონება ვერც კი წარმოიდგენს. ამასთან, მათ შეუძლიათ ჩასწვდნენ ამ სასწაულების სიღრმეს, მათთვის განცხადებულია მათი უზენაესი მიზანი.

### **ანგელოზთა მეექვსე დასი – ხელმწიფებანი**

ამ დასში შემავალი ანგელოზები ჭკრეტენ და განადიდებენ ღმერთს, როგორც ყოველადიღიერს, ყოველი ხელმწიფების მქონეს ზეცაში და მიწაზე, ღმერთს საშინელს, “რომელი

მოხედავს ქუეყანასა ზედა და ჰყოფს მას შეძრწუნებულ, რომელი შეახებს მთათა, და კუმოდიან; მთანი ვითარცა ცვილი დადნეს პირისაგან უფლისა”.

მეექვსე დასის ანგელოზები ყველაზე ახლო და მუდმივი მოწმენი არიან ღმრთის ყოვლის-შემძლეობისა, მათ სხვებზე უპირატესად მიეცათ ამის შეგრძნება. ღმრთაებრივი ხელმწიფების მუდმივი ჭკერეცისაგან, მასთან მუდმივი შეხებისაგან ეს ანგელოზები აღივსებიან და განიმსჭვალებიან ამ ხელმწიფებით ისე, როგორც გავარვარებული რკინა განიმსჭვალება ცეცხლით, რის გამოც თავად ხდებიან ამ ხელმწიფების მატარებელნი და ეწოდებთ ხელმწიფებანი. ხელმწიფება, რომლითაც ისინი არიან შემოსილი და აღვსილი, გაუსაძლისია ეშმაკისა და მისი ყველა ლეგიონისათვის, იგი ეშმაკის ლეგიონებს უკუაქცევს ქვესკნელში, უკუნეთში, ტარტაროზში.

აი, რატომ უნდა მოუხმოს ლოცვით ყველა ეშმაკისგან ვნებულმა შეწევნისათვის ხელმწიფებებს. ყველა ეშმაკეულის, ბნელითა და ისტერიით შეპყრობილისა თუ მოჯადოებულისათვის ყოველდღიურად უნდა ვევედროთ ხელმწიფებებს: “წმიდაო ხელმწიფებანო, ღმრთისგან მონიჭებული ხელმწიფებით განდევნეთ მონისა ან მხეველისაგან ღმრთისა (სახელი) მისი მტანჯველი ეშმაკი!”

როდესაც თავს გვესხმის მოწყინების ეშმაკი, ისევე უნდა შევევედროთ ანგელოზთა ამ დასს, რათა თავიანთი ხელმწიფებით განდევნონ იგი. რწმენითა და წრფელი გულით მოხმობისას ხელმწიფებანი არ დააყოვნებენ დასახმარებლად მოსვლას, განაგდებენ ეშმაკს და შეპყრობილ სულს მიანიჭებენ თავისუფლებას, შვებასა და სიმსუბუქეს.

### **ანგელოზთა მეშვიდე დასს შეადგენენ – მთავრობანი, ანუ დასაბამნი**

ეს ანგელოზები ასე იმიტომ იწოდებიან, რომ ღმერთმა მათ მიაბარა მთავრობა ბუნების სტიქიებზე: წყალზე, ცეცხლზე, ქარზე, ცხოველებზე, მცენარეებზე და საერთოდ ყველა ხილულ საგანზე. “სოფლის შემოქმედმა და აღმშენებელმა ღმერთმა, – ამბობს ქრისტიანი მოძღვარი ათენაგორე, – ზოგიერთი ანგელოზი დაადგინა სტიქიებზე, ზეცასა და სოფელზე, და იმაზე, რაც მასშია, და მათ მოწყობაზე”. ჭექა-ქუხილს, ელვას, ქარიშხალს... ყოველივე ამას მართავენ მთავრობანი და წარმართავენ, როგორც სათნოა უფლის ნებისათვის. მაგალითად, ცნობილია, რომ ელვა ხშირად წვაეს მკრეხელებს; სეტყვა ერთ მინდორს დასეტყვავს, მეორეს კი უვნებელს დატოვებს... ვინ აძლევს უსულო და უგონო სტიქიებს ასეთ გონივრულ მიმართულებას? ამას იქმან მთავრობანი.

“ვიხილე, – ამბობს წმ. იოანე ღმრთისმეტყველი, – ანგელოზი ძლიერი, ციდან ჩამომავალი, ღრუბლით შემოსილი, თავზე ცისარტყელით; მისი სახე იყო როგორც მზე... მარჯვენა ფეხი ზღვას დააბიჯა, ხოლო მარცხენა – მიწას. დაიბახა დიდი ხმით, როგორც ლომი ღრიალებს და როდესაც დაიბახა, თავ-თავისი ხმით ალაპარაკდა შვიდი ქუხილი” (გამოცხ. 10, 1-3); იხილა და მოისმინა მოციქულმა იოანემ წყლის ანგელოზიც (გამოცხ. 16, 5), და ანგელოზი, რომელსაც ჰქონდა მთავრობა ცეცხლზე (გამოცხ. 14, 18). “ვიხილე, – მოწმობს იგივე მოციქული იოანე, – დედამიწის ოთხ მხარეს მდგარი ოთხი ანგელოზი, რომელთაც ეპყრათ დედამიწის ოთხი ქარი, რომ არ ექროლა ქარს არც დედამიწაზე, არც ზღვაზე, არც რომელიმე ხეზე... მათ ნება ჰქონდათ მიცემული, ენოთ დედამიწისა და ზღვისათვის” (გამოცხ. 7, 1-2).

მთავრობანი ასევე მთავრობენ მთელ ხალხებზე, ქალაქებზე, სამეფოებსა და ადამიანთა საზოგადოებებზე. მაგალითად, ღმრთის სიტყვაში მოიხსენიება სპარსეთის სამეფოსა და ელინთა სამეფოს თავადი ანუ ანგელოზი (დან. 10, 13-20). მთავრობებს მათზე მინდობილი ხალხები მიჰყავთ უზენაესი კეთილი მიზნებისაკენ, რომლებსაც მიუთითებს და წინასწარ დაუსახავს თავად უფალი; წმ. დიონისე არეოპაგელის თქმით, “ისინი, ვინც ხალისით ემორჩილება მათ, რამდენადაც შეუძლიათ, აჰყავთ ღმერთთან, როგორც თავიანთ დასაბამთან”. ისინი შუამდგომლობენ თავის ხალხს უფლის წი-



ნაშე, – შენიშნავს ერთი მღვდელმთავარი, – ადამიანებს, განსაკუთრებით მეფეებსა და სხვა მბრძანებელთ, ჩააგონებენ ფიქრებსა და განზრახვებს, რომლებიც ეხება ხალხების კეთილდღეობას.

### **მერვე დასი – მთავარანგელოზნი**

ეს დასი, წმ. დიონისეს თქმით, “განწესებულია განსწავლისათვის”. მთავარანგელოზები არიან ზეციური მასწავლებლები. რას ასწავლიან ისინი? ისინი ასწავლიან ადამიანებს, როგორ მოაწიონ თავიანთი ცხოვრება ღმრთის ნების თანახმად.

ადამიანის წინაშე ცხოვრების სხვადასხვა გზაა: არის გზა მონაზვნობისა, გზა ქორწინებისა, არის სხვადასხვა სახის მსახურება. რა აირჩიოს, რა გადაწყვიტოს, რაზე შეჩერდეს? სწორედ ამაში ეხმარებიან ადამიანს მთავარანგელოზები. მათ უფალი უცხადებს თავის ნებას ადამიანის მიმართ. ამიტომ მთავარანგელოზებმა იციან, რა ელის გარკვეულ ადამიანს ცხოვრების ამა თუ იმ გზაზე: რა გასაჭირი, განსაცდელი თუ საცდური; ამიტომაც ისინი ერთი გზიდან ხელს ალებინებენ ადამიანს და მიმართავენ მეორე გზაზე, ასწავლიან სწორი, მისთვის გამოსადეგი გზის არჩევას.

ვინც მერყეობს და არ იცის, რა გზას დაადგეს ცხოვრებაში, მან შეწვევისათვის მთავარანგელოზებს უნდა მოუხმოს, რათა მათ ასწავლონ მას, თუ როგორ უნდა იცხოვროს: “მთავარანგელოზნო ღმრთისანო, ჩვენი განსწავლისათვის თავად ღმრთისგან დადგენილნო, ჩამაგონეთ და მასწავლეთ, რა გზა ავირჩიო, რათა სათნო-ვეყო ჩემს ღმერთს!”

### **ანგელოზთა უკანასკნელ, მეცხრე დასს შეადგენენ ანგელოზები**

ესენი ჩვენთან ყველაზე ახლოს არიან. ანგელოზები აგრძელებენ მთავარანგელოზების დაწყებული საქმეს: მთავარანგელოზები ასწავლიან ადამიანს ღმრთის ნების გაგებას, აყენებენ მას ღმრთის მიერ მითითებულ ცხოვრების გზაზე; ანგელოზებს კი ადამიანი მიჰყავთ ამ გზაზე, ხელმძღვანელობენ, იცავენ მიმავალს, რათა გზას არ გადაუხვიოს, დაუძღვრებულს განამტკიცებენ, დაცემულს ალაღვენენ.

ანგელოზები ჩვენთან ისე ახლოს არიან, რომ ყოველი მხრიდან გარს გვეხვევიან, ყოველი მხრიდან გვიცქერენ, ჩვენს ყოველ ნაბიჯს თვალს ადევნებენ. წმ. იოანე ოქროპირის თქმით, “მთელი ჰაერი სავსეა ანგელოზებით”; ანგელოზები, იმავე მღვდელმთავრის თქმით, “მღვდლის წინაშე დგანან საშინელი მსხვერპლის შეწირვის ჟამს”.

ჩვენი მონათვლის წუთიდანვე უფალი თითოეულ ჩვენგანს ანგელოზთა დასიდან მიუჩენს განსაკუთრებულ ანგელოზს, რომელსაც მფარველი ანგელოზი ჰქვია. ამ ანგელოზს ვუყვარვართ ისე, როგორც ამქვეყნად არავის ძალუძს სიყვარული. მფარველი ანგელოზი ჩვენი მარადიული მეგობარია, უხილავი წყნარი მოსაუბრე, უტკბილესი ნუგეშინისმცემელი. ყოველ ჩვენგანს იგი მხოლოდ სულის ცხონებას უსურვებს; ამისკენ მიმართავს იგი ყველა თავის საზრუნავს. და თუ ხედავს, რომ ჩვენც ვზრუნავთ ცხონებისათვის, უხარია, მაგრამ თუ ხედავს, რომ ჩვენს სულზე უზრუნველად ვჰკივბთ, მწუხარებს.

გსურს, მუდამ იყო ანგელოზთან? გაექეცი ცოდვას და ანგელოზი შენთან დარჩება. ბასილი დიდი ამბობს: “როგორც ფუტკრებს დენის კვამლი და მტრედებს სიმყრალე, ისე ჩვენი ცხოვრების მფარველ ანგელოზს განგვაშორებს სავალალო და მყრალი ცოდვა”. ამიტომ, გეშინოდეს ცოდვის ჩადენის!

შეიძლება თუ არა გავიგოთ, როდის არის მფარველი ანგელოზი ჩვენთან ახლოს და როდის გვცილდება? შეიძლება, ჩვენი სულის შინაგანი განწყობით. როდესაც შენს სულში ნათელია, გულში

– სიმსუბუქე, სიმშვიდე და მყუდროება, როდესაც შენი გონება დაკავებულია ღმერთზე ფიქრით, როდესაც სინანული და ღმობიერება გეუფლება, ეს ნიშნავს, რომ ანგელოზი ახლოა. როდესაც, იოანე კიბისალმწერლის მოწმობით, “რაიმე ლოცვის წარმოთქმისას იგრძნობ შინაგან სიტკბობას ან ღმობიერებას, შეჩერდი. რამეთუ მაშინ მფარველი ანგელოზი შენთან ერთად ლოცულობს”. ხოლო როდესაც შენს სულში შფოთია, გულში – ვნებები, გონება კი ზვიადად მედიდურობს, მაშინ იცოდე, რომ მფარველი ანგელოზი განგეშორა და მის ნაცვლად ეშმაკი მოგიახლოვდა. ჩქარა, ჩქარა მოუხმე მაშინ მფარველ ანგელოზს, დაიხოქე ხატების წინ, პირქვე დაემხე, ილოცე, პირჯვარი გამოისახე, იტირე. მერწმუნე, გაიგონებს შენს ლოცვას მფარველი ანგელოზი, მოვა, განდევნის ეშმაკს და ეტყვის შემფოთებულ სულსა და აღელვებულ გულს: “დადუმდი, შეჩერდი”. და დაისადგურებს შენში დიდი სიმშვიდე.

ჰოი, მფარველო ანგელოზო, მუდამ დაგვიცვე შფოთისაგან ქრისტესმიერ სიმშვიდეში!

ვინმე იკითხავს – რატომ არ შეიძლება, დავინახოთ ანგელოზი და ვისაუბროთ მასთან ისე, როგორც ვსაუბრობთ ერთმანეთთან? რატომ არ შეიძლება, რომ ანგელოზი ხილული სახით გამოგვეცხადოს? იმიტომ, რომ არ შეგვაშინოს, არ შეგვაშფოთოს თავისი გამოცხადებით, რადგან იცის, თუ რა სულმოკლე, მხდალი და გაუბედავი ვართ ყოველივე იდუმალის წინაშე. დანიელ წინასწარმეტყველს ერთხელ ხილული სახით გამოეცხადა ანგელოზი; მაგრამ, ყური დაუგდეთ, რას გვიამბობს თავად წინასწარმეტყველი, რა მოუვიდა მას ამ გამოცხადებისას. “პირველი თვის ოცდამეოთხე დღეს დიდი მდინარის, ტიგროსის პირას ვიყავი. თვალები ავახილე და დავინახე, აჰა, ჩემს წინ სელით შემოსილი კაცი იყო, წელი ოქროთი ჰქონდა შემოსარტყლული. მისი ტანი ტოპაზის მსგავსი იყო, სახე – ელვის მსგავსი, თვალები – ცეცხლის ალის მსგავსი, ხელფეხი – გაპრიალებული სპილენძის მსგავსი. მისი ლაპარაკი კი – მრავალთა ხმის მსგავსი. ვუყურებდი ამ დიდებულ სანახავს; დონე აღარ შემრჩა, სახეზე მკვდრის ფერი დამედო და ძალა ვედარ მოვიკრიბე. მისი ლაპარაკის ხმა შემომესმა და მისი ლაპარაკის ხმის გაგონებისთანავე თავზარდაცემული მიწაზე პირქვე დავემხე. მიწაზე პირქვე ვიყავი დამხობილი და დამუნჯებული. გამტანჯა ამ სანახავმა და ძალა გამომაცალა. აღარც ძალი შემრჩა და აღარც სული მიდგას” (დან. 10, 4-9, 15-17). ანგელოზს დასჭირდა წინასწარმეტყველის საგანგებოდ გამხნელება, რომ იგი შიშისაგან არ მომკვდარიყო. “დანიელმა, – შენიშნავს წმ. იოანე ოქროპირი, – რომელიც აშფოთებდა ლომების თვალებს და ადამიანის სხეულში ჰქონდა ადამიანის ძალაზე აღმატებული ძალა, ვერ გაუძლო ზეცის მკვიდრის ხილვას და უგონოდ დაეცა”. ჩვენ, ცოდვილთ, რა დაგვემართებოდა, უეცრად ჩვენს წინაშე ხილულად ანგელოზი რომ წარმდგარიყო, მაშინ როცა წინასწარმეტყველმაც კი ვერ გაუძლო მის ნათელმოსილ გამოცხადებას!

არა, ანგელოზის გამოცხადება კი არ ვისურვოთ, არამედ ხშირად გონებით და გულით მივმართოთ მას. მფარველ ანგელოზთან კავშირი რომ არ გავწყვიტოთ, აუცილებელია ყოველდღიურად ვილოცოთ მისდამი, დილით, ძილისაგან აღდგომისას, და საღამოთი, ძილად მისვლისას, ვიკითხოთ მართლმადიდებელი ეკლესიის მიერ დადგენილი ლოცვები და ასევე მფარველი ანგელოზის გალობანი.

მადლობა ღმერთს, რომელიც გვიცავს თავისი ანგელოზებით და თითოეულს ანიჭებს ანგელოზს მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარსა და მცველს სულთა და ხორცთა ჩვენთა; დიდება შენდა, კეთილისმყოფელო ჩვენო, უკუნითი უკუნისამდე!

**წმ. მღვდელმთავარი და ახალმოწამე სერაფიმე (ზეზუდინსკი)**

## მთავარანგელოზები

ძმანო, საყოველთაო ურთიერთსიყვარულისა და ნეტარების მიუხედავად ზეცაშიც არ არის ის თანასწორობა, რომელსაც ზოგიერთები, დიდი უგუნურების გამო, ეძიებენ მიწაზე; იქაც ერთნი მეუფეებენ და წინამდგომარენი არიან, სხვანი მორჩილებენ და მიჰყვებიან მათ. არსებით და სრულ თანასწორობას ადგილი აქვს მხოლოდ ყოველადწმიდა სამების სამ პირს: მამა ღმერთს, ძე ღმერთსა და სულიწმიდა ღმერთს შორის.

თუმცა ანგელოზთა რიცხვი უსასრულოდ დიდია, უთვალავი, როგორც გადმოგვცემს წმიდა წერილი, მაგრამ მთავარანგელოზი მხოლოდ შვიდია. რატომ არიან ანგელოზთა მთავარნი მხოლოდ შვიდნი – არც მეტი და არც ნაკლები? ეს საიდუმლოა, რომელიც უწყის ანგელოზთა შემოქმედმა და უფალმა. ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მოკრძალებით შევნიშნოთ, რომ შვიდი წმიდა ციფრია: რადგანაც თუ თვალს მივაპყრობთ მადლის სამეფოს, ვპოვებთ სული წმიდის შვიდ ნიჭს, შვიდ საიდუმლოს. თუ დავაკვირდებით ბუნებას, დავინახავთ სინათლის შვიდ სხივს, ბგერის შვიდ ტონს, შესაქმის შვიდ დღეს და სხვა.

ამ შვიდ უზენაეს სულთაგან წმიდა ეკლესია პირველობას ანიჭებს მიქაელს. “რომელი არს ვითარცა ღმერთი” – აი, რას ნიშნავს მისი სახელი. იგი პირველი აღდგა სატანის წინააღმდეგ, როცა ამ უკანასკნელმა გაილაშქრა ყოვლისმპყრობელი ღმერთის წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, თუ რით დასრულდა ეს პირველი საშინელი ომი – დაცემული ანგელოზი გადმოგდებულ იქნა ზეციდან. მას შემდეგ მთავარანგელოზი მიქაელი დაუღალავად იბრძვის ყოველთა უფლისა და შემოქმედის სადიდებლად, ადამიანთა მოდგმის გადასარჩენად, იგი უძლეველი მეოხია ეკლესიისა და მისი შვილებისა. ამის გამო მას მუდამ მეომრის სახით გამოხატავენ, შუბით ან მახვილით ხელში, რომლის ფეხქვეშ აგდია ურჩხული ანუ ბოროტი სული. თეთრი ბაირადი, რომელიც მისი შუბის წვერს ამშვენებს, აღნიშნავს ანგელოზთა შეუცვლელ სიწმიდესა და ურყევ ერთგულებას ზეციური მეუფისადმი; შუბის დამაგვირგვინებელი ჯვარი კი მიუთითებს, რომ წყვილადის ძალებთან ომი და მათზე გამარჯვება მთავარანგელოზთა მიერ მიიღწევა ქრისტეს ჯვრის ძალით, მოთმინების, მორჩილებისა და თავგანწირვის გზით. მარცხენა ხელში მას უპყრია ფარი სამკუთხედით, რაც წმიდა სამების ყოვლისმხილველობის გამომხატველია. მიქაელ მთავარანგელოზისადმი ღოცულობენ დემონურ ძალთაგან ცდუნების დროს.

ანგელოზთა შორის მეორე ადგილი უკავია გაბრიელს, რომლის სახელიც აღნიშნავს ღმრთის ძალასა და სიმტკიცეს. ეს მთავარანგელოზი მონაწილეობს ადამიანთა ცხოვნების საქმეში, როგორც ღმრთის ყოვლისშემძლეობის მახარობელი და მსახური. როცა ღმრთის ძალა უნდა განცხადებულიყო ღრმად მოხუც მშობელთა მიერ ქრისტეს წინამორბედის საკვირველ ჩასახვაში, უწყება ჩასახვისა დაეკისრა გაბრიელს. როცა უნდა აღსრულებულიყო თავად ღმრთის ძის უთესლოდ ჩასახვა, კეთილი ამბის ხარების პატივი კვლავ წილად ხვდა გაბრიელს. ღმრთივგანბრძნობილი მამების აზრით, იგივე მთავარანგელოზი იყო გამოგზავნილი, რათა განემტკიცებინა მაცხოვარი გეტსამანიის ბაღში და ემცნო ღმრთისმშობლისათვის მისი ყოვლადპატიოსანი მიძინების მოახლოება. ამიტომაც, წმიდა ეკლესია მას სასწაულთა მსახურად მოიხსენიებს. გაბრიელ მთავარანგელოზს გამოსახავენ შროშანით, ზოგჯერ კი პალმის რტოთი ხელში. შროშანი – ხარების, სიწმინდისა და უმანკობის სიმბოლოა, პალმის რტო კი ცოდვებსა და ვნებებზე გამარჯვებისა. ხშირ შემთხვევაში ეკლესია წმიდა გაბრიელს გამოსახავს სამოთხის რტოთი ხელში, რომელიც მან მიართვა ღმრთის დედას, ზოგჯერ კი მარჯვენა ხელში ლამპრით, რომლის შიგნითაც ანთია სანთელი, ხოლო მარცხენაში – იასპის ქვის სარკით. გამოსახავს სარკით, რამეთუ გაბრიელი არის ადამიანთა მოდგმის ცხოვნებისათვის ღმრთის განჩინებათა მაცნე; გამოსახავს სანთლით ლამპარში, რამეთუ ღმრთის განგებანი დაფარულია მათი აღსრულების

ჟამამდე, და თვით აღსრულების შემდეგ განეცხადება მხოლოდ მათ, ვინც დღემუდამ იყურება ღმრთის სიტყვისა და საკუთარი სინდისის სარკეში.

რაფაელი ანუ ღმრთის შეწევნა და კურნება, მესამე მთავარანგელოზის სახელია – ძვირფასი და ახლობელი ყველა ტანჯული ადამიანისათვის. მთავარანგელოზ რაფაელს გამოსახავენ ფიალით ხელში, რაც ზეციურ კურნებათა და ღმრთის წყალობის სიმბოლოა. ზოგჯერ კი მას მართალი ტობითის ვაჟთან, ჭაბუკ ტობიასთან ერთად გამოსახავენ. ტობია სათნო-ვეო უფალს იმით, რომ ბაბილონში ჩუმად მარხავდა უსამართლოდ წამებულთა ცხედრებს, რითაც საკუთარ სიცოცხლეს საფრთხეში აგდებდა. ამისათვის უფალმა მას გამოუგზავნა მთავარანგელოზი, რომელმაც სიხარული და ღმრთის კურთხევა მოუტანა მის ოჯახს. წმიდა წერილში არის წიგნი, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ გამოეცხადა ეს მთავარანგელოზი ადამიანის სახით მართალ ტობიას, თან ახლდა მას შორეულ გზაზე, ბოროტი სულისაგან გაათავისუფლა მისი საცოლვე, დაუბრუნა თვალისჩინი მის მხცოვან მამას, ტობითს, და შემდეგ ამაღლდა ზეცად. ამის გამო მეტად საგულისხმოა ტობითის ოჯახთან გამომშვიდობების ჟამს მის მიერ წარმოთქმული სიტყვები: “სიკეთეა ლოცვა მარხვით, მოწყალებითა და სიმართლით... მოწყალება ხომ სიკვილისგან იხსნის კაცს და განწმენს ყოველგვარი ცოდვისაგან... არ დაფარულა ჩემთვის შენი სიქველე, არამედ მეც შენთან ვიყავი” (ტობ. 12, 8-9, 13). ამიტომაც, თუ ვისმე სურს, ღირსი გახდეს წმიდა რაფაელის ზეციური შეწევნისა, მას უწინარესად თავად ჰმართებს იყოს გაჭირვებულთა მოწყალებელი. მთავარანგელოზ რაფაელს მიმართავენ სასიკვდილო სნეულებათა დროს, შორეულ, უცხო ქვეყანაში ყოფნისას, მძიმე მწუხარების, უიმედობისა და სასოწარკვეთილების ჟამს.

მეოთხე მთავარანგელოზს გამოსახავენ ცალ ხელში მახვილით, ხოლო მეორეში ცეცხლით; მისი სახელია ურიელი, ესე იგი ღმრთის ნათელი ანუ ცეცხლი. იგი ბერ-მონაზონთა და ღმრთისმეტყველთა მფარველად ითვლება. როგორც ნათლის ანგელოზი, იგი განანათლებს ადამიანთა გონებას მათთვის სასარგებლო ჭეშმარიტებათა გამოცხადებით; როგორც ღმრთაებრივი სიყვარულის ანგელოზი, იგი გულს ღმრთისადმი სიყვარულით აღანთებს და წარხოცავს მასში წუთისოფლის არაწმიდა მიდრეკილებებს. ასე რომ, ეს თქვენი მთავარანგელოზია, მეცნიერებებს მიჯაჭვულად ადამიანებო! არ დაგავიწყდეთ, რათა მის მსგავსად იყოთ მსახური არა მხოლოდ ჭეშმარიტების ნათლისა, არამედ ღმრთაებრივი სიყვარულის ცეცხლისა. “ცოდნა აამპარტავნებს, სიყვარული კი აშენებს” (I კორ. 8, 1).

მთავარანგელოზი ურიელი მონანულთა მფარველიცაა. გადმოცემით, იგი ადამთან და ევასთან ერთად ლოცულობდა მათი სამოთხიდან განდევნის შემდეგ და უფლის საყდართან მიჰქონდა მათი სინანულის ცრემლი. მთავარანგელოზ ურიელს ვევედრებით, განგვანათლოს ჭეშმარიტი სარწმუნოებით, განგვამტკიცოს მართლმადიდებლობაში, მოგვცეს ძალა ღმრთისა და მოყვასის სიყვარულისა, მოგვანიჭოს სინანული – საფუძველი ჩვენი ცხოვნებისა.

მეხუთე მთავარანგელოზი არის ლოცვის უზენაესი მსახური და იწოდება სელაფიელად, რაც მლოცველს ნიშნავს. იგი ადამიანებს უხილავად შეეწევა ლოცვისას და მათთან ერთად ლოცულობს. მას გამოსახავენ ანთებული სანთლითა და საკმევლით ხელში. სანთელი – ქრისტიანის სულს ნიშნავს; ცვილი – მრავალ სათნოებათა სიმბოლოა, რომლებიც შრომითა და გარჯით უნდა მოიხვეჭოს ადამიანმა. წმიდა და მსურვალე ლოცვას შეუძლია ქერუბიმის მაგივრობა გაუწიოს სულს და დაიფაროს ყველა ბოროტი ძალისაგან. მაგრამ როგორია ჩვენი ლოცვები? სუსტი, მოკლე, არაწმიდა და ცივი. და აი, უფალმა მოგვმადლა ლოცვის ანგელოზთა მთელი დასი მთავარანგელოზ სელაფიელის წინამძღოლობით, რათა მათ თავიანთი წმიდა ბაგეების სუნთქვით ლოცვისათვის გაათბონ ჩვენი გაყინული გულები, გვასწავლონ, თუ რის შესახებ, როდის და როგორ ვილოცოთ, და რათა აღავლინონ ჩვენი ვედრების მსხვერპლი უფლის საყდართან. ძმანო, როდესაც ხატზე იხილავთ ლოცვის მდგომარეობაში მყოფ ანგელოზს, ძირს დახრილი თვალებითა და მკერდზე მოწიწებით მიდებული ხელე-

ბით, იცოდეთ, რომ ეს სელაფიელია. და თუკი ასეთ მდგომარეობაში ხედავთ თავად ლოცვის მთავარანგელოზს, თვითონაც ეცადეთ ლოცვის დროს მუდამ ისეთ მდგომარეობაში იყოთ, მლოცველს რომ შეეფერება.

მეექვსე მთავარანგელოზს მარჯვენა ხელში უჭირავს ოქროს გვირგვინი, ხოლო მარცხენაში – შოლტი. ეს ნიშნავს, რომ ამ მთავარანგელოზისა და მასზე მინდობილ ანგელოზთა დასის მოვალეობაა, წაახალისოს მარადიულ სიკეთეთა ნიჭებით ღმრთის სადიდებლად მოღვაწე ადამიანები, დაიცვას ისინი წმიდა სამების სახელითა და ქრისტეს ჯვრის ძალით, რის გამოც მას ეწოდება იეგუდიელი ანუ ღმრთის ქება-დიდება. იგი შეგვეწვევა ღმრთის სადიდებელ შრომაში. ყოველი ჩვენგანი, დიდი თუ პატარა, ვალდებულია იცხოვროს და იღვაწოს ღმრთის დიდებისათვის. ჩვენს ცოდვილ მიწაზე, ჩვენ, ცოდვილთა შორის ყოველი კეთილი საქმე არ დაგვირგვინდება სხვაგვარად, თუ არა შრომით, ბევრი მათგანი კი – დიდი და მძიმე ძალისხმევის ფასად. მაგრამ უფალი და მეუფე ჩვენი არ დაივიწყებს არცერთ ჩვენს საქმეს და სიყვარულის შრომას (ებრ. 6, 10), მისი სახელისათვის აღსრულებულს. რაც მეტია ღვაწლი, მით უფრო მაღალი და ნათელია საზღაური. მთავარანგელოზს მარჯვენა ხელში ამოდ არ უჭირავს გვირგვინი: იგი ჯილდოა ღმრთის სადიდებლად მოშურნე ყოველი ქრისტიანისათვის. შოლტი იმის მიმანიშნებელია, რომ ზარმაცთ და უდებთ ამ ცხოვრებაში მოელის ბევრი მწუხარება და სასჯელი, ვიდრე გონს არ მოეგებიან, ხოლო გვირგვინი გულმოდგინეთათვის არის განკუთვნილი.

უკანასკნელ მთავარანგელოზს, უკანასკნელს რიგის და არა ღირსებისა და ძალის მიხედვით, ეკლესიის ღმრთივსულიერი მოძღვარნი სახელდებენ ვარაქიელად. ეს არის ღმრთის კურთხევათა ანგელოზი, რასაც აღნიშნავს მისი სახელი; გამოსახავენ ყვაილებით შესამოსელზე, რაც სულიწმიდის ნიჭების სიმბოლოა. ვინაიდან ღმრთის ნიჭები მრავალგვარია, ამ მთავარანგელოზის მსახურებაც მრავალფეროვანია: უფალი მისი მეშვეობით თავის ლოცვა-კურთხევას ანიჭებს ყველა კეთილ საქმეს, ყველა ღმრთივ-სათნო ღვაწლს. მაგრამ ანიჭებს მხოლოდ მაშინ, როდესაც მიწიერი კურთხევა ადამიანებს სურთ მიიღონ ზეციურ, საუკუნო კურთხევათა მოსაპოვებლად; როცა, მაგალითად, სურთ იყოლიონ ბავშვები, რათა აღზარდონ ისინი ღმრთის შიშში; მოელიან მიწიერი ნაყოფის სიუხვეს, რათა გაუყონ მოშიმშილე ძმებსა და ღარიბ-ღატაკებს, შეამკონ ღმრთის ტაძარი, იზრუნონ ობოლზე, დაეხმარონ ვალში მყოფს და გამოისყიდონ მისი ვალი, და მრავალი სხვა. წინააღმდეგ შემთხვევაში უფალი არ მოგვანიჭებს ლოცვა-კურთხევას და მთავარანგელოზიც არ მოგვიტანს მას. მთავარანგელოზი ვარაქიელი ძირითადად მოწამეთა, ქრისტეს აღმსარებელთა და მოსაგრეთა მფარველია. ეცხადება მათ მძიმე განსაცდელების ჟამს სანუგეშოდ და განსამტკიცებლად.

აწ ვდღესასწაულობთ მთავარანგელოზთა და ანგელოზთა კრებას, ძმანო. ვიფიქროთ იმაზე, რომ ჩვენც უცილობლად მოგვიწვევს ყოფნა ან ანგელოზთა კრებულში ან ბოროტ სულთა ხროვაში. ვის შეუძლია ისურვოს ეს უკანასკნელი? მაგრამ შევნატრით რა პირველ ხვედრს, გემართებს, დროულად მოვემზადოთ ანგელოზებთან თანაცხოვრებისათვის ჩვენს სულში ანგელოზებრივ გრძნობათა და აზრთა მოხვეჭით. ამინ.

**ხერსონის მთავარეპისკოპოსი ინოკენტი**

## წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი და მისი სასწაულები

### იმ დღიდან ანგელოზთა კრებას მართლმადიდებლურად დღესასწაულობდნენ

მართლმადიდებელმა ეკლესიამ წმიდა ანგელოზთა დღესასწაული დაადგინა ღმრთივ-განბრძნობილ მამათა გადმოცემით მას შემდეგ, რაც უარყო მწვალებელთა და კერპთმსახურთა მიერ შემოღებული უკეთური თაყვანისცემა ანგელოზთა. ჯერ კიდევ ძველ აღთქმაში, როდესაც ადამიანები განუდგნენ ღმერთს, თავიანთ შემოქმედს და იწყეს ღმრთის მიერ და თავისი ხელებით შექმნილის თაყვანისცემა, აკეთებდნენ კერპებს მსგავსად ხილულ ქმნილებათა, “რაოდენი არს ცათა შინა-ზე და რაოდენი არს ქუეყანასა ზედა-ქუე” (გამოსვლ. 20, 4), სწირავდნენ მსხვერპლს მზეს, მთვარესა და ვარსკვლავებს, რომლებშიც, მათი აზრით, იყო ცოცხალი სული, – იმ დროს ადამიანები თაყვანს სცემდნენ და მსხვერპლს სწირავდნენ ანგელოზებსაც, რაზეც მეფეთა წიგნში ნათქვამია: “უკმევდეს იგინი ბაალსა და მზესა და მთოვარესა და ვარსკვლავთა, ხომლთა და ყოველთა ერთა ცისათა“ (4 მეფ. 23, 5), ანუ ანგელოზებს, რამეთუ ისინი წარმოადგენენ ზეციურ მხედრობას სახარების თანახმად: “და მეცხეულად იყო ანგელოზისა მის თანა სიმრავლე ერთა ცისათაჲ” (ლუკ. 2, 13). ანგელოზთა ასეთი არასწორი თაყვანისცემა ძლიერ გავრცელებული იყო წმიდა მოციქულთა დროიდან. პავლე მოციქული მის შესახებ ამბობს: “ნურავინ შეგაცდენთ თვითნებური თავმდაბლობით და ანგელოზების მსახურებით, ვინც ეპოტინება იმას, რაც არ უნახავს და ფუჭად ამპარტავნობს თავისი ხორციელი გონებით და არ ეჭიდება თავს” (კოლ. 2, 18-19), ანუ ქრისტეს. რამეთუ იმაჲმად იყვნენ მწვალებლები, რომლებიც გარეგნულად თავმდაბალი მოჩანდნენ, მაგრამ ამპარტავნებით ფიქრობდნენ, რომ თავიანთი თავშეკავებით და წმიდა ცხოვრებით ჰბაძავდნენ ანგელოზებს. ისინი ასწავლიდნენ, რომ ანგელოზებს შეჭვეროდათ ისეთივე თაყვანისცემა, როგორც თავად ღმერთს. შემდეგ გამოჩნდნენ სხვა მწვალე-ბლები, რომლებიც ქადაგებდნენ, რომ ანგელოზები ხილული ქმნილების შემოქმედნი არიან და, როგორც უხორცონი, უფრო მაღლა დგანან და მეტ თაყვანისცემას იმსახურებენ, ვიდრე ქრისტე, ძე ღმრთისა; მთავარანგელოზ მიქაელს ისინი უწოდებდნენ ებრაელთა ღმერთს. და ბოლოს, ზოგიერთები, ჯადოქრობითა და ადამიანების შეცდენით გატაცებულნი, ანგელოზების სახელით მოუწოდებდნენ ეშ-მაკებს, ემსახურებოდნენ მათ და უწოდებდნენ ანგელოზებს. ასეთი მწვალებლობანი განსაკუთრებით გავრცელდა კოლასეში, რომელიც ლაოდიკიის მიტროპოლიას ეკუთვნოდა, და სადაც მრავალნი საიდუმლოდ აღასრულებდნენ კერპთმსახურების მსგავს ამ უკეთურ თაყვანისცემას ანგელოზებისას. ეკლესიამ ანგელოზების მცდარი თაყვანისცემა დაგმო და დაადგინა მათი, როგორც ღმრთის მსახურთა და ადამიანთა მოდგმის მფარველთა ღმრთივსათნო და სწორი თაყვანისცემა და დღესასწაული. ეს მოხდა ლაოდიკიის ადგილობრივ კრებაზე, რომელიც შედგა 319 წელს, რომის პაპის, წმიდა სილიბისტროს დროს, ნიკეის მსოფლიო კრებამდე რამდენიმე წლით ადრე. ამ კრებას ესწრე-ბოდა 32 ეპისკოპოსი, მისი თავმჯდომარე კი იყო ლაოდიკიის მიტროპოლიტი ნუნეკიუსი; და იმავე კოლასეს მხარეში, სადაც საიდუმლოდ აღესრულებოდა ანგელოზთა უკეთური თაყვანისცემა, იმ დღიდან ანგელოზთა კრებას მართლმადიდებლურად დღესასწაულობდნენ და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე დიდებულ ტაძრებს აგებდნენ. ხონაში, სასწაულთმოქმედ წყაროზე, აღმართეს დიდი და ბრწყინვალე ტაძარი, სადაც წმიდა არქიპოს თავად მთავარანგელოზი მიქაელი გამოეცხადა. წმიდა ანგელოზთა კრების ხსენება დადგენილია ნოემბერში – მარტის, სამყაროს შექმნის პირველი თვის შემდეგ მეცხრე თვეში – ანგელოზთა დასების რიცხვის აღსანიშნავად.

**“დაე, შეიმუხროს აქ ყოველი წინააღმდეგობი ძალა და  
ყველა რწმენით მოსული განიკურნოს სნეულებათაგან”**

ძველად მცირე აზიის ქალაქ კოლასეში, იერაპოლის ახლოს, მოედინებოდა სასწაულთმოქმედი წყარო, რომელთანაც აღმართული იყო წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის ტაძარი. ამ წყაროს წყლით იკურნებოდა უამრავი სნეული, იმაზე მეტი, ვიდრე სილოამის აუზში იერუსალიმში. იმ აუზში წელიწადში მხოლოდ ერთხელ ჩადიოდა უფლის ანგელოზი და ამღვრევდა წყალს, ამ ადგილს კი არასოდეს განეშორებოდა ანგელოზთა მთავრის მადლი. იქ იკურნებოდა მხოლოდ ის, ვინც წყლის ამღვრევის შემდეგ პირველი ჩავიდოდა აუზში, აქ კი – ყველა, რწმენით მოსული, პირველიც და უკანასკნელიც. იქ აუცილებელი იყო თავშესაფარი სნეულთათვის, რომლებიც დიდხანს მოელოდნენ განკურნებას, რამეთუ ზოგიერთი მათგანი მხოლოდ 38 წლის შემდეგ იღებდა სიმრთელეს, აქ კი ავადმყოფი ერთ დღეში ან ერთ საათში ჯანმრთელდებოდა.

ამ წყაროს წარმოშობა დაკავშირებულია უფლის მოციქულების – იოანე ღმრთისმეტყველის, ბართლომეს, ფილიპეს და მისი დის, მარიამის სახელებთან. იმჟამად იერაპოლის მკვიდრნი თავყანს სცემდნენ უზარმაზარ სახარულ გველს და მის პატივსაცემად აგოთ წარმართული ტაძარი, სადაც მსხვერპლს სწირავდნენ მას. იერაპოლში მოსულმა მოციქულებმა თავიანთი ღოცვით მოკლეს გველი და მისი თავყანისმცემლები სამყაროს შემოქმედი ერთი ჭეშმარიტი ღმერთისკენ მოაქციეს. ამის შემდეგ ისინი დადგნენ “ჰეროტოპად” წოდებულ ადგილზე და იწინასწარმეტყველეს, რომ მასზე აღმობრწინდებოდა ღმრთის მადლი, იგი გახდებოდა ზეციურ ძალთა მხედართმთავრის, წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის სტუმრობის ადგილი და იქ აღსრულდებოდა სასწაულები. მართლაც ასე მოხდა. მალე ამ ადგილზე აღმოცენდა სასწაულთმოქმედი წყარო, რომელთანაც მისვლა იწყეს არა მარტო მორწმუნეებმა, არამედ ურწმუნოებმაც; და ყველა, ვინც სვამდა ამ წყაროს წყალს და განიბანებოდა მასში, იკურნებოდა სნეულებათა და უძლურებათაგან, რის შემდეგაც ბევრი მათგანი ინათლებოდა წმიდა სამების სახელით.

ამ დროს ლაოდიკიაში ცხოვრობდა ერთი წარმართი, რომლის ერთადერთი ქალიშვილიც იყო მუნჯი დაბადებიდან. მამა ძალ-ღონეს არ იშურებდა მის განსაკურნებლად, მაგრამ ვერაფერს გახდა და ღრმა მწუხარებამ მოიცვა. ერთხელ ღამით მას ძილში მხესავით ბრწინვალე ღმრთის ანგელოზი გამოეცხადა, რომელმაც უთხრა: “თუკი გსურს, რომ შენმა ქალიშვილმა ენა ამოიღვას, მოიყვანე იგი იერაპოლის მახლობლად “ჰეროტოპში” ჩემს წყაროსთან, შეასვი ამ წყაროს წყალი და მაშინ იხილავ ღმრთის დიდებას”. ეს გამოცხადება მას მიეცა არა იმიტომ, რომ ღირსი იყო ამისა, არამედ რათა შეეცნო ჭეშმარიტება და სხვებიც მიეყვანა ღმერთთან.

ეს კაცი, ძილისაგან აღდგომილი, დიდად განკვირდებოდა ნანახით. მან ირწმუნა ანგელოზის სიტყვები, მაშინვე ხელი მოჰკიდა ქალიშვილს და მიაშურა სასწაულთმოქმედ წყაროს. იქ მან აურაცხელი ხალხი იხილა და გამოჰკითხა, ვის მოუწოდებდნენ ამ წყლით განბანისას. შემდეგ ხელები ზეცად აღაპყრო და თქვა: “მამაო, ძეო და სულო წმიდაო, ღმერთო ქრისტიანეთაო, შეგვიწყალენ ჩვენ! წმიდაო მიქაელ, მსახურო ღმრთისაო, შემეწიე და განკურნე ჩემი ასული!” ამ სიტყვებით მან ამოიღო წყალი წყაროდან და რწმენით ჩაასხა ქალიშვილს ბაგეებში; მეყვსეულად მუნჯი ასულის შეკრული ენა ღმრთის სადიდებლად გაიხსნა და მან მკაფიოდ წარმოთქვა: “ღმერთო ქრისტიანეთაო, შემეწყალე მე! წმიდაო მიქაელ, შემეწიე მე!”

ღმრთის ძალით გაოცებული, ყველა ადიდებდა წმიდა სამებას და მთავარანგელოზ მიქაელს. როდესაც მამამ იხილა შვილის სასწაულებრივი განკურნება, გახარებული დაუყოვნებლივ მონათლა თავის ასულთან და მთელ ოჯახთან ერთად; მადლიერების ნიშნად მან სასწაულთმოქმედ წყაროსთან ღმრთის მთავარანგელოზის პატივსაცემად ააგო დიდებული ტაძარი და ყოველმხრივ შეამკო იგი.

ტადრის აგებიდან 90-ე წელს აქ დასახლდა ათი წლის ყრმა, სახელად არქიფო, რომელმაც ტადრში მნათედ დაიწყო მუშაობა. ღმრთის სახელში დამკვიდრების დღიდან იგი იკვებებოდა მარტოდენ უდაბნოს მცენარეულობით, რომელსაც თვითონვე აგროვებდა და ხარშავდა, და ამ მწირ საკვებსაც კვირაში მხოლოდ ერთხელ იღებდა. ტანსაცმელი ძალიან ღარიბული ჰქონდა; მის ავლადიდებას შეადგენდა ორი ძონძი – ერთს სამოსად იყენებდა, მეორეს კი წვერწამახული ქვებით მოფენილ საწოლზე აგებდა, რათა მის სენაკში შემოსულთ არ დაენახათ, რომ მას ქვებზე ეძინა; ბალიშის მაგივრობას ეკლებით სავსე მცირე ტომარა უწევდა. ასე რომ, მისი ძილი უფრო მღვიძარება იყო, ხოლო მოსვენება – ტანჯვა. ამგვარ ღვაწლში გაატარა ნეტარმა არქიფომ მთელი ცხოვრება და ღმრთის ანგელოზს მიემსგავსა. მაგრამ წმიდანი არა მარტო თავისი სულის ცხოვრებაზე ზრუნავდა, არამედ სხვების გადარჩენაზეც. მან მრავალი ურწმუნო მოაქცია ქრისტესადმი და ნათელი სცა. ღირსი მამის წმიდა ცხოვრებამ უკეთურ წარმართთა შორის აღძრა შური. წმიდა წყაროზე აღსრულებული სასწაულების ხილვით ერთი-ორად გაბოროტებულებმა მოიძულეს ეს მართალი კაცი; ხშირად ესხმოდნენ თავს, აგლეჯდნენ თმებსა და წვერს, მიწაზე ათრევდნენ და ფეხით თელავდნენ, ბოლოს კი სასტიკად ნაწამებს ტადრიდან დევნიდნენ. მაგრამ ნეტარი არქიფო ყველა განსაცდელს სულიერი სიმტკიცით ხვდებოდა, არ განეშორებოდა ტადარს და სიწმიდითა და უბოროტო გულით ემსახურებოდა ღმერთს.

ერთხელაც წარმართებმა გადაწყვიტეს, მიწით ამოეცხათ წყარო და მოეკლათ არქიფო. ბოროტისმზრახველთა ერთი ნაწილი გაემართა ეკლესიისა და წყაროსაკენ, სხვებმა კი ნეტარ არქიფოს სენაკს მიაშურეს მის მოსაკლავად. მაგრამ უფალმა, რომელიც იღვწის მართალთათვის, თავისი ერთგული მონა სიკვდილისგან იხსნა: წმიდანთან მიახლოებულ წარმართებს მოულოდნელად ხელები გაუშეშდათ და ვერც კი შეეხნენ მას. წყაროზე კი საკვირველი რამ მოხდა: მისგან ამოიჭრა ცეცხლის ალი და შორ მანძილზე განდევნა თავზარდაცემული მომხდურნი. უღმერთო ადამიანებმა მაინც ვერ გულისხმაჰყვეს ღმრთის სასწაული. ამჯერად მათ განიზრახეს ეკლესიაზე მიეშვათ მდინარე ქრისოსი, რომელიც მის მარჯვენა მხარეს მიედინებოდა, რათა წმიდა წყაროს მდინარის წყალთან შერევისას დაეკარგა თავისი სასწაულთმოქმედი ძალა. როდესაც ისინი შეუდგნენ თავისი ბოროტი ჩანაფიქრის სისრულეში მოყვანას, მდინარემ ღმრთის ბრძანებით მიმართულება შეიცვალა და ტადრის მარცხენა მხარეს იწყო დენა. წარმართები კვლავ შერცხვენილი დაბრუნდნენ სახლებში.

წმიდა ადგილის აღმოსაველეთით, სამი სტადიონის მანძილზე, მოედინებოდა კიდევ ორი მდინარე – ლიკოკაპერი და კუფოსი. ისინი დიდი მთის ძირას უერთდებოდნენ ერთმანეთს და ლუკიის მხარისკენ მიედინებოდნენ. ყოვლადმზაკვარმა ეშმაკმა უღმერთო წარმართებს ასწავლა, ამ მდინარეების წყალი მიეშვათ წმიდა ადგილზე და დაენგრიათ მიქაელ მთავარანგელოზის ტადარი, ამასთან, მდინარის წყალი დატბორავდა წმიდა წყაროს და დაახრჩობდა ღირს არქიფოს. ამას ხელს უწყობდა ტადრის მდებარეობაც; მდინარეები მოედინებოდნენ მთის მწვერვალიდან, ტადარი კი იდგა მის ძირში. ლაოდიკიაში თავი მოიყარა შეთქმულ წარმართთა დიდმა სიმრავლემ და გეზი ეკლესიისკენ აიღო. ეკლესიის საკურთხეველის სიახლოვეს იდო უზარმაზარი ლოდი. ამ ლოდიდან მათ იწყეს ღრმა და ფართო თხრილის გათხრა მთამდე, რომლის ქვეშაც მდინარეები უერთდებოდნენ ერთმანეთს. შემდეგ დიდი ძალისხმევით ფასად გაიყვანეს სადინარი თხრილი, რომლითაც წყალი უნდა მიეშვათ ეკლესიაზე და დააგუბეს მდინარეები, რათა დაგროვილიყო რაც შეიძლება მეტი წყალი. წარმართებმა ეს საქმე ათ დღეში დაასრულეს. მათი შემყურე ღირსი არქიფო ეკლესიაში მუხლმოყრილი ცრემლებით ლოცულობდა ღმრთისადმი და შეწევნისთვის მსწრაფლ მეოხს მთავარანგელოზ მიქაელს მოუწოდებდა, რათა წმიდა ადგილი დაეცვა დატბორვისაგან და არ გაეხარებინა ღმრთის ტადრის დასანგრევად აღმდგარი მტრები. “არ წავად ამ ადგილიდან, – ამბობდა ნეტარი არქიფო, – არ მივატოვებ ეკლესიას, მზად ვარ მოგკედე აქ, თუკი უფალი დაუშვებს ამ წმიდა ადგილის დანგრევას!”



ათი დღის შემდეგ, როცა წყლის დონემ ძლიერ აიწია, წარმართებმა შუაღამისას დაგუბებული მდინარეები ტაძარზე მიუშვეს, თვითონ იქაურობას გაშორდნენ და მადლობზე დადგნენ, რათა წმიდა ადგილის დატბორვისთვის ეცქირათ. ქვემოთ გაქანებულმა წყალმა ჭექა-ქუხილივით იწყო გრგვინვა. ეკლესიაში ლოცვაზე მდგომ არქიფოს წყლის ხმაური მოესმა და კიდევ უფრო მხურვალედ შეევედრა უფალს და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელს, რათა არ ჩაძირულიყო ტაძარი და შერცხვინილიყვნენ ღმრთის მტრები, უფლის სახელი კი განდიდებულიყო და ანგელოზის ძალა და მეოხება ამალღებუ-ლიყო. მან იწყო დავითის ფსალმუნის გალობა: “აღიღეს მდინარეთა, უფალო, აღიმადღნეს მდინარეთა ხმანი მათნი, აღდგენ მდინარენი სლვასა თვისსა. ხმითა წყალთა მრავალთა საკვირველ არიან განცხრომანი ზღვისანი; საკვირველ არს მადალთა შინა უფალი. წამებანი შენი სარწმუნო იქმნეს ფრიად; სახლსა შენსა შეუენის სიწმიდე, უფალო, სიგრძესა შინა დღეთასა” (ფსალ. 92, 3-5).

ამ დროს ნეტარ არქიფოს მოესმა ხმა, რომელიც ეკლესიიდან გამოსვლას უბრძანებდა. გარეთ გამოსულს თვალწინ ქრისტიანთა მოღვმის დიდი მეოხი და მფარველი წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი წარმოუდგა, მშვენიერი გაცისკროვნებული ჭაბუკის სახით, როგორც ოდესღაც ეჩვენა წინასწარმეტყველ დანიელს. ნეტარი არქიფო უძღური იყო, ეცქირა მისთვის და შიშისაგან მიწაზე დაეცა.

მთავარანგელოზმა უთხრა მას: “ნუ გეშინია, ადექი, მოდი ჩემთან და იხილე ღმრთის ძალა წყლებზე”. ნეტარი არქიფო წამოდგა, ძრწოლით მიუახლოვდა ზეციურ ძალთა მხედართმთავარს და დადგა მის მარცხენა მხარეს; ამ დროს მან დაინახა ცეცხლოვანი სვეტი, რომელიც მიწიდან ზეცამდე იყო აღმართული. როდესაც წყალი ახლოს მოვიდა, მთავარანგელოზმა ასწია მარჯვენა, ჯვარი გადასახა წყალს და უბრძანა შეჩერება. მაშინვე წყალმა უკან დაიხია. ასე აღსრულდა წინასწარმეტყველის სიტყვები: “გიხილეს შენ წყალთა, ღმერთო, გიხილეს შენ წყალთა და შეეშინა” (ფსალ. 76, 17). აბობოქრებული წყალი ქვის კედელივით ადგილზე გაშეშდა და მადალი მთის მსგავსად ზეაიწია. შემდგომ ტაძრისკენ მიბრუნებულმა მთავარანგელოზმა კვერთხი დაჰკრა საკურთხეველთან მყოფ უხარმაზარ ქვის ლოდს და მასზე ჯვარი გამოსახა. იმავე წამს გაისმა ქუხილის ხმა, მიწა იძრა და ორად გაპობილ ლოდში ვეებერთელა ნაპრალი წარმოიქმნა. ამასთან ერთად მიქაელ მთავარანგელოზმა წარმოთქვა: “დაე, შეიმუსროს აქ ყოველი წინააღმდეგობი ძალა და ყველა რწმენით მოსული განიკურნოს სნეულებათაგან”. მერე არქიფოს უბრძანა მარჯვენა მხარეს გადასვლა; როდესაც ღირსმა მამამ შეასრულა მისი ბრძანება, წმიდა მიქაელმა მგრგვინავი ხმით მიმართა წყალს: “შედით ამ ნაპრალში!”

წყალი მყის ხმაურით ჩაედინა ქვის ნაპრალში და მას შემდეგ მუდამ ამ გზით მოედინებოდა. მარცხენა მხარეს მდგომი, წმიდა ადგილის ჩაძირვის მოლოდინში მყოფი მტრები შიშმა შეიპყრო. წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი ამ დიდებული სასწაულის აღსრულების შემდეგ ზეცად ამალღდა. ნეტარმა არქიფომ მადლობა შესწირა ღმერთს და განადიდა ზეციურ ძალთა მხედართმთავარი საკვირველი შეწვევისათვის. მაშინ უღმერთონი სირცხვილეულ იქმნენ, მორწმუნენი კი სიხარულით აღივსნენ და წმიდა ადგილზე უწყვეტ ნაკადად მომავალნი ღირს არქიფოსთან ერთად ქებას შეასხამდნენ შემოქმედს. იმ დროიდან დაადგინეს დღესასწაულით აღენიშნათ ის დღე, როდესაც მოხდა მთავარანგელოზ მიქაელის სასწაული (6/19 სექტემბერი). ღირსმა არქიფომ კიდევ მრავალი წელი იცხოვრა და იღვაწა მთავარანგელოზის ტაძარში, გულმოდგინედ ემსახურა ღმერთს და მშვიდობით მიიცვალა ზეცად 70 წლის ასაკში. ქრისტიანებმა იგი დაკრძალეს იმ ადგილზე, სადაც გამოცხადდა ღვთის მთავარანგელოზი და რომელსაც აქ აღსრულებული სასწაულის გამო ეწოდა “ხონა” ანუ ჩაძირვა, რამეთუ იქ წყალი ლოდში ჩაიძირა.

**“ნუ იზრუნებთ ეკლესიის აშენებაზე;  
მე თქვენი შრომის გარეშე მოვიმზადე იქ ჩემთვის ტაძარი”**

იტალიაში, ადრიატიკის ზღვასა და გარგანად წოდებულ მთას შორის, მდებარეობს ქალაქი სიპონტი. ამ ქალაქში ცხოვრობდა ერთი მდიდარი კაცი, რომლის ნახირიც ძოვდა გარგანის მთის ძირას. ერთხელ მას დაეკარგა ნახირს ჩამორჩენილი ხარი. იგი დიდხანს ეძებდა თავის მონებთან ერთად ამ ხარს და ბოლოს იპოვა მთის მწვერვალზე ერთ-ერთი გამოქვაბულის შესასვლელთან. ძიებით დაქანცულმა და განრისხებულმა აიღო მშვილდ-ისარი და ესროლა პირუტყვს, რათა მოეკლა იგი. მაგრამ მოულოდნელად ისარი უკან შემობრუნდა და თვით მსროლელი განგმირა. მისი თანმხლებნი შეშინდნენ, ვეღარ გაბედეს გამოქვაბულთან მიახლოება და დაბრუნდნენ ქალაქში, სადაც ყველას უამბეს მომხდარის შესახებ. ეს ამბავი გაიგო სიპონტის ეპისკოპოსმაც და ლოცვით მიმართა ღმერთს, რათა გაემხილა ეს საიდუმლო. და აი მას ხილვაში გამოეცხადა მთავარანგელოზი მიქაელი და აუწყა, რომ მან ეს ადგილი აირჩია თავისთვის, იფარავს მას და სურს, ხშირად ესტუმროს მას და შეეწიოს იქ ლოცვით მოსულ ადამიანებს. ეპისკოპოსმა ხილვის შესახებ ხალხს განუცხადა და მთელ ქალაქს დაუწესა სამღიანი მარხვა, რის შემდეგაც სამღვდლოებასა და ხალხთან ერთად გაემართა გარგანის მთისაკენ. მთაზე ასულებმა მიაგნეს კლდოვან გამოქვაბულს, მაგრამ ვერ გაბედეს მასში შესვლა და გამოქვაბულის შესასვლელთან ადავლინეს ლოცვა. მას შემდეგ იქ ხშირად მოდიოდნენ მორწმუნენი და ევედრებოდნენ ღმერთსა და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელს.

ერთხელ ნეაპოლელებმა, რომლებიც მაშინ ჯერ კიდევ ურწმუნონი იყვნენ, შეკრიბეს თავისი ლაშქარი და მოულოდნელად ალყა შემოარტყეს სიპონტს, რათა დაეპყროთ და გაეჩანაგებინათ იგი. მოქალაქენი შიშმა შეიპყრო. მაშინ ეპისკოპოსმა ქალაქის მკვიდრთ დაუდგინა სამღიანი მარხვა და ლოცვა შემოსეული მტრებისაგან თავდასახსნელად. სანამ მტერი გადამწყვეტ იერიშს მიიტანდა ქალაქზე, ზეციურ ძალთა მხედართმთავარი, წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი ხილვაში გამოეცხადა ეპისკოპოსს და უთხრა: “ხვალ დღის ოთხ საათზე უბრძანე შენს მოქალაქეებს, იარაღი აისხან და გამოვიდნენ ქალაქიდან მტერთან საბრძოლველად; მე მოვალ და შეგაწვევით თქვენ”.

ეპისკოპოსმა ყველას უამბო ხილვის შესახებ. დიდად გაიხარა ხალხმა ღმერთისგან წინასწარუწყებული გამარჯვების შეტყობით. როდესაც დადგა დღის ოთხი საათი, მოისმა ძლიერი ქუხილის ხმა და ყველამ იხილა გარგანის მთაზე ჩამომავალი ღრუბელი. ამასთან ერთად გამოჩნდა, როგორც ოდესღაც სინაზე, ცეცხლი, კვამლი და ელვა, მთელი მთა შეიძრა და დაიფარა ღრუბლებით. ამ სანახაობით თავზარდაცემული მომხდურნი გაიქცნენ, ქალაქის დამცველებმა კი გულისხმაჰყვეს, რომ მათ დასახმარებლად მოვიდა მათი კეთილი მფარველი და მსწრაფლშემწე, წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი ზეციურ მხედრობასთან ერთად, გააღეს ქალაქის კარიბჭე და დაედევნენ მტერს. ისინი მათ უკნიდან მისდევდნენ, ანგელოზები კი ზემოდან ატეხდნენ თავს მესხა და ელვას. იმ დღეს ცეცხლით მოწყვეტილ იქნა ექვსასი კაცი. სიპონტის დამცველებმა მტერს ნეაპოლამდე მისდიეს, ზეციურ ძალთა მხედართმთავრის შეწევნით დაამარცხეს იგი და ზეიმით დაბრუნდნენ მშობლიურ ქალაქში. მას შემდეგ ნეაპოლელებმა შეიცნეს ყოვლადძლიერი ღმერთის მარჯვენა და მიიღეს წმიდა სარწმუნოება. სიპონტის მცხოვრებლებმა კი ეპისკოპოსთან და სამღვდლოებასთან ერთად მიაშურეს მთას, რომელზეც მიეცათ საშინელი ნიშანი, რათა აღველინათ სამადლობელი ლოცვა ღმერთისადმი, თავიანთი მეოხის, წმიდა მთავარანგელოზ მიქაელისა და ყველა ზეციურ ძალთადმი. როდესაც მიუახლოვდნენ გამოქვაბულის შესასვლელს, მარმარილოზე ადამიანის ფეხის ანაბეჭდი იპოვეს, რომელიც ქვაზე ისევე კარგად იყო გამოსახული, როგორც ჭაობიან მიწაზე. მაშინ მათ ერთმანეთს უთხრეს: “ჭეშმარიტად წმიდა მთავარანგელოზმა მიქაელმა დატოვა აქ თავისი სტუმრობის კვალი, რამეთუ იგი თვითონ იყო აქ და გვიხსნა ჩვენს მტერთაგან”.

მათ თავყვანი-სცეს და ეამბორნენ ნაკვალევს, შემდეგ აღასრულეს პარაკლისი და გახარებულემა იმით, რომ ჰყავდათ ასეთი მფარველი და შემწე, მადლობა შესწირეს ღმერთს; იმ ადგილზე კი წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე ეკლესიის აგება გადაწყვიტეს. მაგრამ როდესაც მშენებლობას შეუდგნენ, მთავარანგელოზი კვლავ გამოეცხადა ეპისკოპოსს და უთხრა: “ნუ იზრუნებთ ეკლესიის აშენებაზე; მე თქვენი შრომის გარეშე მოვიმზადე იქ ჩემთვის ტაძარი, მხოლოდ შედით მასში. შენ კი მეორე დღეს ჩაატარე იქ წმიდა ლიტურგია და მორწმუნენი აზიარე საღმრთო საიდუმლოებებს”.

ამ ხილვის შემდეგ ეპისკოპოსმა ყველას უბრძანა, მომზადებულიყვნენ წმიდა საიდუმლოთა ზიარებისათვის და მათთან ერთად ღოცვითა და გალობით გაემართა წმიდა ადგილისკენ, სადაც მარმარილოზე აღიბეჭდა მთავარანგელოზის ფეხის ნაკვალევი. იქ მისულემა ნახეს კლდეში გამოკვეთილი მცირე ეკლესია, გამოქვაბულის მსგავსი; მისი კედლები უსწორმასწორო იყო, სიმაღლე კი – განსხვავებული: ერთგან ჰერს თავითაც შეეხებოდი, სხვაგან კი ხელითაც ვერ მისწვდებოდი. აქედან ნათელი გახდა ხალხისათვის, რომ ღმერთი ეკლესიაში ეძიებს არა ძვირფას ქვებს, არამედ წმიდა გულს. ამ ეკლესიის ტრაპეზი ძოწეულის საფარით იყო დაფარული; ეპისკოპოსმა ამ ტრაპეზზე აღასრულა წმიდა ლიტურგია და მორწმუნენი აზიარა ყოველწმიდა საიდუმლოებებს. საკურთხეველში კი ჩრდილოეთის მხარეს ზემოდან იწყო დენა წყალმა – სუფთამ, გემრიელმა, ძალზე გამჭვირვალე და სასწაულთმოქმედმა, რომლის დაღვევისას ყველა სნეული, საღმრთო საიდუმლოთა ზიარების შემდგომ, იღებდა კურნებას. და სხვა უთვალავი სასწაული ხდებოდა იმ ეკლესიაში მთავარანგელოზ მიქაელის ღოცვით. ეპისკოპოსმა ეკლესიასთან ააშენა სენაკები და იქ დააბინავა მღვდელმსახურნი, დიაკონნი, მუდავითნენი და მგალობელნი, რათა მასში ყოველდღიურად აღსრულებულიყო საეკლესიო მსახურება ღმრთისა და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის საიდუმლოებად.

### **“მთავარანგელოზო მიქაელ, მიიყვანე ეს ყრმა დოჰიარის მონასტერში!”**

ეს სასწაული ათონის მთაზე მოხდა.

კეთილმორწმუნე ბულგარელი მეფეების ზეობაში ცხოვრობდა ერთი მდიდარი და დიდგვაროვანი კაცი, სახელად დოჰიარი. ერთხელაც მან გადაწყვიტა, გამხდარიყო მონაზონი, რათა სათნოყოფოდა ღმერთს; თან წაიღო დიდძალი ოქრო და წავიდა ათონის მთაზე მონასტრების მოსალოცად და მოღვაწეობის ადგილის მოსაძებნად. მრავალი მონასტრის მონახულებისა და მოწყალების გაცემის შემდეგ იგი გამოვიდა ნეტარი ათანასეს ლავრიდან და გაუყვა ზღვის ნაპირს. მალე მიაღწა საოცრად ლამაზ ადგილს გემრიელი წყლითა და მდიდარი მცენარეულობით; ეს ადგილი ჯერ კიდევ დაუსახლებელი იყო. ამ კაცს ძალიან მოეწონა მიდამო, განიზრახა აქ დასახლება და მონასტრის აშენება. გულმოდგინედ შეუდგა საქმეს და მოკლე ხანში განასრულა მშენებლობა. თავდაპირველად მან ააგო მშვენიერი ეკლესია წმიდა მღვდელმთავარ ნიკოლოზის სახელზე, შემდეგ კი მოაწყო მონასტერი და შემოავლო ქვის გალავანი. როდესაც ყველაფერი წესრიგში მოიყვანა, თვითონ იმავე მონასტერში მიიღო მონაზვნობა. თუმცა მისი ოქრო არ აღმოჩნდა საკმარისი, რათა სათანადოდ შეემკო ეკლესია. მაშინ მთელი იმედი ამ კაცმა ღმერთზე დაამყარა და ამბობდა: “თუკი უფალი ინებებს ამ ადგილის განდიდებას, თვითონ იზრუნებს ეკლესიის შემკობაზე; დაე იყოს ნება მისი!”

ათონის მთის პირდაპირ არის კუნძული, რომელსაც უწოდებენ “მდელოს”; იქ ცხოვრობდნენ მწყემსები და აძოვებდნენ ნახირს, ვინაიდან ის ადგილი მეტად მდიდარი იყო საძოვრებით. ამ კუნძულზე უკაცრიელ ადგილას დაედგათ ქვის მაღალი სვეტი; სვეტზე იდგა ქვის კერპი, რომელზეც ბერძნულად ეწერა: “ყველა, ვინც მაღლა დამარტყამს, იპოვის დიდძალ ოქროს”. ბევრი ცდილობდა ამ სიტყვების სიმართლის დადგენას და კერპს თავზე ურტყამდა, მაგრამ ვერაფერს პოულობდა. ერთხელ

ამ სვეტის მახლობლად ერთი ყრმა აძოვებდა ხარებს. იგი ძალზე გონებამახვილი და წიგნიერი იყო; როდესაც წაიკითხა წარწერა სვეტზე, კერპს თავზე დაარტყა, მაგრამ ვერაფერი იპოვა. შემდეგ იფიქრა, შესაძლოა ოქრო მიწაშია ჩაფლული და მზის ჩასვლისას დააკვირდა, თუ სად მთავრდებოდა მიწაზე სვეტის ჩრდილი და ახლა იქ იწყო თხრა. მცირე ხანში მას რაღაც ხმა მოესმა და მიხვდა, რომ ამ ადგილზე განძი იყო დამალული. მწყემსმა უფრო გულმოდგინედ განაგრძო თხრა და მალე უზარმაზარ წისქვილის ქვას მიაღვა, რომელსაც ძვრაც ვერ უყო. მაშინ ქვის შუაგულში მოთავსებულ ხვრელში ჩაყო ხელი და იქ აღმოაჩინა აურაცხელი ოქრო. ჩაფიქრდა ყმაწვილი, არ იცოდა, სად წაეღო ასეთი სიმდიდრე. ვინმეს რომ ვუამბო ოქროს შესახებ, – ფიქრობდა იგი, – ვშიშობ, არ მომკლან ამის გამო.

ღმერთმა შეისმინა წმიდა ტაძრის შემკობისათვის მზრუნველი მონაზონის ლოცვა და ჩააგონა ყმაწვილს, წასულიყო ათონის მთაზე ერთ-ერთ მონასტერში და იღუმენისთვის მოეთხრო მის მიერ ნაპოვნი განძის შესახებ. მწყემსი ასეც მოიქცა. როგორც მოწმობა, თან წაიღო რამდენიმე ოქროს მონეტა, მივიდა ზღვის ნაპირას მდებარე სოფელში და იქ დაიქირავა მენავე, რომელიც მას ათონის მთაზე გადაიყვანდა. ღმრთის განგებით, იგი გაჩერდა ზემოთ აღნიშნული მონასტრის ნავმისადგომში, რომელსაც ეწოდა მისი აღმშენებლის სახელი – “დოჰიარი”. მენავე თავის სოფელში დაბრუნდა, ყრმა კი მონასტრისაკენ გაემართა. იქ შეხვდა იღუმენს და დაწვრილებით უამბო განძის შესახებ. იღუმენმა ამაში ღმრთის ხელი დაინახა; უხმო სამ მონაზონს, გადასცა მათ მწყემსის ნაამბობი და მასთან ერთად გაგზავნა კუნძულზე, რათა ნაპოვნი ოქრო მონასტერში გადმოეტანათ.

მაგრამ განძის ხილვისას ერთ-ერთ მონაზონს ვეცხლისმოყვარების ვნება დაეუფლა და განიზრახა, მოეკლა ყრმა და განძი ხელში ჩაეგდო. მან მეორე მონაზონსაც გაუხიარა თავისი ბილწი ჩაწილი და დაითანხმა იგი; მესამე კი ღმრთისმოშიში აღმოჩნდა და უარი განაცხადა უკეთურ საქმეში მონაწილეობაზე, მაგრამ იგი სიკვდილის მუქარით აიძულეს, დადუმებულიყო. ბოროტისმზრახველებმა ამოთხარეს ოქრო და წისქვილის ქვა, გადაიტანეს ნავში და ბიჭუნასთან ერთად მონასტრისკენ გაცურეს. შუაგულ ზღვაში მათ შეიპყრეს ყრმა და ყელზე წისქვილის ქვა გამოაბეს. ტირილითა და მოთქმით ითხოვდა ბიჭუნა შებრალებას, მაგრამ უკეთური მონაზვნების გული ვერ მოაღბო მისმა ცრემლებმა; მათ ბავშვი წისქვილის ქვასთან ერთად ზღვის უფსკრულში გადააგდეს. ეს მოხდა ღამით. მოწყალე ღმერთმა, რომელიც ზეცით უმზერდა ბავშვის ტირილს და ხედავდა მის უდანაშაულოდ დახრჩობას, გამოგზავნა კაცთა მოდგმის მფარველი მთავარანგელოზი მიქაელი, რათა მას ყრმა ზღვის ფსკერიდან ამოეყვანა და ეკლესიაში ცოცხალი გადაეყვანა. ასეც მოხდა. მოულოდნელად ყრმა ყელზე გამობმულ ქვასთან ერთად აღმოჩნდა დოჰიარის სავანის ეკლესიის საკურთხეველში. დილით ეკლესიაში კანდელების ასანთებად შესულ მნათეს საკურთხეველიდან ადამიანის კვნესა მოესმა და შეშინებულმა ეს ამბავი იღუმენს აუწყა. მათ მყისვე ტაძრის საკურთხეველს მიაშურეს და იხილეს ყრმა ყელზე გამობმული წისქვილის ქვით და ერთიანად სველი სამოსით. იღუმენმა შეიცნო იგი და ჰკითხა: “რა დაგემართა, შვილო, როგორ მოხვდი აქ?”

ყრმამ, თითქოსდა ძილისგან გამოიღვიძაო, თქვა: “იმ მზაკვარმა მონაზვნებმა ყელზე ქვა გამომაბეს და ზღვაში გადამაგდეს. ფსკერზე დაშვებულმა ვიხილე ორი მზესავით მბრწყინავი კაცი და მოვისმინე მათი საუბარი; ერთმა უთხრა მეორეს: “მთავარანგელოზო მიქაელ, მიიყვანე ეს ყრმა დოჰიარის მონასტერში!” ამის შემდეგ გონება დაგვარავ და არ ვიცი, როგორ მოხვდი აქ”. ამ ნაამბობით განცვიფრებულმა იღუმენმა განადიდა საკვირველ და დიდებულ სასწაულთა მოქმედი ღმერთი, შემდეგ კი უთხრა ყრმას: “შვილო, დარჩი აქ დილამდე, სანამ არ გამხელთ ბოროტებას”.

დილით ბოროტმოქმედი მონასტერში მივიდნენ, ოქრო კი წინასწარ გადამაღეს. იღუმენი ძმებთან ერთად გამოვიდა მათ შესახვედრად და ჰკითხა: “რატომ წახვედით გუშინ ოთხნი, ახლა კი სამნი დაბრუნდით? სად არის მეოთხე?” მათ ამაზე რისხვით უპასუხეს: “მამაო, იმ ყრმამ მოგვატყუა,

როცა გვითხრა, რომ იპოვა ოქრო; მან ვერაფერი გვიჩვენა, რადგან თვითონაც არაფერი იცოდა და სირცხვილით სადღაც მიიმალა; დიდხანს ვეძებდით მას, მაგრამ ვერ ვიპოვეთ და მარტონი დავბრუნდით შენტან”.

იღუმენმა თქვა: “დაე იყოს ნება ღმრთისა” და წაიყვანა ისინი ეკლესიაში, სადაც უჩვენა ყრმა ჯერ კიდევ სველი ტანისამოსით და ჰკითხა: “ეს ვინაა?” ბავშვის დანახვისას ბოროტმოქმედი შიშმა შეიპყრო; დიდხანს იდგნენ გაქცევებულნი და ვერაფერს პასუხობდნენ, მაგრამ ბოლოს აღიარეს დანაშაული და განაცხადეს, თუ სად გადამაღეს განძი. მაშინ იღუმენმა გაგზავნა უფრო ერთგული ძმები და მათ განძი მონასტერში მოიტანეს. ეს საკვირველი ამბავი მთელ ათონის მთაზე გავრცელდა; ყველა მონასტრიდან შეიკრიბნენ მონაზვნები ამ სასწაულის სანახავად. კრებითი გადაწყვეტილებით მამებმა ტაძარს უწოდეს წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელი, წმიდა ნიკოლოზის პატივსაცემად კი ააგეს ახალი ეკლესია. ორი ბოროტი მონაზონი შეაჩვენეს და სავანიდან გააძევეს, მესამე კი უდანაშაულოდ აღიარეს. ღმრთის სასწაულით სიკვდილს გადარჩენილი ყრმა მონაზვნად აღიკვეცა და კეთილი მოღვაწე შეიქნა. ამის შემდეგ იღუმენმა ნაპოვნი განძით ყოველმხრივ შეამკო და განამშვენა ეკლესია, ხოლო წისქვილის ქვა ჩაატანეს კედელში, რათა ყველასათვის საცნაური გამხდარიყო აღსრულებული სასწაული. იღუმენის გარდაცვალების შემდეგ მონასტრის წინამძღვრად დაადგინეს დახრჩობას გადარჩენილი მონაზონი. მან ღმრთიესათნოდ განვლო ცხოვრება და წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის ხელით აყვანილ იქნა უფალთან, როგორც ოდესღაც ზღვიდან იქნა გადაყვანილი ეკლესიაში.

## წმიდა მთავარანგელოზი გაბრიელი

### ჩვენი ხსნის მახარობელს, ღმრთის დიდებულ მსახურს და ღმრთისმშობელი ქალწულის მახარობელ მაცნეს – მთავარანგელოზ გაბრიელს – ჩვენ გალობით ვადიდებთ!

მთავარანგელოზმა გაბრიელმა მოსეს უდაბნოში ასწავლა საღმრთო სჯული, გამოუცხადა მას სამყაროს დაბადება, პირველი ადამიანების შექმნა და მათი ცხოვრება, ძველი აღთქმის პატრიარქების ცხოვრება, წარდგინა და ენების დაყოფის ისტორია, გაუმჟღავნა ზეციურ პლანეტათა და სტიქიათა მდებარეობა, ასწავლა არითმეტიკა, გეომეტრია და ყოველგვარი სიბრძნე.

მთავარანგელოზმა გაბრიელმა წინასწარმეტყველ დანიელს განუმარტა საკვირველი ხილვები მეფეთა და მათ სამეფოთა შესახებ, რომლებიც წმიდა დანიელს სხვადასხვა ცხოველთა სახით ეჩვენა. გამოუცხადა მას ბაბილონელთა ტყვეობიდან ებრაელი ხალხის განთავისუფლების დრო, აგრეთვე მიწაზე, ღმრთისმშობელი ქალწულისგან ხორცშესხმული ქრისტეს მოსვლის ჟამი.

მთავარანგელოზი გაბრიელი გამოეცხადა მართალ ანას, რომელიც თავის ბაღში დასტიროდა საკუთარ უნაყოფობას და ცრემლებით ევედრებოდა ღმერთს. უფლის ანგელოზმა უთხრა მას: “ანა! შენი ლოცვა შესმენილია, შენმა მწუხარებამ ღრუბლები გაიარა, ხოლო ცრემლებმა ღმერთამდე მიღწია, შენ მუცლად-იღებ და შობ ღმრთივკურთხეულ ასულს, რომლისგანაც მიწის ყველა ტომი იკურთხება და სოფელს ხსნა მიეცემა, ხოლო სახელი მისი იქნება მარიამი!”

მთავარანგელოზი გაბრიელი უდაბნოში მარხულ იოაკიმესაც გამოეცხადა და ამცნო, რომ ანას ასული შეეძინებოდათ, დასაბამითგან მესიის დედად არჩეული ადამიანთა მოდგმის ხსნისათვის.

ეს დიდი მთავარანგელოზი ღმერთმა ქალწულ მარიამს მიუჩინა მფარველად. როდესაც ყრმა მარიამი ტაძარში მიიყვანეს, წმიდა გაბრიელს ყოველდღიურად მიჰქონდა მასთან ზეციური საკვები.

მთავარანგელოზი გაბრიელი მოეველინა წმიდა მღვდელ ზაქარიასაც და აუწყა მისი მოხუცი ცოლის – ელისაბედის უნაყოფობისგან დახსნა და უფლის ნათლისმცემლის, იოანეს შობა, და როცა ზაქარიამ არ ირწმუნა მისი, დაამუნჯა იმ დრომდე, ვიდრე მისი სიტყვები არ აღსრულდა.

ღმრთის შუამავალი – მთავარანგელოზი გაბრიელი ნაზარეთში ქალწულ მარიამს გამოეცხადა და ახარა მასში სულიწმიდის მოქმედებით ღმრთის ძის ჩასახვა. იგი იოსებსაც ეჩვენა ძილში და აუწყა მას, რომ მარიამი დარჩა უბიწო და მის საშოში ჩასახული ყრმა არის სულიწმიდისგან.

ხოლო როცა მაცხოვარი ჩვენი იშვა ბეთლემში, მთავარანგელოზი გაბრიელი მწყემსებს გამოეცხადა და ახარა: “ნუ გეშინინ, რამეთუ აჰა ესერა გახარებ თქვენ სიხარულსა დიდსა, რომელი იყოს ყოვლისა ერისა: რამეთუ იშვა დღეს თქვენდა მაცხოვარი, რომელ არს ქრისტე უფალი, ქალაქსა დავითისსა” – და უთვალავ ზეციურ მხედრობასთან ერთად აღავლინა გალობა: “დიდებაჲ მადალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშვიდობაჲ და კაცთა შორის სათნოებაჲ!” (ლუკ. 2, 10-14)

ეკლესიის მამები თვლიან, რომ სწორედ მთავარანგელოზი გაბრიელი ამხნევებდა უფალ იესო ქრისტეს ჯვარცმის წინ, როდესაც მაცხოვარი გეთსამანიის ბაღში ღოცულობდა, რადგანაც სახელი გაბრიელი ღმრთის სიმტკიცეს ნიშნავს.

მთავარანგელოზი გაბრიელი მენელსაცხებლედ დედებსაც გამოეცხადა უფლის საფლავთან და აუწყა მათი მხსნელის ბრწყინვალე აღდგომა. და რადგანაც მთავარანგელოზი გაბრიელი უფლის ჩასახვისა და შობის მახარობელი იყო, მისი ბრწყინვალე აღდგომის მაცნეც გახდა.

იგი მოეველინა ყოველდღივად ღმრთისმშობელს, რომელიც მხურვალედ ღოცულობდა ელეონის მთაზე და აუწყა მიძინების მოახლოება და მიწიდან ზეცაში გადასახლება, მან უბოძა ღმრთისმშობელს სამოთხის რტო.

წმიდა ეკლესიამ მთავარანგელოზ გაბრიელის მრავალრიცხოვან გამოცხადებათა მოსახსენებლად წელიწადში ორჯერ დააწესა დღესასწაული – ღმრთისმშობლის ხარების მეორე დღეს, 8 აპრილს და 26 ივლისს (ახ. სტ.), რათა ღმრთის ერთი მუდამ გულმოდგინედ ევედროს ჩვენს მეოხს – მთავარანგელოზ გაბრიელს შეწევნისათვის, რათა ქრისტიანთათვის დაუცხრომლად მლოცველი მთავარანგელოზ გაბრიელის მეოხებით უფალ იესო ქრისტეს მიერ მივიღოთ მოტკეპვა ცოდვათა.

### **“ამიერიდან მარადის ასე უგალობდით ღმრთისმშობელს თქვენც და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი!”**

ათონის მთაზე, კარიესის მახლობლად მდებარეობს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის მიძინების კელია, სადაც ცხოვრობდნენ ერთი მსცოვანი ბერი და მისი მორჩილი. ერთხელ, 982 წლის 11 ივნისს, კვირადღეს, ბერი წავიდა კარიესის პროტატის ტაძარში, მორჩილი კი კელიაში დარჩა. დამით მას ესტუმრა უცნობი მონაზონი, რომელიც სათნო ყმაწვილმა პატივით მიიღო და მოასვენა. ლოცვის ჟამს, როდესაც ისინი მივიდნენ კანონის მეცხრე გალობამდე და იწყეს ყოვლადწმიდა ქალწულ მარიამის განდიდება, სტუმარმა ღმრთისმშობლის ხატის წინაშე მანამდე უცნობი გალობა წამოიწყო: “ღირს არს ჭეშმარიტად, რათა გადიდებდეთ შენ ღმრთისმშობელო, რომელი მარადის სანატრელ იქმენ, ყოვლადუბიწოდ და დედად ღმრთისა ჩვენისა”. ამის შემდგომ კი იგალობა წმიდა კოსმა მაიუმელის: “უპატიოსნესსა ქერუბიმთასა”.

განაკვირვა მორჩილი უცხო გალობამ და გულაჩუყებულმა წამოიძახა: “ჩვენ ვგალობთ მხოლოდ “უპატიოსნესსა ქერუბიმთასა”-ს, ასეთი საგალობელი კი არც ჩვენ და არც ჩვენს წინაპრებს არ გვსმენია. გთხოვ, დამიწერე იგი, რათა მეც ამგვარად ვუგალობდე ღმრთისმშობელ დედას”. სტუმარმა ითხოვა მეღანი და ქაღალდი, მაგრამ ისინი კელიაში არ აღმოჩნდა. მაშინ მან მოითხოვა ქვის ფილა და თითოთ გამოსახა მის ხელში ცვილივით დარბილებულ ქვაზე საგალობელი, შემდეგ იგი მორჩილს დაუბრუნა და უთხრა: “ამიერიდან მარადის ასე უგალობდით ღმრთისმშობელს თქვენც და ყველა მართლმადიდებელი ქრისტიანი!” კითხვაზე, თუ რა ერქვა მას, მიუგო, რომ ეწოდებოდა გაბრიელი და მეყვესეულად გაუჩინარდა.

ამის შემდეგ მორჩილი ღმრთისმშობელს ახალ საგალობელს უგალობდა. დილით კელიაში დაბრუნებული ბერი დიდად გაოცდა უცხო გალობის მოსმენით და როდესაც შეიტყო მორჩილისგან, რომ საგალობელი მას უცნობმა, სახელად გაბრიელმა, ასწავლა და იხილა ქვის ფილაც მასზე სასწაულებრივად გამოსახული საგალობლით, გულისხმაჰყო, რომ მათ ესტუმრა მთავარანგელოზი გაბრიელი და დიდება შესწირა ღმერთს. მათ ქვა პროტატში წარადგინეს და დაწერილებით უამბეს ათონის მთის მამათა კრებას მთავარანგელოზ გაბრიელის გამოცხადების შესახებ. მაშინ ყველამ ერთხმად განადიდა უფალი იესო ქრისტე და უგალობა ღმრთისმშობელს ახალი საგალობელი. ათონზე აღსრულებული სასწაულის შესახებ დაუყოვნებლივ აცნობეს პატრიარქსა და მეფეს და ჭეშმარიტების დასამოწმებლად გაუგზავნეს ქვის ფილაც. ამ დროიდან ანგელოზთა საგალობელი “ღირს არსი” ქრისტეს ეკლესიაში საყოველთაოდ დამკვიდრდა და მუდამ იგალობება საღმრთო ლიტურგიაზე და სხვა ღმრთისმსახურებაზე. ღმრთისმშობლის ხატი, რომლის წინაც აუღერდა ანგელოზის გალობა, პროტატის ტაძარში დააბრძანეს, სადაც დღემდე განისვენებს საკურთხეველში ამადლებულ ადგილზე და მასთან რწმენითა და სიყვარულით მიმავალთ ანიჭებს სულიერ და ხორციელ სწეულებათა კურნებას. ხატს ეწოდა “ღირს არსი”. მისი ხსენების დღე დადგენილია 11 ივნისს (ახ. სტილით 24 ივნისს)

## მფარველი ანგელოზი

ყოველ პატიოსან ადამიანს სურს, იცოდეს თავისი კეთილისმყოფელი ამქვეყნიურ საქმეებში; მით უფრო სასიამოვნოა, ვიცნობდეთ ჩვენს ზეციურ კეთილისმყოფელთ, რომლებიც შეგვეწვევიან არა მიწიერ და დროებით, არამედ ზეციურ, სულიერ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაში. ყოველ მართლმადიდებელ ქრისტიანს ჰყავს ასეთი კეთილისმყოფელი თავისი მფარველი ანგელოზის სახით.

ტაძარში ღოცვისას ღმერთს შევთხოვთ, მოგვმადლოს “ანგელოსი მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარი, მცველი სულთა და ხორცთა ჩვენთა”. წმიდა ეკლესიას სწამს, რომ ადამიანს ნათლისღების დროს უფალი ანიჭებს მფარველ ანგელოზს. უფალმა იესო ქრისტემ თქვა: “ეკრძალენით, ნუუკუე ვინმე შეურაცხ-ჰყოთ ერთი მცირეთა ამათგანი. გეტყვი თქვენ, რამეთუ ანგელოზნი მათნი ცათა შინა მარადის ხედვენ პირსა მამისა ჩემისასა, რომელ არს ცათა შინა” (მათ. 18, 10).

მფარველი ანგელოზი არის უხილავი სული, რომელსაც თავად ღმერთი მიუჩენს ყოველ ადამიანს მას შემდეგ, რაც იგი ხდება ქრისტიანი, ანუ წმიდა ნათლობის დღიდან. ყოველი ნათელდებული ნათლისღების საიდუმლოთი უერთდება ქრისტიანთა საზოგადოებას – ქრისტეს ეკლესიას, რათა დაიმკვიდროს მარადიული ნეტარება, რომლის მოხვეჭის შესაძლებლობაც ქრისტე მაცხოვარმა მისცა თავის მიმდევრებს. მაგრამ ვინაიდან ადამიანის ბუნებრივი ძალები სუსტია, მოწყალე უფალი ანიჭებს თითოეულ ქრისტიანს კეთილ ანგელოზს, რათა დაიცვას იგი ცხოვრების გზაზე და შეუმსუბუქოს მას ზეციური სასუფეველის მიღწევა. ეს მფარველი ანგელოზი მასზე მინდობილი ქრისტიანის გვერდით იქნება მთელი მისი მიწიერი ცხოვრების მანძილზე, თუკი იგი დარჩება ღმრთის მოშიში და მოყვარული, ასე რომ ქრისტიანთან მისი სიახლოვის ხარისხი დამოკიდებულია ცხონებისადმი ქრისტიანის სურვილსა და მისწრაფებაზე. ამგვარად, ღმრთისგან დადგენილი მფარველი ანგელოზის მსახურება მდგომარეობს იმაში, რომ ხელი შეუწყოს მასზე მინდობილი ადამიანის ცხონებას. იგი გვასწავლის რწმენასა და კეთილმსახურ ცხოვრებას, მარადის მეოხია ჩვენი ღმრთის წინაშე და გარდაცვალების ჟამს ჩვენი სული გადაჰყავს ზეცაში.

ასეთია მოკლედ მართლმადიდებელი ეკლესიის სწავლება მფარველ ანგელოზზე. ასე სწამდა ძველი აღთქმის ეკლესიასაც, ასე ასწავლიდა იესო ქრისტე, მისი წმიდა მოციქულნი და ეკლესიის მოძღვარნი. ნეტარი ავგუსტინე წერს: “ანგელოზები დიდი მზრუნველობითა და ფხიზელი გულმოდგინებით იმყოფებიან ჩვენთან ყოველ ჟამს და ყოველ ადგილას, შეგვეწვევიან, ზრუნავენ ჩვენს საჭიროებებზე, შუამდგომლობენ ჩვენსა და ღმერთს შორის, მიაქვთ მასთან ჩვენი წუხილი და სულთქმანი... ჩვენი თანმხლები არიან ყველა გზაზე, ჩვენთან ერთად შემოდინან და გადიან, ყურადღებით გვადევნებენ თვალს, მოკრძალებითა და პატიოსნებით თუ ვიქცევით ბოროტ მოდგმაში და როგორი გულმოდგინებით გვწადა და ვეძიებთ ცათა სასუფეველს”. მსგავს აზრს გამოთქვამს წმიდა ბასილი დიდიც: “ყოველ მორწმუნესთან არის ანგელოზი, რომელიც მასზე, როგორც ბავშვზე ზრუნავს და წარმართავს მის ცხოვრებას”, და დასტურად მოჰყავს მეფსალმუნის სიტყვები: “ანგელოზთა მისთა და უბრძანებეის შენთვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა... და იბანაკებს ანგელოზი უფლისად გარემოდს მოშიშთა მისთა და იხსნეს იგინი” (ფსალ. 90, 11; 33, 7). წმიდა თეოფანე დაყუდებული გვარიგებს: “უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენ გვყავს მფარველი ანგელოზი და მას უნდა მივმართოთ გონებით და გულით – როგორც ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე განსაცდელის ჟამს. თუ მას ასე არ მივმართავთ, ანგელოზი მოკლებული იქნება ჩვენი შეგონების საშუალებას. როდესაც ვინმე უფსკრულისაკენ მიდის ყურებდახშული და თვალდახუჭული – როგორ დაეხმარები მას?”

კაცთმოყვარე ღმერთის ბრძნული განჩინებით ანგელოზები ცხოველ და ქმედით მონაწილეობას იღებენ ჩვენს ცხოვრებაში. როგორც ყველაზე წმიდა არსებანი, რომლებსაც შეუძლიათ მხოლოდ უყვარდეთ, და არ სძულდეთ, მხოლოდ კეთილი ჰყონ, და არ ავნონ, – მფარველი ანგელოზები აკეთებენ



ყველაფერს, რაც ჩვენთვის ნამდვილად სიკეთის მომტანი და მაცხოვნებელია. მარადის უხილავად ჩვენთან მყოფნი, ისინი არა მარტო ჩვენი სურვილით საიდუმლოდ გვასწავლიან ყოველივე კეთილსა და სასარგებლოს, არა მარტო ჩვენს ღოცვებს აღუვლენენ ღმერთს, არამედ თავადაც გვიცავენ და გვიფარავენ ხილულ და უხილავ მტერთაგან, თვითონ ევედრებიან ღმერთს და გვშუამდგომლობენ მის წინაშე, ახარებთ ჩვენი სულიერი წარმატებანი და აწუხებთ ჩვენი დაცემანი. ამიტომ მართლმადიდებელი ეკლესია გვასწავლის, თაყვანი-ვცეთ და მოვუწოდოთ ღოცვებში ჩვენს მფარველ ანგელოზს, როგორც ჩვენს უახლოეს სულიერ დამრიგებელსა და მცველს.

წმიდა დიმიტრი როსტოველი ამბობს: “ანგელოზნი გვიფარავენ ჩვენი ცხოვრების ყველა გზაზე, ოღონდ თუკი კეთილად ვვალთ და რაიმე ბოროტი საქმისთვის არ მივემართებით, მოსაპარად ან სხვა რამ იმგვარი საქმის ჩასადენად კი არ მივდივართ, ღმერთს რომ განარისხებს, არამედ – კეთილი საქმისთვის და კეთილი განზრახვით”.

ანგელოზები ძილის დროსაც იფარავენ ღმრთისმოშიშ ადამიანებს. ერთი ძმა მივიდა ღირს პაისისთან, მაგრამ იგი მიძინარე დახვდა, მის თავით კი იხილა მფარველი ანგელოზი, მშვენიერი სახისა, და გულანთებულმა წამოიძახა: “ჭეშმარიტად, უფალი იცავს თავის მოყვარულთ”.

წმიდა ანგელოზნი გვიცავენ ეშმაკის მზაკვრობათაგან. ჩვენი ეს მტერი, საღმრთო წერილის მოწმობით, “ვითარცა ღომი მყვირალი მიმოვალს და ეძიებს, ვინმცა შთანთქა” (I პეტრ. 5, 8); და იგი ყოველ ჩვენგანს შთანთქავდა, მფარველი ანგელოზი რომ არ გვიცავდეს მისგან.

რა მოვალეობანი გვაკისრია ანგელოზების მიმართ?

ა) ჩვენ ჯეროვან პატივს უნდა მივაგებდეთ მათ და ღოცვებშიც მოვუხმობდეთ. წმიდა ამბროსი ამბობს: “სნეულთ არ შეუძლიათ შეწვენა სთხოვონ ექიმს, თუკი სხვები არ მოუწოდებენ და არ მოიყვანენ მას. ასევე ჩვენი სხეულიც უძღურია, სული – მოუძღურებელი და ცოდვის ბორკილებით შეკრული და მას არ ძალუძს მკურნალს აუხსნას ყველაფერი, რაც საჭიროა. ამიტომაც უნდა მივმართოთ ღოცვით იმ ანგელოზებს, რომლებიც თანამდგომელებად გვყავს მოცემული”;

ბ) ჩვენ მადლიერებითა და სიყვარულით უნდა ვიყოთ გამსჭვალული ანგელოზებისადმი მათი მსახურებისათვის ჩვენს საცხოვნებლად და იმიტომ, რომ არ გვტოვებენ, თუმცა განუწყვეტლივ გულს ვტკენთ ჩვენი ცოდვებით;

გ) კვალად, უნდა ვცდილობდეთ მათთან დამეგობრებას საკუთარი თავის განწმედით ცოდვებისგან და შეძლებისდაგვარად ანგელოზთა თვისებების – სიწმინდისა და სხვათა შექმნას; ფხიზლად უნდა ვადევნებდეთ თვალყურს არა მხოლოდ ჩვენს საქმეებს, არამედ სიტყვებსა და აზრებსაც, რათა არ შეურაცხყოთ უფლის ანგელოზები და არ განვაგდოთ ისინი ჩვენგან, რადგან როგორც ფუტკრები განეშორებიან სიმყრალის გამომცემელ ადგილს, ასევე ანგელოზებიც განეშორებიან ცოდვით;

დ) ცოდვათაგან თავის წარმატებული შემოხლადვისათვის ჩვენ განუწყვეტლივ უნდა ვევედრებოდეთ უფალს მფარველი ანგელოზის მოვლინებას და მარადის ჩვენს გვერდით ყოფნას;

ე) ჩვენ უნდა შევისმენდეთ ანგელოზთა კეთილ შეგონებებს და მათ კვალდაკვალ ვიდოდეთ, ვზრუნავდეთ საკუთარი სულის ღოცვით განწყობაზე;

ვ) მათ უნდა ვთხოვდეთ შეწვენას განსაცდელში, ნუგეშს – მწუხარებაში, განკურნებას – სნეულებაში და დაცვას ხილულ და უხილავ მტერთაგან;

ზ) ჩვენ მარადის უნდა ვევედრებოდეთ წმიდა ანგელოზებს, რათა ჩვენი განუყრელი მფარველნი და მცველნი იყვნენ სიცოცხლეშიც და სიკვდილის ჟამსაც.

## **ანგელოზები ზრუნავენ ღმრთისმოშიშ ადამიანებზე და იცავენ მათ საფრთხისგან**

ფსალმუნი ამბობს: “ხელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი”, ანუ როგორც დედა, როცა ბავშვი სწავლობს სიარულს, თვალს ადევნებს მის ყოველ ნაბიჯს და თუ ხედავს, რომ მან შეიძლება რაიმეს წამოჰკრას ფეხი, მაშინვე აჰყავს ხელში – ამის მსგავსად ეპურობიან ანგელოზები ადამიანებს და თუკი ისინი ბავშვივით მინდობილი არიან ღმრთის ნებაზე, წმიდა ანგელოზები დედობრივი მზრუნველობით იცავენ მათ საცდურის ლოდზე შებრკოლებისგან და არ უშეგებენ მათ ჩავარდნას განსაცდელსა და ცოდვაში. მართალ იოსებს, ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის დამწინდველს, ეჭვი შეეპარა მის ქალწულებრივ უბიწოებაში და განიზრახა მისი ფარულად გაშეგება, მაგრამ ამ უსამართლობისგან იგი იხსნა ანგელოზმა და, ამგვარად, არ შებრკოლდა საცდურის ლოდზე. ანგელოზები იფარავენ ჩვენი სულების სიწმინდეს და ამასთან იცავენ ჩვენს ხორციელ უსაფრთხოებასაც ხილულ და უხილავ მტერთაგან, აშკარა და ფარულ საფრთხეთაგან. ოდესღაც სირიის მეფის მიერ ელისე წინასწარმეტყველის შესაპყრობად გამოგზავნილმა მრავალრიცხოვანმა ჯარმა ალყა შემოარტყა ქალაქს, სადაც თავი შეეფარებინა წინასწარმეტყველს. მოსალოდნელი საშიშროების ხილვისას მისი მოწაფე შიშმა შეიპყრო, მაგრამ იგი დაამშვიდა მოძღვარმა, რომლის ლოცვითაც მოწაფეს აეხილა თვალები და იხილა ანგელოზთა კრებულნი, რომლებიც წინასწარმეტყველის დასაცავად ამხედრებულყვნენ (4 მეფ. 6, 17). ეკლესიის ისტორიამ შემოგვინახა მრავალი შემთხვევა ანგელოზთა საკვირველი მფარველობისა, ჩვენ მხოლოდ რამდენიმე მათგანის შესახებ მოვითხრობთ.

### **“აი, ისინი, რომლებსაც უფალი გზავნის წმიდანთა დასახმარებლად”**

ერთხელ აბბა ისიდორემ ამაღლებულ ადგილზე აიყვანა არაწმიდა ზრახვებთან ბრძოლით დაუძღურებული აბბა მოსე და უთხრა მას: “გაიხედე დასავლეთით”. მოსემ გაიხედა და დაინახა იქ უთვალავი დემონი, რომლებიც მოისწრაფოდნენ ადამიანებთან საბრძოლველად. აბბა ისიდორემ კვლავ უთხრა მას: “გაიხედე ახლა აღმოსავლეთით”. აბბა მოსემ გაიხედა და იხილა დიდებით მოსილ წმიდა ანგელოზთა უთვალავი სიმრავლე. შემდეგ აბბა ისიდორემ მას უთხრა: “აი ისინი, რომლებსაც უფალი გზავნის წმიდანთა დასახმარებლად; ხოლო ისინი, რომლებიც დასავლეთით არიან, ჩვენს წინააღმდეგ აღძრავენ ბრძოლას. მაგრამ ჩვენი შემწევი გაცილებით მეტი არიან”. ხილვამ გაამხნევა და დაამშვიდა ბოროტი ზრახვებით შეწუხებული ბერი.

### **ასე გვიცავენ წმიდა ანგელოზები მტრის საბრხეთაგან**

ერთხელ ნეტარმა თეოდორემ, ედესის ეპისკოპოსმა, ჰკითხა ერთ წინამხედველ მესვეტეს, თუ როგორ ცნობდა და განასხვავებდა იგი მართალთა და ცოდვილთა. მესვეტემ მიუგო: “თუ ჩემს სვეტთან ჩაივლის მართალი და ღმრთისმოშიშ კაცი, მე ვხედავ ღმრთის მადლს და ნათელ ანგელოზებს, რომლებიც მას ორივე მხარეს მიჰყვებიან, ეშმაკები კი შორს მიდიან და ვერ ბედავენ მასთან მიახლოებას; მაგრამ თუ ჩაივლის ცოდვილი, მის გარშემო ვხედავ მოხეიმე ეშმაკთა ხროვას, მფარველი ანგელოზი კი მას მოშორებით მიჰყვება, მწუხარებს და გლოვობს მისი დაღუპვის გამო. მაგრამ როცა ეშმაკებს სურთ საბოლოოდ დაღუპონ ეს კაცი, მაშინ მოდის მფარველი ანგელოზი ცეცხლოვანი მახვილით და განდევნის მათ”. ასე გვიცავენ წმიდა ანგელოზები მტრის საბრხეთაგან.

## **მაშინ მემამულე მიხვდა, რომ მონასტერს იცავენ ღმრთის ანგელოზები**

როდესაც ღირსი კირილე აშენებდა ბელოზერსკის მონასტერს, მშენებლობის წარმატებით გაკვირვებული მეზობლად მცხოვრებნი კირილეს დიდი სიმდიდრის პატრონად თვლიდნენ. ამ ხმებმა ერთ ანგარებიან მემამულემდეც მიადწია. მან შეკრიბა თავისი მსახურნი და ღამით გაეშურა ღირსი მამის გასაძარცვავად. გაღაპრებულ მისულმა ბოროტისმზრახველებმა იხილეს, რომ მონასტრის სიახლოვეს მიმოდინდა მეომართა დიდი სიმრავლე ამოწვდილი ხმლებით. ყაჩაღები დილაზე ელოდნენ მეომართა დაძინებას, მაგრამ ამას ვერ მოესწრნენ და შინ დაბრუნდნენ. მეორე ღამეს მათ უფრო მეტი მეომარი იხილეს და კვლავ ხელმოცარულნი დარჩნენ. დილით მემამულემ მონასტერში მსახური გაგზავნა იმის გასაგებად, თუ რომელი პოლკი იდგა იქ და რამდენი ხნით აპირებდა გაჩერებას. მსახურმა მოიტანა ამბავი, რომ კვირაზე მეტია მონასტერში არათუ ჯარი, ერთი მომლოცველიც კი არ ყოფილა. მაშინ მემამულე მიხვდა, რომ მონასტერს იცავენ ღმრთის ანგელოზები და შეინანა ბოროტი განზრახვა.

### **“ასე გიბრძანებთ უფალი საბაოთ...”**

ერთხელ ღირსმა ნიფონტმა ლოცვის შემდეგ ჩასთვლიმა და იხილა ვრცელი მინდორი, სადაც იდგა უამრავი ბოროტი სული, მძიმე ცოდვების მიხედვით სამას სამოცდახუთ პოლკად დაყოფილი. ერთ-ერთი ყველაზე შავი ეთიოპელი პოლკებს ბრძოლისათვის ამზადებდა: “მიყურეთ მე და ნურაფრის ნუ გეშინიათ, რადგან ჩემი ძალა თქვენთან იქნება”. ზოგიერთმა დემონმა მოიტანა სხვადასხვა სახის დიდძალი იარაღი და პოლკებს დაურია. ეშმაკმა თითოეულ პოლკს მისცა გრძნეულებანი და გაუშვა მიწაზე, ქრისტეს ეკლესიასთან საბრძოლველად.

როდესაც ნეტარი მამა ამას უცქერდა, მოესმა ხმა: “ნიფონტ, გაიხედე აღმოსავლეთისკენ”. მან თვალი მიაპყრო აღმოსავლეთს და იხილა სუფთა და ღამაზი მინდორი, რომელზეც იდგა დემონებზე ორჯერ მეტი თეთრით მოსილი ჭაბუკი, ასევე ბრძოლისათვის განმზადებული. შემდეგ მოვიდა მზეზე უფრო ნათელი სახის კაცი და მიმართა მათ: “ასე გიბრძანებთ უფალი საბაოთ: წადით მთელ ქვეყანაზე, დაეხმარეთ ქრისტიანებს და დაიცავით მათი სიცოცხლე”. ღირსმა მამამ განადიდა ღმერთი, რომელიც ასე შეეწევა თავის ეკლესიას.

## **ეს ზეციური დესპანნი ზრუნავენ ადამიანების ხორციელ ჯანმრთელობაზეც**

ეს ზეციური დესპანნი ზრუნავენ ადამიანების არა მარტო სულიერ გადარჩენაზე, არამედ მათ ხორციელ ჯანმრთელობაზეც. პატერიკი მოგვითხრობს, თუ როგორ განკურნა მფარველმა ანგელოზმა ერთი მეუღლები, რომელიც კუჭის ძლიერი ტკივილით იტანჯებოდა. ანგელოზი ეჩვენა სნეულს და ტანჯვის მიზეზი გამოჰკითხა. შემდეგ თითო ბასრი დანის მსგავსად გაუჭრა დაავადებული ადგილი, გამოწმინდა დაგროვილი ჩირქი და მერე ხელით ჭრილობა გაუმრთელა; ამგვარად განკურნა მეუღლები და დაუბრუნა მას ფიზიკური სიმრთე.

## **სიმდაბლით ითხოვა, მიეღოთ იგი მართლმადიდებელ ქრისტიანთა რიგებში**

ერთ კეთილმორწმუნე ადამიანს თეოდოტიონის მწვალებლობამ დაუბნელა გონება და რამდენიმე წელი ამ ცდომილებაში იყო. ერთხელ, ღრმა ძილში, მას მოულოდნელად ეჩვენა ანგელოზი და ჭეშმარიტი რწმენისგან განდგომის გამო ძლიერ სცემა. ამ საკვირველი ჩვენებით, უფრო მეტად კი ცემით მიყენებული ტკივილით გამოღვიძებული მოხუცი დაუყოვნებლივ წარდგა ეპისკოპოსთა კრების

წინაშე, უამბო თავისი ხილვის შესახებ და სიმდაბლით ითხოვა, მიეღოთ იგი მართლმადიდებელ ქრისტიანთა, ღმრთის ეკლესიის ჭეშმარიტ შვილთა რიგებში.

**“იყავი სრული და გულით მდაბალი უფლის წინაშე, ემსახურე მას სიხარულით და მე არ განგეშორები შენ”**

ერთხელ ღირსმა ონოფრე დიდმა დაყუდებული ცხოვრების სიყვარულით დატოვა თებაიდის მონასტერი და უდაბნოს მიაშურა. მოულოდნელად მან იხილა ნათლის სხივი და შეშინებულმა უკან გაქცევა დააპირა, მაგრამ ნათლის სხივი მიუახლოვდა მას და მოესმა ხმა: “ნუ გეშინია, მე ვარ შენი ანგელოზი, შენი შობისთანავე უფლისგან შენს დასაცავად დადგენილი, და მუდმივად შენთან ერთად დავდივარ. ამჯერად მე ღმრთისგან ნაბრძანები მაქვს, წავიყვანო უდაბნოში. იყავი სრული და გულით მდაბალი უფლის წინაშე, ემსახურე მას სიხარულით და მე არ განგეშორები შენ”. ანგელოზი ღირს ონოფრეს წინ გაუძღვა. საკმაო მანძილი რომ გაიარეს, წმიდანმა დაინახა ჩინებული გამოქვაბული და ანგელოზის ნათელი სხივიც გაუჩინარდა.

უდაბნოში განმარტოების პირველი წლები მრავალი განსაცდელით იყო აღსავსე: დღისით ღირს ონოფრეს თაკარა მზე წვადა, ღამით კი ყინვისგან ითოშებოდა. იგი უდაბნოს მცენარეებით იკვებებოდა, წყურვილს კი ნამით იკლავდა. ღმერთმა თავის ერთგულ შვილს ღვაწლში განმტკიცების შემდეგ ანგელოზი გამოუგზავნა, რომელსაც მასთან პური და წყალი მოჰქონდა. უფლის ანგელოზი მას ოცდაათი წელი კვებავდა; ამის შემდეგ მის გამოქვაბულთან ამოვიდა ფინიკის ხე ტკბილი ნაყოფით და აღმოცენდა წყარო ცივი წყლით. ღირს ონოფრეს ანგელოზი აზიარებდა იესო ქრისტეს უხრწნელ ხორცსა და სისხლს. “და არა მარტო ჩემთან მოდის ანგელოზი ღმრთაებრივი ზიარებით, – განუცხადა წმიდა მეუდაბნოემ ღირს პაფნუტის, – არამედ სხვებთანაც, რომლებიც ღმრთის გულისათვის უდაბნოში ცხოვრობენ და ვერ ხედავენ ადამიანის სახეს. ანგელოზის ხელებიდან ზიარება მათ გამოუთქმელი მხიარულებით აღავსებს. და თუ რომელიმე მათგანი ისურვებს ადამიანის ხილვას, ანგელოზს აჰყავს იგი ზეცად, რათა იხილოს წმიდანები და განიხაროს; მაშინ ის ადამიანი სულით ნათლდება და ხარობს, რომ ღირს-იქმნა ზეციურ მშვენიერებათა ხილვისა და ივიწყებს უდაბნოში გაწეულ ყველა შრომას. თავის ადგილზე დაბრუნების შემდეგ იგი უფრო გულმოდგინედ ემსახურება ღმერთს და ესავს, საუკუნოდ დაიმკვიდროს ის, რისი ხილვის ღირსიც შეიქნა ზეცაში”.

**“შენი მეუღლე, სარა შობს ძეს, რომელიც ნეტარის სახელს დაიმკვიდრებს”**

ღირსი მაკარი (ბერძნ. მაკარი ნიშნავს ნეტარს) დიდის მშობლები იყვნენ მართალი აბრაამისა და სარას მოსახელენი და მათ მსგავსად მოხუცებულობამდე შვილი არ მიეცათ. ერთხელ მძიმე სნეულებით სიკვდილის პირას მისულმა აბრაამმა იხილა უფლის ანგელოზი, რომელიც საკურთხევიდან გამოვიდა, მიუახლოვდა მას და უთხრა: “აბრაამ, აბრაამ, ადექი საწოლიდან”. აბრაამმა მიუგო: “ავად ვარ, ბატონო, არ შემიძლია წამოდგომა”. მაშინ ზეციურმა მაცნემ აღერსიანად მოჰკიდა მას ხელი და აუწვა: “ღმერთმა შეგიწყალა – მიიღო შენგან სნეულება და მოგანიჭა თავისი ღოცვა-კურთხევა: შენი მეუღლე, სარა შობს ძეს, რომელიც ნეტარის სახელს დაიმკვიდრებს, გახდება სავანე სული წმიდისა, ქვეყნად ანგელოზივით იცხოვრებს და მისი მემკვიდრეობით მრავალნი მივლენ ღმერთთან”.

**ანგელოზები განამტკიცებენ წმიდა მოწამეებს მოწამეობრივ ღვაწლში**

## ლოცვის დროს ზეციდან ხმა მოესმა: “გაძლიერდი, აკაკი!”

წმიდა მოწამე აკაკი დაიბადა კაპადოკიაში და იყო პოლკის ასისტავი. როდესაც იმპერატორ მაქსიმიანე გალერიუსის ბრძანებით დაიწყო ქრისტიანთა დევნა, მხედართმთავარმა თერმმა სათითოდ დაკითხა თავისი მეომრები. წმიდა აკაკიმ მტკიცედ და საჯაროდ აღიარა ქრისტიანობა. სასტიკი ტანჯვა-წამების შემდეგ მოწამე სხვა ქრისტიანებთან ერთად ბიზანტიაში წაიყვანეს. გზაში წმიდანმა სამადლობელი ღოცვა აღუვლინა უფალს. ღოცვის დროს ზეციდან ხმა მოესმა: “გაძლიერდი, აკაკი!” ეს ხმა სხვა პატიმრებმაც გაიგონეს და ირწმუნეს ქრისტე. ერთხელ, ღამით, პატიმრებმა იხილეს, რომ წმიდანთან ნათლით მოსილი ჭაბუკები მოვიდნენ, წყლულები მობანეს და საჭმელი მოუტანეს.

## მას ყურს უგდებდა წმიდა ანგელოზთა დიდი დასი

მსაჯულის ბრძანებით წმიდა თეოდორე ტირონი დილეგში ჩააგდეს, რათა შიმშილით მოეკლათ. მაგრამ სულიწმიდის მადლი შეეწვოდა წმიდანს. ერთხელ, ღამით, მას თვით უფალი იესო ქრისტე გამოეცხადა და უთხრა: “გამხნევი, თეოდორე, მე შენთან ვარ, ნუ მიიღებ მიწიერ საზრდელს და სასმელს, რამეთუ შენთვის განმზადებულია საუკუნო ცხოვრება ზეცაში”. ამის შემდეგ უფალი თვალს მიეფარა. ჩვენებით ნუგეშისცემულმა თეოდორემ სულით განიხარა და ფსალმუნთა გალობა დაიწყო. მას ყურს უგდებდა წმიდა ანგელოზთა დიდი დასი. დილეგის მცველნი ამ ტკბილი გალობის გაგონებაზე საკნის კართან მივიდნენ. როდესაც დარწმუნდნენ, რომ კარი ჩაკეტილი იყო და ბეჭედი ხელუხლებელი, ფანჯრიდან შეიხედეს და დაინახეს, რომ თეთრ სამოსელში გამოწყობილ კაცთა სიმრავლე წმიდა თეოდორესთან ერთად გალობდა. შეშინებულმა მცველებმა ყოველივე ჰეგემონ პუბლიუსს აუწყეს, მან კი მაშინვე დილეგს მიაშურა. როდესაც ნახა, რომ ბოქლომი და ბეჭედი მთელი იყო, შიგნიდან კი მგალობლების ხმა ისმოდა, მეომრებს უბრძანა, ყოველი მხრიდან ალყა შემოერთყათ დილეგისათვის, რადგან ფიქრობდა – შიგნით თეოდორესთან ერთად სხვა ქრისტიანებიც არიანო. მაგრამ საკანში რომ შევიდა, ხელფეხშეკრული წმიდანის გარდა არაფერი დახვდა; შიშმა და ძრწოლამ შეიპყრო ჰეგემონიც და ყველა იქ მყოფიც.

## ანგელოზმა შეაჩერა იგი და ქალაქში დაბრუნება უბრძანა

წმიდა ერაზმი, ფორმიის ეპისკოპოსი, სიყრმიდანვე გულმოდგინედ ემსახურებოდა უფალს. დიოკლეტიანეს და მაქსიმიანეს მიერ ქრისტიანთა დევნისას ერაზმმა გადაწყვიტა, გარიდებოდა სატანჯველს, მაგრამ ანგელოზმა შეაჩერა იგი და ქალაქში დაბრუნება უბრძანა. გზად მას მეომრები შეხვდა და მათ წინაშე ქრისტიანად გამოაცხადა თავი. წმიდა ერაზმი ანტიოქიაში დიოკლეტიანეს მიჰგვარეს. წმიდანმა უშიშრად აღიარა ქრისტე და უსჯულოებაში ამხილა იმპერატორი. იგი სასტიკად აწამეს, მაგრამ ვერ გატყვეს. საპყრობილეში ჩაკეტილი ქრისტეს აღმსარებელი ანგელოზმა სასწაულებრივად გამოიხსნა და უბრძანა: “მომეყვი, იტალიაში წავიყვან, იქ მრავალი ადამიანი ელოდება შენს სიტყვას”. ლუკიაში წმიდანმა ხალხს ქრისტეს სარწმუნოება უქადაგა და მკვდრეთით აღადგინა ერთი დიდებულის ვაჟი. ამ სასწაულის შემდეგ 10000 კაცი მონათლა. რომის იმპერიის დასავლეთის მფლობელმა მაქსიმიანე პერკულმა ბრძანა მისი შეპყრობა და სამსჯავროზე მიყვანა. წმიდა ერაზმმა კვლავ თამამად აღიარა ქრისტე. იგი ცემეს და ძალით წაიყვანეს წარმართულ ტაძარში, მაგრამ, როგორც კი მან ტაძარში ფეხი შედგა, კერპები ჩამოცვივდა და დაიმსხვრა, სამსხვერპლოდან კი ცეცხლი გამოვარდა და მრავალი წარმართი დაწვა. გათავისუფლებულმა ერაზმმა უამრავი ხალხი

მონათლა და ქალაქ სარმიაში წავიდა, სადაც კვლავ შეიპყრეს და აწამეს. წმიდანი გახურებულ ღუმელში შეაგდეს, მაგრამ ცოცხალი და უვნებელი გადარჩა. ამ სასწაულმა ისე შეძრა ხალხი, რომ იმპერატორს ამბოხების შეეშინდა და სასახლეში მიიმალა. ანგელოზმა ბორკილებისგან გაათავისუფლა ერახში და დააბრუნა ფორმიაში, თავის საეპისკოპოსოში. იგი აღესრულა 303 წელს.

### **მაშინ გამოჩნდა უფლის ანგელოზი და მისი წყლულები განკურნა**

წმიდა ბარბარ მხედარი იყო ფარული ქრისტიანი. ფრანკებთან ომის დროს მან დაამარცხა მტრის გოლიათი მეომარი და საყოველთაო აღიარება დაიმსახურა. ფრანკებზე გამარჯვების შემდეგ მხედართმთავარმა ბაქომ გადაწყვიტა მსხვერპლი შეეწირა წარმართული ღმერთებისთვის და პირველი მსხვერპლშეწირვის პატივი დაუთმო ბარბარს. ქრისტეს მხედარმა საჯაროდ გამოაცხადა თავი ქრისტიანად და უარი თქვა მსხვერპლშეწირვაზე. ამისთვის იულიანე განდგომილის ბრძანებით წმიდანი სასტიკად აწამეს – ხეზე დაკიდეს და სხეული ისე დაუსერეს, რომ შიგნეული გადმოუცვივდა. მოწამემ ღმრთისგან შემწეობა ითხოვა. მაშინ გამოჩნდა უფლის ანგელოზი და მისი წყლულები განკურნა.

### **...და ირწმუნეს ეფემიას ღმერთი**

ქალკედონის მმართველის პრისკოპის ბრძანებით ჯალათებმა მახვილებჩამაგრებულ ბორბალზე დააკრეს ქრისტეს ტარივი ეფემია ყოვლადქებული. მისი ტრიალის დროს მოწამის სხეული იკვეთებოდა და ხორცის ნაგლეჯები ირგვლივ ცვიოდა. ნეტარი ხმამაღლა ლოცულობდა. და აი, უეცრად ბორბალი თავისით გაჩერდა და უღმერთობმა ვერაფრით მოახერხეს მისი ამოდრავება. ზეცით გარდმომხდარმა უფლის ანგელოზმა გაათავისუფლა ეფემია და წყლულებათაგან განკურნა; გახარებულმა წმიდანმა მადლობა შესწირა უფალს. მმართველმა ვერ გულისხმაჰყო მომხდარი სასწაული და მხედრებს, ვიქტორსა და სოსთენს უბრძანა მარტვილის გახურებულ ღუმელში ჩაგდება. მაგრამ მათ ანგელოზები იხილეს, უარი განაცხადეს განკარგულების შესრულებაზე და ირწმუნეს ეფემიას ღმერთი.

### **“შეუდექ ქრისტეს და ცხონდები”, – მიუგო წმიდა ქალწულმა**

გამძვინვარებულმა მმართველმა და ქურუმებმა ხალხს უბრძანეს, ქვებით ჩაექოლათ წმიდა გლიკერია, მაგრამ ქვები ვერ აღწევდა მოწამემდე, რადგან უფალი იცავდა თავის რჩეულს. უეცრად ჯალათთა შორის ანგელოზი გამოჩნდა. შიშით ზარდაცემულნი, ყველანი მიწაზე განერთხნენ. როცა ჩვენება გაქრა, საბიანეს ბრძანებით წმიდანი საპყრობილეში ჩააგდეს, კარები მტკიცედ დაგმანეს და მმართველის პირადი ბეჭედი დაადეს. პყრობილობის მანძილზე წმიდა ქალწულთან უფლის ანგელოზს მოჰქონდა პური და წყალი. მრავალი დღის შემდეგ საბიანემ თვითონ გახსნა ბეჭედი, შევიდა საკანში და გაოგნდა, როცა ცოცხალი და საღ-სალამათი იხილა გლიკერია. წმიდანი გახურებულ ღუმელში ჩააგდეს, მაგრამ ცეცხლი ჩაქრა და ღუმელიც გაცივდა. მრისხანებისგან გონდაკარგულმა მმართველმა ბრძანა, ქალწულისთვის ტყავი გაეძროთ. სასწაულებრივად შუადამისას უფლის ანგელოზი გარდამოხდა ზეცით და წყლულები გაუმრთელა მოწამეს. დილით დილეგის მცველმა, ლაოდიკემ ვერ იცნო გლიკერია, ეგონა, ტუსადი გამექცაო და დასჯის შიშით თავის მოკვლა გადაწყვიტა, მაგრამ წმიდანმა შეაჩერა. ამ სასწაულმა შეძრა ლაოდიკე, მან ირწმუნა ჭეშმარიტი ღმერთი და გლიკერიას შეევედრა, ელოცა მისთვის, რომ თვითონაც მასთან ერთად აღსრულებულიყო უფლის სადიდებლად. “შეუდექ ქრისტეს და ცხონდები”, – მიუგო წმიდა ქალწულმა.

### **მოწამის ლოცვით ანგელოზები უჩინო იქმნენ...**

ქრისტეს მოწამე ალექსანდრე რომაელი მსახურობდა რომში ტრიბუნ ტიბერიანეს პოლკში. იგი იყო 18 წლის, როცა იმპერატორმა მაქსიმიანე ჰერკულესმა გამოსცა ბრძანება, რომ განსაზღვრულ დღეს ყველა მოქალაქე მისულიყო ზევსის ტაძარში და მსხვერპლი შეეწირა. ბავშვობიდან ქრისტიანული რწმენით გაზრდილმა ალექსანდრემ ამაზე უარი განაცხადა და იგი იმპერატორთან დაასმინეს. ალექსანდრეს ეძინა, როცა მის შესაპრობად მოვიდნენ. წმიდანი ანგელოზმა გამოაღვიძა და მოსალოდნელი მოწამეობრივი აღსასრულის შესახებ აუწყა. უშიშრად წარდგა უფლის რჩეული მეფის წინაშე და თამამად აღიარა მაცხოვარი. იმპერატორის დაპირებებმა ვერ გაჭრეს და ალექსანდრე უღმობლად აწამეს. უფლის ანგელოზმა წმიდანის დედას პიმენიას გამოუცხადა შვილის აღმსარებლური დეაწლის შესახებ. ჭაბუკ მოწამეს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანეს. ჯალათმა ხელი ვერ აღმართა აღმსარებლის მოსაკლავად, რადგან ხედავდა მისი სულის წასაყვანად მოსულ ანგელოზებს. მოწამის ღოცვით ანგელოზები უჩინო იქმნენ და ჯალათმაც თავი წარკვეთა მას. პატიოსანი სხეული მდინარეში ჩააგდეს, მაგრამ ოთხმა ძაღლმა იგი ხმელეთზე ამოიყვანა და მანამდე უდარაჯა, სანამ არ მოვიდა დედა და პატივით დაფლა შვილის ცხედარი. მის საფლავთან კურნებანი აღესრულებოდა.

### **“წადი... და უჩვენე, რა უძღურია მისი ძალა უფლის წინაშე!”**

ქრისტესთვის თავდადებულ აკვილინას საშინელი ტანჯვა-წამების შემდეგ გახურებული შამფურები გაუყარეს ყურებში და თავი გაუხვრიტეს. იგი მკვდარივით დაეცა მიწაზე. მტარვალმა ბრძანა ბავშვი ქალაქბარეთ დაეგდოთ ძაღლების დასაგლეჯად. შუაღამისას უფლის ანგელოზი მიეახლა აკვილინას, ხელის შეხებით განკურნა, წამოაყენა და უთხრა: “წადი, ამხილე ვოლუსიანე და უჩვენე, რა უძღურია მისი ძალა უფლის წინაშე!”

### **ვიტე მოუკლებლად ღოცულობდა და შეწვენას შესთხოვდა უფალს**

წმიდა მოწამე ვიტე იყო ცნობილი სიცილიელი დიდებულის, წარმართი გილასის ვაჟი. უფალმა ვიტეს სასწაულთქმედების ნიჭი მიჰმადლა. იგი სწეულებს კურნავდა და მრავალი წარმართი მოაქცია ქრისტეს რჯულზე. ხორციელ ცოდვაში რომ ჩაეგდო, გილასმა შვილი ფუფუნებით აავსო და ლამაზი გოგონები მოუყვანა. წმიდანთან საუკეთესო საჭმელები მოჰქონდათ, ნადიმებს აწყობდნენ, მაგრამ ამაოდ. ღმრთის მცნებების ერთგული ვიტე მოუკლებლად ღოცულობდა და შეწვენას შესთხოვდა უფალს. წმიდანს ანგელოზები ეცხადებოდნენ და მასთან ერთად ღოცულობდნენ. ერთხელ შვილთან შესულმა გილასმა ანგელოზები იხილა და დაბრმავდა. გილასმა აღთქმა დადო, რომ უარყოფდა კერპებს და წმიდა ვიტეს ღოცვით თვალები აეხილა, მაგრამ განკურნების შემდეგ სიძულვილით აღივსო ძის მიმართ და მისი მოკვლა გადაწყვიტა. ფარულმა ქრისტიანებმა, მისმა აღმზრდელმა წმიდა მოდესტომ და ძიძამ, წმიდა კრისკენტიამ ყრმა ვიტე მალულად გაიყვანეს მშობლების სახლიდან, უფლის ანგელოზისგან დაცულნი განმარტოვდნენ იტალიის ერთ-ერთ მხარეში და დიდხანს ფარულად ცხოვრობდნენ. წმიდა ვიტე კვლავ კურნავდა სწეულებს, აქრისტიანებდა წარმართებს. მისი სასწაულების ამბავი მთელ ქვეყანაში გახმაურდა...

**--გალობით განადიდებდა ღმერთს**

წმიდა ერმონია ფილიპე მოციქულის ასული იყო. იმპერატორმა ადრიანემ დიდ სატანჯველს სწია იგი და როცა ვერ გატეხა ქრისტეს ტარიგი, მისი გახურებულ ტაფაზე დაგდება ბრძანა. მაგრამ მოხდა სასწაული: უფლის ანგელოზმა მიმოფანტა აღგზნებული ნაკვერცხლები და თვით მტარვალნი მოსწყლა, მოწამე კი ისე იდგა ტაფაზე, როგორც მწვანე მოლზე და გალობით განადიდებდა ღმერთს.

### **უფალმა მას განსაკუთრებული წყალობა მიჰმადლა**

წმიდა მენინგი უბრალო ხელოსანი იყო. უფალმა მას განსაკუთრებული წყალობა მიჰმადლა: ნეტარმა ორჯერ გაიგონა ზეცით ხმა, რომელიც ქრისტესთვის წამების დათმენისკენ მოუწოდებდა. იმპერატორ დეკიუსის მიერ ქრისტიანთა დევნისას მოხდა სასწაული: ანგელოზმა პერობილი ქრისტიანები ციხიდან გაათავისუფლა. როდესაც ამის შესახებ შეიტყო, მენინგი სიხარულით აღივსო და მთელი გულით შეიყვარა ქრისტე. მას მოაგონდა ზეციური მოწოდება ქრისტესთვის მარტვილობისკენ, დახია მოედანზე გამოკრული უსჯულო დეკიუსის ბრძანება მართლმორწმუნეთა დევნის შესახებ და საჯაროდ აღიარა ჭეშმარიტი ღმერთი. ამისთვის იგი შეიპყრეს და სასტიკი წამების შემდეგ თავი მოკვეთეს. აღსასრულის წინ მოწამის ბაგეებს თეთრი მტრედი მოსწყდა.

### **“ნუ გეშინია, მხნედ შეებრძოლე მტერს და როცა გაიმარჯვებ, არ დაივიწყო უფალი ღმერთი შენი”**

წმიდა დიდმოწამე მერკვირი მსახურობდა რომაელთა ლაშქარში. ბარბაროსებთან ბრძოლის დროს მას უფლის ანგელოზი გამოეცხადა, მახვილი გაუწოდა და უთხრა: “ნუ გეშინია, მხნედ შეებრძოლე მტერს და როცა გაიმარჯვებ, არ დაივიწყო უფალი ღმერთი შენი”. წმიდა მეომარმა ამ მახვილით გაბედულად გაიკაფა გზა მოწინააღმდეგის ურდოებს შორის, ურიცხვი მტერი დახოცა, თვით ბარბაროსთა მეფეც მოკლა და რომაელებს გამარჯვება მოუტანა. მადლიერმა იმპერატორმა სიმამაცისთვის მერკვირი უხვად დააჯილდოვა და მხედართუფროსად დანიშნა. წმიდა მხედარს კვლავ გამოეცხადა უფლის ანგელოზი, შეახსენა, ვისგან ებოძა გამარჯვება და ღმრთის სამსახურისკენ მოუწოდა. მაშინ მერკვირის მოაგონდა, რომ მამამისი, გორდიანე ქრისტიანი იყო და თავადაც მონათლა. მან უარი თქვა საზეიმო წარმართულ მსხვერპლშეწირვაში მონაწილეობაზე, რისთვისაც მრისხანე იმპერატორმა თავისთან მოიხმო. მერკვირიმ დაუფარავად აღიარა ქრისტე, უღმრთო თვითმპყრობელს ფეხებთან მიუგდო მეომრის სარტყელი და მიწიერ პატივზე უარი განაცხადა. საპყრობილეში წმიდანს კვლავ გამოეცხადა ანგელოზი, გაამხნევა და მოუწოდა, ყოველგვარი სატანჯველი გაბედულად დაეთმინა ქრისტესთვის.

### **წმიდა მოწამის პატიოსანი ნაწილები ანგელოზებმა სინას მთაზე გადაიტანეს**

იმპერატორი მაქსიმიანე ბორბალზე წამებით დაემუქრა წმიდა ეკატერინეს და ქრისტეს უარყოფა და ცრუ ღმრთაებებისთვის მსხვერპლის შეწირვა მოსთხოვა. უფლის რჩეულმა უშიშრად აღიარა მაცხოვარი. იგი თავად მიუახლოვდა ბორბალს, მაგრამ ანგელოზმა შემუსრა წამების იარაღები და მიმოფანტულმა ნამსხვერველებმა ბევრი წარმართი იმსხვერპლა. ეს სასწაული რომ იხილეს, დედოფალმა ავგუსტამ და მხედართუფროსმა პორფირიმ 200 მეომართან ერთად დაუფარავად აღიარეს ქრისტეს სარწმუნოება, რისთვისაც ყველა სიკვდილით დასაჯეს. მაქსიმიანე ისევ შეეცადა ქალწულის ცდუნებას და ცოლობა შესთავაზა მას, მაგრამ პასუხად უარი მიიღო. ნეტარმა მტკიცედ განაცხადა, რომ



თავისი ზეციური სიძის – ქრისტეს ერთგული რჩებოდა, ლოცვა აღავლინა მისდამი და თავი დადო ჯვალათის კუნძუზე. უსჯულოებმა მარტვილს თავი მოჰკვეთეს. წმიდა მოწამის პატიოსანი ნაწილები ანგელოზებმა სინას მთაზე გადაიტანეს.

### **შვიდი ანგელოზი მიეახლა მას და სპეტაკი სამოსით შემოსა**

წმიდა მოწამე სებასტიანე იმპერატორის სასახლის მცველთა რაზმს ედგა სათავეში. იგი ფარულად აღიარებდა მაცხოვარს და ბევრს იღვწოდა ქრისტესმიერი ძმების დასახმარებლად. საპრობილეში გამომწვეველ ძმებს – მარკელინესა და მარკოზს, რომლებიც თავდაპირველად მხნედ აღიარებდნენ ქრისტეს, წარმართი მშობლების, მეუღლეებისა და შვილების ცრემლიანმა მუდარამ ქრისტესთვის წამების სურვილი გაუნელა. მაშინ წმიდა სებასტიანე მივიდა მეფის ხაზინადარის – ნიკოსტრატეს სახლში, სადაც ციხიდან გათავისუფლებული ქრისტიანი ძმები იმყოფებოდნენ. საღმრთო მადლით გაბრწყინებულმა განამტკიცა ისინი და კვლავ მოწამეობრივი აღსასრულის სურვილი გააღვიძა მათში. მისმა სიტყვებმა იქ მყოფებზეც იმოქმედა. მათ ცხადად იხილეს, რომ წმიდანს არამქვეყნიური ნათლით გაუბრწყინდა სახე, შემდეგ კი შვიდი ანგელოზი მიეახლა მას და სპეტაკი სამოსით შემოსა. ნიკოსტრატეს ექვსი წლის წინ დამუნჯებული მეუღლე ზოია ფეხებში ჩაუვარდა წმიდანს, თავყვანი სცა მას და განიკურნა. ზოიამ აღიარა, რომ იხილა ანგელოზი გაშლილი წიგნით, საიდანაც სებასტიანე თავის ქადაგებას კითხულობდა.

### **“...და თქვენ ყველას მოგანიჭებს ზეციური სასუფეველის გვირგვინი”**

წმიდა მოწამე ვალერიანემ, თავისი საცოლის მიერ ქრისტიანულ რწმენაზე მოქცეულმა, ისე შეიყვარა მაცხოვარი იესო ქრისტე, რომ ღირს-იქმნა უფლის ანგელოზის ხილვისა, რომელმაც უთხრა: “შენ არ ეწინააღმდეგებოდი ჭეშმარიტებას, რომელიც გასწავლა ქალწულმა; ამიტომაც ღმერთმა გამომაგზავნა შენთან, რათა მიიღო მისგან ის, რასაც ისურვებს სული შენი”. აღფრთოვანებულმა ვალერიანემ თავყვანი-სცა ანგელოზს და მიუგო: “ამქვეყნად არაფერი მიყვარს ჩემს ძმა ტიბურტიზე მეტად, ამიტომ ვევედრები უფალს, იხსნას იგი დამღუპველი კერპთაყვანისმცემლობისგან, მოაქციოს იგი თავისკენ და ჩვენც ისეთივე სრულყოფილი გაგვხადოს მისი სახელის აღიარებაში, როგორი სრულყოფილიცაა ჩემზე დაწინდული საცოლე”. ვალერიანეს სურვილით გახარებულმა ზეციურმა მაცნემ თქვა: “სათნოა ღმერთისთვის შენი თხოვნა; როგორც შენ ქალწულის მიერ, ისე შენს მიერ იხსნის იგი შენს ძმას და თქვენ ყველას მოგანიჭებს ზეციური სასუფეველის გვირგვინი”. მართლაც, საღმრთო მადლის შეწევნით წმიდა ვალერიანემ იმავე დღეს მოაქცია ჭეშმარიტების გზაზე თავისი ძმა ტიბურტი.

**ანგელოზები განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებენ ადამიანის სულის ცხოვნებაში**

### **...მთავარანგელოზ გაბრიელის პირით ცოდვათა მიტევება ახარა**

ღირსი დავითი ავაზაკთა რაზმის მეთაური იყო ეგვიპტეში, ჰერმოპოლის უდაბნოში. მის სულს მკვლევლობანი და მრავალი სხვა უსჯულოება ამძიმებდა. ხანშიშესულმა გადახედა განვლილი ცხოვრების გზას და თავისმა შეაბნელმა საქმეებმა ძრწოლა მოჰგვარა. სინანულმა ადავსო დავითის გული; მან მიატოვა ბანდა, მონასტერს მიაშურა და იღუმენს მისი საძმოში მიღება სთხოვა. იგი სამაგალითო მონაზონი დადგა და თავისი მკაცრი ღვაწლით სავანის ძმებს ბევრად გადააჭარბა. რამდენიმე ხნის შემდეგ უფალმა დავითს მთავარანგელოზ გაბრიელის პირით ცოდვათა მიტევება ახარა; ღირსმა მამამ ვერ დაიჯერა, რომ ასეთ დიდ ცოდვილს ღმერთი ესოდენ მცირე ხანში შეუნდობდა. მცირედმორწმუნეობისათვის დავითი დამუნჯდა და მხოლოდ კანონთა კითხვისა და ღმრთისმსახურებაში მონაწილეობის დროს უბრუნდებოდა მეტყველებას. სიცოცხლის მიმწუხრზე წმიდანს სასწაულთქმედების ნიჭი ებოძა. ამგვარად იცხოვრა მან მრავალი წლის მანძილზე, შემდეგ კი მშვიდობით აღესრულა და საუკუნო ნეტარება დაიმკვიდრა.

### **“დიდი სიხარული აქვთ ზეციურ დასებს, თუ ცოდვილი ინანიებს”**

წმიდა ევდოკიას გამოეცხადა მიქაელ მთავარანგელოზი და აუწყა: “მე ვარ ღმრთის ანგელოზთა მთავარი და დადგენილი ვარ, მივიღო მონაწილეობა ცოდვილები და შევიყვანო ნეტარ ცხოვრებაში. დიდი სიხარული აქვთ ზეციურ დასებს, თუ ცოდვილი ინანიებს; რამეთუ ღმერთს, ყოველთა მამას, არ სურს თავის ხატად შექმნილი ადამიანის დაღუპვა. ყველა ანგელოზი ხარობს, როდესაც ხედავენ ადამიანის სულს, სიძარტლით შემკულს; ისინი ესალმებიან მას, როგორც თავიანთ დას”.

### **“მას შემდეგ, რაც შესცოდა, მასზე გაველენა აღარ მაქვს”**

ღირსმა ნიფონტმა ერთი მეძავის სახლის კართან იხილა მტირალი ანგელოზი ჭაბუკის სახით და მოთქმის მიზეზს შეეკითხა. ანგელოზმა მიუგო: “მე ღმრთისგან დავალებული მქონდა, დამეცვა ადამიანი, რომელსაც ახლა ამ სახლში მეძავთან სძინავს. მე არ შემიძლია მშვიდად ვუყურო უსჯულოებას, რომელსაც იგი სწადის. როგორ არ ვიტყვო, როცა ღმრთის ხატება ასეთ უკუნშია ჩავარდნილი”. “რატომ არ დასჯი მას, რომ ცოდვას განეშოროს?” – განცვიფრდა ნეტარი მამა. ანგელოზმა მწარედ ამოიხრა. “შეუძლებელია მასთან მიახლოება. მას შემდეგ, რაც შესცოდა, იგი ეშმაკის ტყვეა და მე მასზე გაველენა აღარ მაქვს, რადგან ღმერთმა ადამიანი თავისუფალი შექმნა, აჩვენა მას გზა ფართო და გზა ვიწრო, რომ მან თავისთვის სასურველი გზა აირჩიოს”.

### **მფარველი ანგელოზი სიხარულით შედიოდა მასთან ერთად ეკლესიაში**

წმიდა პავლე უბრალოს ასევე მიმადლა უფალმა სულიერი ჭვრეტის ნიჭი. ერთხელ, მწუხრის მსახურებისას იგი აკვირდებოდა, თუ ვინ როგორი განწყობით შედიოდა ეკლესიაში. მისი სახე, ვისაც სული წმიდა ჰქონდა, ნათელი იყო და მფარველი ანგელოზი სიხარულით შედიოდა მასთან ერთად ეკლესიაში; მაგრამ ერთი ცოდვილი ძმა ეკლესიაში ეშმაკებით გარშემორტყმული შევიდა, მფარველი ანგელოზი კი მოშორებით მისდევდა მას და ტირიდა.

### **ხელთ სამოსელი ეპურა ნათელდებულის შესამოსად**

წმიდა ბასიანე – ლავდიის ეპისკოპოსი სირაკუზის ოლქის მმართველის შვილი იყო. მამა მას თავის შემცვლელად ამზადებდა, ამიტომაც განათლების მისაღებად რომში გაგზავნა. ბასიანეს სიყრმეშივე ბევრი სმენოდა ქრისტიანებზე და არ ასვენებდა მათი სწავლებისა და ცხოვრების წესის გაცნობის სურვილი. აქ, რომში, მისი ცნობისწადილი დაკმაყოფილდა: ხუცესმა გორდიანმა ქრისტიანული მოძღვრების არსი განუმარტა. ნათლისღების საიდუმლოს აღსრულებისას ბასიანემ იხილა ემბაზთან მდგომი ანგელოზი, რომელსაც ხელთ სამოსელი ეპყრა ნათელღებულის შესამოსად. მან კადნიერად ჰკითხა ზეციურ მხედარს, ვინ ხარო. ანგელოზმა უპასუხა, რომ უფალმა ის დიდი ხნის წინ გამოგზავნა მასთან დასახმარებლად.

**“ეს გვირგვინები ზეციური საუნჯეა.  
უფალი მათ შავბნელი მხედრობის დამთრგუნველებს ანიჭებს”**

ნეტარი ანდრია ქრისტესთვის სალოსი იყო. ადრეულ სიყმაწვილეში ტყვედ ჩავარდნილი მდიდარმა კონსტანტინოპოლელმა, თეოგნისტემ იყიდა და ბერძნულ ენასა და მეცნიერებებში განსწავლა. ანდრიას უყვარდა ქრისტე, თავმდაბლობითა და მორჩილებით გამოირჩეოდა, ხშირად ლოცულობდა და სულის ცხონებაზე ფიქრობდა. ერთხელ სიზმრისეული ჩვენებით ანდრიამ იხილა ორი ლაშქარი: ერთი – ნათელმოსილი ჭაბუკებისა, მეორე კი – კუპრივით შავი, საზარელი ეშმაკებისა. უფლის ანგელოზმა, რომელსაც ხელში დიდებული გვირგვინები ეპყრა, ნეტარს უთხრა: “ეს გვირგვინები ამსოფლიური სამკაული კი არა, ზეციური საუნჯეა. უფალი მათ შავბნელი მხედრობის დამთრგუნველებს ანიჭებს”, შემდეგ კი უბრძანა: “შეუდექი ღმრთიესათნო დეაწლს, იტვირთე სალოსობა ქრისტეს სახელისათვის და ფრიადი ნიჭი მიგეგება სასუფეველში”. ამ დღიდან მოყოლებული ანდრიამ შეშლილივით ძონებით დაიწყო სიარული ქალაქის ქუჩებში. ღამით ლოცვაზე მდგომი სალოსი უფალს ავედრებდა საკუთარ თავს, თავის შეურაცხყოფლებსა და მთელ საქრისტიანოს. ერთხელ, როდესაც კონსტანტინოპოლს დიდი განსაცდელი ემუქრებოდა, ანდრია სალოსი ვლადქერნის ტაძარში საერთო-სახალხო ლოცვისას ღირს-იქმნა, ეხილა ანგელოზთა და წმიდანთა დასით გარშემორტყმული ღმრთისმშობელი, რომელმაც თავისი თავსაბურავი გადააფარა იქ შეკრებილ ხალხს.

**“რადგან მე ვარ ანგელოზი ყოვლისმპყრობელი უფლისა”**

იმდენად მოწყალე იყო წმიდა პაპი გრიგოლ დიოლოლოსი, რომ უკანასკნელსაც, რაც ებადა, მთხოვნელს აძლევდა. ერთხელ, როდესაც იგი ჯერ კიდევ მის მიერ რომში წმიდა ანდრია მოციქულის პატივად დაარსებული მონასტრის იღუმენი იყო, მასთან მივიდა გლახაკი და სთხოვა: “შემიწყალე მე, მონაო ღმრთისა მაღლისაო, მე გემის პატრონი ვიყავი, გემი დაიღუპა და დავკარგე არა მარტო საკუთარი, არამედ სხვისი ქონებაც”. გრიგოლს გული სიბრალულით აეესო, მსახურ ძმას მოუწოდა და გლახაკისთვის ექვსი ოქროს მიცემა უბრძანა.

იმავე დღეს გლახაკი კვლავ მივიდა მასთან: “შემიწყალე მე, მონაო ღმრთისაო, მე დავკარგე ბევრი, შენ კი მომეცი მცირედი”. ნეტარმა ბრძანა, მიეცათ მისთვის კიდევ ექვსი ოქრო.

რამდენიმე ხნის შემდეგ გლახაკი მესამეჯერ მოვიდა: “შემიბრალე, მამაო, და კიდევ მომეცი რაიმე შენი საუნჯიდან, რადგან სხვისი ქონება ძალზე ბევრი დავკარგე ზღვაში”. წმიდა გრიგოლმა უთხრა ძმას: “წადი, ძმაო, მიეცი მთხოვნელს კიდევ ექვსი ოქრო”. ძმას გაუკვირდა: “მერწმუნე, პატიოსანო მამაო, რომ აღარ დარჩა არც ერთი მონეტა”. ნეტარმა ჰკითხა: “არ შეგიძლია, მისცე რაიმე სხვა – სამოსი ან რომელიმე ჭურჭელი?” ძმამ მიუგო: “სხვა ჭურჭელი, გარდა ვერცხლის სინისა, რომლი-

თაც დედათქვენმა ჩვეულებისამებრ მწნილი მოიტანა, არა გვაქვს”. ღმრთის სათნო გრიგოლმა გასცა განკარგულება: “წადი, ძმაო, მიეცი გლახაკს ის ჭურჭელი, რომ არ წავიდეს ჩვენგან დამწუხრებული, იგი ხომ ეძიებს ნუგეშს გასაჭირში”. გლახაკი გახარებული წავიდა და მეტად აღარ მოსულა.

გავიდა ხანი. ერთხელ წმიდა გრიგოლმა, უკვე რომის პაპმა, ხაზინადარს ტრაპეზზე თორმეტი მწირის მოწვევა უბრძანა. როდესაც ტრაპეზი დაიწყო, წმიდანმა მაგიდის გარშემო ცამეტი სტუმარი დაინახა. მან უხმო ხაზინადარს და ჩუმად უთხრა: “მე თორმეტის მოწვევა გიბრძანე, შენ კი ჩემი ნება-სურვილის გარეშე რატომ მოიწვიე მეცამეტე?” ხაზინადარი შეშინდა: “დამიჯერე, ყოველდღატიოსანო მეუფეო, რომ თორმეტის გარდა არავინ არის”.

ტრაპეზზე პაპი ხშირად უმზერდა მაგიდის ბოლოში მჯდომ მეცამეტეს და შენიშნა, რომ მას სახე ეცვლებოდა – ხან ჭადარა მოხუცად ეჩვენებოდა, ხან კი – ახალგაზრდა ჭაბუკად.

წმიდა გრიგოლი წამოდგა და ყველანი გაუშვა, უცნაურ სტუმარს კი ხელი მოჰკიდა, ოთახში გაიყვანა და ჰკითხა: “გაფიცვებ ყოველსმპყრობელი ღმერთის დიდ ძალას, მითხარი, ვინ ხარ შენ და რა გქვია?” მან მიუგო: “რად გინდა ჩემი სახელი, იგი საკვირველია. თუმცა იცოდე, რომ მე ვარ ის გლახაკი გემის მეპატრონე, რომელსაც შენ მიეცი თორმეტი ოქრო და დედაშენის, ნეტარი სილვიას მიერ გამოგზავნილი ვერცხლის ლანგარი. იმ დღიდან, როცა შენ სიყვარულით და კეთილი გულით გაიღე ყველაფერი, უფალმა განაჩინა, რომ შენ ყოფილიყავი პირველმოსაყდრე მისი წმიდა ეკლესიისა, რომლისთვისაც მან დასთხია თავისი სისხლი, და მემკვიდრე წმიდა პეტრესი, მოციქულთა თავისა, ვის სათნოებასაც შენ ჰბაძავ”. “საიდან იცი, რომ უფალმა სწორედ მაშინ განაჩინა ჩემი პაპად დადგენა?” – ჰკითხა ნეტარმა გრიგოლმა. მან მიუგო: “ვიცი, რადგან მე ვარ ანგელოზი ყოველსმპყრობელი უფლისა. უფალმა მომაგლინა შენს გამოსაცდელად, კაცთმოყვარებით იქმ მოწყალებას თუ მზვაობრობით”.

ეს რომ გაიგონა, მღვდელმთავარი შიშმა შეიპყრო, რადგან არასოდეს ეხილა ანგელოზი და არ უსაუბრია მასთან. ანგელოზმა დაამწვიდა იგი: “ნუ გეშინია, უფალმა გამომგზავნა, რათა შენთან ვიყო მთელი შენი ცხოვრების მანძილზე და აღვუვლინო მას შენი ღოცვები, რათა ყოველი, რასაც კი სასოებით თხოვ მას, მიიღო”. მაშინ წმიდა გრიგოლი პირქვე დაემხო, თაყვანი-სცა ღმერთს და თქვა: “თუკი ჩემი მცირედი მოწყალებისათვის ესოდენი კეთილი მომაგო უფალმა, რომ თავისი ეკლესიის პაპად დამადგინა და წმიდა ანგელოზი მომიჩინა მცველად, რას მიაგებს იგი მათ, ვინც მის მცნებებს იმარხავს და იქმს სიმართლეს?!”

ანგელოზი გაუჩინარდა, წმიდანმა კი მადლობა შესწირა უფალს და უფრო დიდი გულმოდგინებით უყოფდა სიკეთეს ადამიანებს და სათნო-ეყოფოდა ღმერთს.

ერთხელ, როდესაც იგი კვლავ ტრაპეზით უმასპინძლდებოდა მწირებს, თავისი სიმდაბლით ერთ-ერთი მათგანისათვის ისურვა წყლის მიწოდება ხელების დასაბანად, მაგრამ წყლის ასაღებად მიბრუნებულმა უკვე ვეღარ იპოვა იგი. მეორე ღამეს, ძილში მას გამოეცხადა უფალი: “სხვა დღეებში შენ უმასპინძლდებოდი ჩემს მახლობელთ – გლახაკებს, გუშინ კი თავად მე მიმიღე”.

### **“არ შეგიძლია აქ შემოსვლა, რადგან არა ხარ ქრისტიანი”**

სპარსეთში, ხოსრო უფროსის მეფობის დროს, ერთი ახალგაზრდა და ღამაზი ქალი, გოლინდუხა, წარჩინებული გვარიდან, ცოლად გაჰყვა მოგვების სახელგანთქმულ მთავარს. სამი წლის შემდეგ ღმრთისგან განათლებულმა გოლინდუხამ გულისხმაყო მოგვთა ცდომილება. მას ესმოდა ქრისტიანთა უბიწო რწმენის შესახებ და ფიქრობდა, იგი იყო ჭეშმარიტი რწმენა თუ რომელიმე სხვა, და სურდა, მისულიყო ჭეშმარიტების შემეცნებამდე.

ერთხელ ღამით მან ძილში იხილა ღმრთის ნათელი ანგელოზი, რომელმაც იგი წაიყვანა ბნელ ადგილზე, სადაც ცეცხლში იტანჯებოდა უამრავი ადამიანი. “რა არის ეს საშინელი ადგილი და ვინ არიან ტანჯულნი?” – იკითხა გოლინდუხამ. ანგელოზმა მიუგო: “ეს არის ცოდვილთა და ურწმუნოთა დასჯის ადგილი, აქ არიან შენი წინაპრები, რომლებიც თავიანთ-სიცემდნენ კერპებს, სპარსეთის ცრუ ღმერთებს”. გოლინდუხამ იწყო მწუხარება თავის წინაპართა დაღუპვის გამო და ტიროდა. შემდეგ ანგელოზმა იგი წაიყვანა სხვა ადგილზე, სადაც იყო ღმრთის სამოთხე – მართალთა სავანე, და პატარა კარიდან უჩვენა დიდი ნათელი და მასში გამოუთქმელი სიხარულით მოხეიძე მრავალი კაცი და ქალი. ანგელოზი შევიდა იმ პატარა კარში. გოლინდუხასაც სურდა მის კვალდაკვალ კარში შესვლა, მაგრამ ანგელოზმა არ მისცა ნება: “არ შეგიძლია აქ შემოსვლა, რადგან არა ხარ ქრისტიანი”.

ამ ხილვის შემდეგ გოლინდუხამ მოისურვა, გამხდარიყო ქრისტიანი, სპარსულ უკეთურებასა და თავისი მეუღლის მოგვობას კი თაკილობდა. მან იწყო შინაგანად ზრუნვა, რომ წმიდა ნათლისღების ღირსი გამხდარიყო, ცრემლებით ევედრებოდა ქრისტიანთა ღმერთს და მალე შეუსრულდა გულისწადილი. უფლის ანგელოზის წინამძღოლობით იგი გამოვიდა სახლიდან და შეუმჩნევლად მიყვანილ იქნა ხორცშესხმულ ანგელოზთან – უფლის მღვდელთან, რომელიც დაფარულ ადგილას ცხოვრობდა. მისგან ისწავლა სარწმუნოება, ნათელ-იღო და წმიდა ნათლისღებით ეწოდა მარიამი.

### **“მაშინ ვიხილე ანგელოზი, რომელმაც ცეცხლოვანი მახვილით განგმირა ევაგრე”**

ღირს ტიტეს, პეჩორელ პრესვიტერს, ჰყავდა მეგობარი, იმავე მონასტრის დიაკონი ევაგრე. მათ ისე გულწრფელად უყვარდათ ერთმანეთი, რომ მთელ ამობას უკვირდა მათი თანხმობა. მაგრამ სიკეთის მოძულე მტერმა, რომელსაც სწევია დათესოს ღვარძლი ხორბალში, მათ შორისაც ჩამოაგლო მტრობა. ისე გადაამტერა ისინი, რომ ერთმანეთის დანახვაც კი არ შეეძლოთ. როდესაც ერთი მათგანი აკმევდა ეკლესიაში, მეორე გაუბრუნდა საკმევლის კვამლს; თუ კი ეს არ გარბოდა, მეორე გვერდზე ისე ჩაუვლიდა, რომ არ უკმევდა. დიდხანს იყვნენ ისინი ცოდვის წყვდიადში და ურთიერთ-მიტევების გარეშე კანდიდებოდნენ საღმრთო მსხვერპლის შეწირვას და ზიარებას. ძმებმა მრავალჯერ თხოვეს მათ, შერიგებულყვნენ, მაგრამ მათ ამის გაგონებაც არ უნდოდათ.

მოხდა ისე, რომ ღმრთის განგებულებით პრესვიტერი ტიტე მძიმედ დასნეულდა და სიკვდილის პირას იყო. მაშინ მან ცხარე ცრემლებით იწყო თავისი შეცოდების დატირება და ევაგრესთან გაგზავნა ძმები მუდართით: “მაპატიე, ძმაო, უფლის გულისათვის, რომ მე მრისხანებით შეურაცხევაი”. მან კი არათუ არ აპატია, კიდევ უფრო სასტიკი სიტყვებით დაწყველა იგი.

როდესაც ძმებმა იხილეს, რომ ტიტე სულს დაფავედა, ძალით მოიყვანეს ევაგრე, რომ იგი დამშვიდობებოდა მას. ევაგრეს დანახვისას სნეული მაშინვე წამოდგა, დაემხო მის ფეხებთან და ცრემლებით ევედრებოდა: “მაპატიე, მამაო, და მაკურთხე”. მაგრამ ევაგრემ ზურგი აქცია მას და ყველას წინაშე წარმოთქვა უღმობელი სიტყვები: “არასოდეს არ გაპატიებ, – არც ამ ცხოვრებაში და არც მომავალში”. ეს თქვა, გაუსხლტა ძმებს ხელიდან და დაეცა. მათ სურდათ მისი წამოყენება, მაგრამ იგი უკვე მკვდარი იყო და ვერც ხელი მოუხარეს, ვერც პირი დაუხურეს და ვერც თვალები დაუხუჭეს, თითქოს დიდი ხნის მკვდარი იყო, სნეული ტიტე კი ამის შემდეგ წამოდგა და გამოჯანმრთელდა. ყველას თავზარი დაეცა და ჰკითხეს განკურნებულ პრესვიტერს, თუ რას ნიშნავდა ეს?

ნეტარმა ტიტემ მიუგო: “როდესაც მე, ძმასთან გადამტერებელი, მძიმედ ავად ვიყავი, ვიხილე ანგელოზები, რომლებიც განმეშორნენ და ტიროდნენ ჩემი დაღუპვის გამო, და ეშმაკები, რომლებიც ხარობდნენ ჩემი მრისხანებით. მე გთხოვთ, გამოგეთხოვათ ძმისგან შენდობა. თქვენ მოიყვანეთ იგი, მე ვითხოვე მისგან პატიება, მაგრამ მან პირი იბრუნა. მაშინ ვიხილე ანგელოზი, რომელმაც ცეცხ-

ლოვანი მახვილით განგმირა ევაგრე და ისიც მაშინვე უსულოდ დაეცა. იმავე ანგელოზმა ხელი მომკიდა, წამომაყენა და აი, ჯანმრთელი ვარ”.

შეძრწუნებულმა ძმებმა ბევრი იტირეს ევაგრეს წარწყმედის გამო და დაასაფლავეს იგი გაღუბული თვალებითა და პირით, გაშლილი ხელებით.

### “წმიდა მადლი ადგენს ჩვენს ძმას, ამფილოქეს, ქალაქ იკონიის ეპისკოპოსად”

წმიდა ამფილოქემ, იკონიის ეპისკოპოსმა, სიყრმიდან შეიყვარა ღმერთი, გახდა მონაზონი და ცხოვრებას ატარებდა მარხვაში, წუთისოფლის ხმაურსა და ამაოებას კი გაურბოდა. ორმოცი წლის მანძილზე იღვწოდა იგი განმარტოებულ ადგილზე, ერთ გამოქვაბულში და გულმოდგინედ ემსახურებოდა ერთადერთ ღმერთს.

როდესაც გარდაიცვალა იკონიის ეკლესიის ეპისკოპოსი, უფლის ანგელოზი ეჩვენა ღამით ამფილოქეს და აუწყა: “წადი ქალაქში და დამწყეს სულიერი ცხოვარნი”, მაგრამ მონაზონი არ ერწმუნა მას. მეორე ღამეს ანგელოზი კვლავ გამოეცხადა: “წადი ქალაქში, ამფილოქე, და დამწყეს ცხოვარნი, რომლებსაც მოგანდობს შენ ღმერთი”. მაგრამ მან კვლავ არ შეისმინა, რადგან ხილვას ცდუნებად თვლიდა და ამბობდა: “ეშმაკსაც ეხერხება ზოგჯერ ნათლის ანგელოზად გარდასახვა”.

მესამე ღამეს ანგელოზმა მოუწოდა: “ამფილოქე, ადექი საწოლიდან”. მონაზონი საჩქაროდ წამოდგა და შეშინებულმა თქვა: “თუ შენ ღმრთის ანგელოზი ხარ, ორივენი ღოცვაზე დავდგეთ”. მან მოიდრიკა თავი და იწყო გალობა: “წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ, სახესე არიან ცანი და ქვეყანა დიდებითა მისითა”. მასთან ერთად გალობდა ანგელოზიც.

შემდეგ ანგელოზმა ხელი მოჰკიდა მას და წაიყვანა უახლოეს ეკლესიაში, რომლის კარებიც თავისით გაიღო. ამფილოქემ იხილა დიდი ნათელი და უამრავი თეთრით მოსილი კაცი, რომლებმაც იგი საკურთხეველში შეიყვანეს და გადასცეს წმიდა სახარება სიტყვებით: “უფალი შენთანა”. მათ შორის ყველაზე ნათელმა და პატიოსანმა კი წარმოთქვა: “წმიდა მადლი ადგენს ჩვენს ძმას, ამფილოქეს, ქალაქ იკონიის ეპისკოპოსად. ვილოცოთ მისთვის ყველამ, რათა იყოს მასში მადლი ღმრთისა”. ღოცვის შემდეგ ისინი გაუჩინარდნენ.

ამფილოქე იდგა, განკვირდებოდა ხილვით და ეპისკოპოსად თავისი საკვირველი ხელდასხმით, ევედრებოდა ღმერთს და საკუთარ თავს მიანდობდა მის წმიდა ნებას.

გარიჟრაჟზე იგი გამოვიდა ეკლესიიდან და თავისი გამოქვაბულისკენ გასწია. გზაში მას შეხვდა შვიდი ეპისკოპოსი, რომლებიც გარემო ქალაქებიდან შეკრებილიყვნენ იკონიაში, რათა აერჩიათ და ეკურთხებინათ ეპისკოპოსი ამ ქალაქისათვის. მათ ღმრთისგან ნაბრძანები ჰქონდათ, მოეძებნათ მონაზონი ამფილოქე. მათ ჰკითხეს: “შენ ხარ ამფილოქე? გვითხარი სიმართლე, რადგან ყოველგვარი სიცრუე არის ბოროტისაგან”. მან სიმდაბლით მიუგო: “მე ვარ ცოდვილი ამფილოქე”. ისინი პატივით წავიდნენ ეკლესიაში მისი ხელდასხმის განზრახვით.

მაშინ მონაზონმა თქვა: “რახან ინება ღმერთმა, რომ მე, ცოდვილი და უღირსი, გამოგიჩნდით ეპისკოპოსის საყდარზე, არა ჯერ-არს, დავდუმდეთ და დავმალეთ ღმრთის საკვირველი საქმენი, არამედ უთუოდ უნდა განვაცხადოთ და ვადილოთ ღმერთი მათთვის”, და დაწვრილებით მოუთხრო, როგორ დაასხეს მას ხელი ამ ღამით ანგელოზებმა.

ეპისკოპოსები დიდად განცვიფრდნენ, განადიდეს ღმერთი საკვირველი ხელდასხმისათვის და ვერ გაბედეს წმიდა ამფილოქეს ხელახლა ხელდასხმა, შიშით მიაგეს პატივი და დასვეს ეპისკოპოსის საყდარზე ვალენტიანისა და ვალენტის მეფობის ჟამს.

## “ვისაც მე ვიცავდი, ის ახლა დემონების დასაცინი გახდა”

ერთხელ კონსტანტინოპოლის ქუჩაში მიმავალმა ნეტარმა ანდრიამ დაინახა, რომ მიცვალებულს მიახვეწებდნენ. როგორც ჩანს, იგი ერთობ მდიდარი იყო. კუბოს უამრავი ხალხი მიჰყვებოდა, სანთლებითა და სასანთლეებით ხელში. ეკლესიის მსახურთა კრებული სამგლოვიარო საგალობლებს ასრულებდა, ისმობდა ახლობელთა გოდება.

წმიდანმა თავისი ნათელი თვალით იხილა, თუ რა ხდებოდა; მრავალი ეთიოპელი, სანთლებით წინ მიმავალი, ხმამაღლა გაჰყვიროდა: “ვაი მას, ვაი მას!” – ხელში საბერველი ეჭირათ და ხალხს თავზე ფერფლს აყრიდნენ. კუბოს უკან მიმავალი ეშმაკები ურცხვ ცოდვილთა მსგავსად ცეკვავდნენ და იცინოდნენ. ზოგი ძაღლივით ყეფდა. სხვები ღორებივით ღრუტუნებდნენ, რადგან მიცვალებული მათ სიხარულსა და მხიარულებას ჰგვრიდა. ერთნი უწმინდურებით წუწავდნენ, სხვანი კი კუბოს ირგვლივ ჰაერში დაფრინავდნენ. ცოდვილის გვამიდან საშინელი სიმყრალე ვრცელდებოდა. უკან მიმავალ ეშმაკებს საშინელი ხმაური აეტეხათ და მომდერლებს ლანძღავდნენ: “უბედურო ქრისტიანო, ღმერთმა ნუ ქნას, რომელიმე თქვენგანმა იხილოს ნათელი, რადგან თქვენ ძაღლს უგალობთ, ნათელში განუსვენე სულსა მისსაო, ღმრთის მონას უწოდებთ მას, ვისაც მრავალი დანაშაული ჩაუდენია”.

დაკრძალვის შემდეგ წმიდანმა დაინახა ცხარე ცრემლებით მტირალი ანგელოზი ლამაზი ყმაწვილის სახით. როცა იგი მიუახლოვდა წმიდა ანდრიას, ნეტარმა, რომელმაც ეს ყრმა გარდაცვლილის ახლობლად ჩათვალა, ჰკითხა: “ღმრთის გულისათვის, მითხარი შენი გოდების მიზეზი. მე არასოდეს მინახავს მიცვალებულის ასე მწარედ დატირება”. ყრმამ უპასუხა: “მე გარდაცვლილის მფარველი ანგელოზი ვიყავი. იგი ეშმაკმა თავისთან წაიყვანა და სწორედ ეს არის ჩემი ტირილისა და მწუხარების მიზეზი”.

ნეტარმა სთხოვა: “გამანდე, რა ცოდვები ჰქონდა, რომ ეშმაკის კერძი გახდა”. ანგელოზმა უპასუხა: “ღმრთის რჩეულო ანდრია, რადგან გსურს, გიამბობ ყოველივეს, არაფერს დაფვარავ, რადგან ვხედავ სიკეთეს შენი სულისას, წმიდა ოქროსავით ბრწყინვალეს. შენ რომ დაგინახე, თავი ვინუგეშე და დარდი ოდნავ განვიქარვე”.

ეს კაცი მეფესთან დიდ პატივში იყო, მაგრამ ცოდვილი და შეუბრალებელი გახლდათ. ავხორცი, ალიაქოთის ამტეხი, მექრთამე და უპირო, პირმოთნე, ლაქუცა, ანგარებიანი, ცრუ, კაცთმოძულე, გულდრძო და უმოწყალო. თავის საბრალე მსახურთ შიმშილითა და ცემით ხდიდა სულს, ზამთარში შიშვლებს ტოვებდა და ბევრსაც წამებით მოუღო ბოლო. მაგრამ მიეზლო სამაგიერო: მოუნანიებლად მოკვდა და ამიტომაც ეშმაკები დაეპატრონენ მის სულს. ხოლო მის ბილწ სხეულს როგორ ლანძღავდნენ, შეურაცხყოფდნენ, შენ თავადაც ნახე. აი, ამიტომ ვწუხვარ, წმიდანო, დიდი დარდით შეპყრობილი, რომ ვისაც მე ვიცავდი, ის ახლა დემონების დასაცინი გახდა”.

ამ დროს ქუჩაში გამვლელნი ხედავდნენ მხოლოდ წმიდა ანდრიას და არა ანგელოზს, ამიტომ ერთმანეთს ეუბნებოდნენ: “შეხედეთ ამ სალოსს, როგორ მასხრობს და უაზროდ ელაპარაკება კედლებს!” თან ხელს კრავდნენ და აქეთ-იქით აგდებდნენ. “რა გჭირს, სულელო, არა ღირს ხარ ესაუბრო ადამიანებს და კედლებს ელაპარაკები!” წმიდანი კი უხმოდ მიდიოდა მოფარებული ადგილისაკენ და მიცვალებულის გახსენებაზე მწარედ გოდებდა.

**“გმადლობ ღმერთს, რომ გიხსნა გველის კბილებიდან და ჰყო შენი სული,  
ვითარცა აყვავებული ხე”**

კონსტანტინოპოლში ბაზარზე ნეტარი ანდრია სალოსი შეხვდა მონაზონს, რომელსაც ყველა აქებდა სათნო ცხოვრებისათვის. იგი მართლაც იღვწოდა, როგორც მონაზვნებს შეჰფერის, მაგრამ უზომო ვერცხლისმოყვარეობით იყო ძლეული. ქალაქის ბევრი მკვიდრი მას დიდძალ ოქროს აძლევდა, რათა მათი სულების ცხონებისათვის დაერიგებინა გლახაკათვის. მაგრამ ვერცხლისმოყვარეობის ვნებით შეპყრობილი მონაზონი არ გასცემდა მოწყალებას, ყველაფერს თავისთვის იტოვებდა და გამრავლებული სიმდიდრის შემყურე ხარობდა.

ნეტარმა ანდრიამ სულიერი თვალებით იხილა მონაზონის ყელზე შემოხვეული საშინელი გველი, რომელსაც თავზე ეწერა: “ვერცხლისმოყვარე გველი – ფესვი ყველა უსჯულოებისა”. მოიხედა უკან და დაინახა ორი მოკამათე ჭაბუკი: ერთი იყო შავი, ბნელი თვალებით – ბოროტი სული, მეორე კი თეთრი, ვითარცა ზეციური ნათელი – ღმრთის ანგელოზი.

შავმა ჭაბუკმა თქვა: “ჩემია მონაზონი, იგი ჩემს ნებას ადასრულებს, რადგან უმოწყალოა და ვერცხლისმოყვარე. მას ღმერთთან წილი არა აქვს და როგორც კერპთმსახური მე მემსახურება”. ნათელი ანგელოზი შეეპასუხა: “არა, იგი ჩემია, რადგან მარხულობს და ღოცულობს, თავმდაბალია და მშვიდი”. ასე კამათობდნენ ისინი და ვერ თანხმდებოდნენ. მაშინ ზეცით იყო ხმა ნათელი ანგელოზისადმი: “არა გაქვს შენ წილი იმ მონაზონთან, დატოვე იგი, რადგან ემსახურება მამონას და არა ღმერთს”. მაშინვე უფლის ანგელოზი განეშორა მას და ბოროტმა სულმა მიიღო ხელმწიფება. ნეტარი ანდრია გაოცდა, რომ დემონმა აჯობა ნათელ ანგელოზს.

რამდენიმე ხნის შემდეგ ნეტარი ანდრია ქუჩაში შეხვდა მონაზონს, ხელი მოჰკიდა და დაუწყო შეგონება, დაეტყვებინა ვერცხლისმოყვარეობა. ბოლოს უთხრა: “ჰეშმარიტად გეუბნები, რომ მესმა ხმა ღმრთისა, რომელმაც უარი თქვა შენზე. გვევდრები, დამიჯერე და ქონება გლახაკებს, ქვრივ-ობლებს, მწირთა და უპოვართ დაურიგე და კვლავ ღმრთის მეგობარი გახდები. თუ არ დამიჯერებ, საბრალოდ დაიღუპები”. და ჰკითხა: “ხედავ ეშმაკს?”

მონაზონს აეხილა შინაგანი თვალები და იხილა მხეცის მსგავსი შავი ეშმაკი, საშინელი ხახით, რომელიც შორს იდგა და ანდრიას გამო ვერ ბედავდა მოახლოებას. “ვხედავ, მონაო ღმრთისაო, – უპასუხა მონაზონმა წმიდანს, – და დიდი შიშით ვარ შეპყრობილი. მითხარი, რა უნდა გავაკეთო ჩემი სულის ცხონებისათვის?” მან აღუთქვა წმიდანს, რომ შეასრულებდა მის ყველა ბრძანებას.

მაშინ ნეტარმა იხილა, რომ აღმოსავლეთით მოვიდა სული ძლიერი და ცეცხლოვანი ვითარცა ელვა და შეხებით შემუსრა ძალი გველისა. გველი იქცა ყვავად და გაფრინდა. ამგვარადვე შეიმუსრა შავი ეთიოპელი და უფლის ანგელოზმა კვლავ მიიღო ხელმწიფება მონაზონის დაცვისა. ნეტარმა ანდრიამ მას ამცნო: “ნურავის ეტყვი ჩემს შესახებ, დღედაღამ მოგიხსენებ ჩემს ღოცვებში, რათა უფალმა იესო ქრისტემ წარმართოს შენი გზა სიკეთისაკენ”.

მონაზონმა მთელი ოქრო ღარიბ-ღატაკებს დაურიგა და იმ დროიდან უფრო მეტად განიდიდა ღმრთისა და კაცთაგან. ერთხელ მას ეჩვენა მონა ღმრთისა ანდრია მხიარული სახით, უჩვენა ერთიანად აყვავებული ნათელი ხე მინდორში და უთხრა: “გმადლობ ღმერთს, ჩემო ბატონო, რომ გიხსნა გველის კბილებიდან და ჰყო შენი სული, ვითარცა აყვავებული ხე. მაშ ეცადე, რომ ამ ყვავილებმა გამოიღოს ტკბილი ნაყოფი. რადგან ეს ღამაზი ხე ხატებაა შენი სულისა”.

ამის შემდეგ მონაზონი კიდევ უფრო განმტკიცდა სათნოებებში და მუდამ მადლობდა ღმერთს და მის რჩეულ ანდრიას, რომელმაც იგი ცხონების გზაზე დააყენა.



## ანგელოზები განუცხადებენ ადამიანებს საღმრთო სიმაღლეს და განუმარტავენ ხილვებს

### “არ იგემებ სიკვდილს, სანამ არ იხილავ ყოველადწმიდა ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს”

როდესაც ეგვიპტის მეფე პტოლემეოსმა ბრძანა მოსესა და წინასწარმეტყველთა წიგნების თარგმნა ებრაულიდან ბერძნულ ენაზე, ებრაელთაგან გამოირჩიეს სამოცდაათი ბრძენი და მწიგნობარი კაცი, რომელთა შორის იყო მართალი სვიმეონიც.

ესაია წინასწარმეტყველის სიტყვების: “აჰა ქალწული მიუღებს და შვეს ძე” (ეს. 7, 14) თარგმნისას, სვიმეონი შეჩერდა და ეჭვით იწყო ფიქრი: როგორ შეუძლია ქალწულს შვას ყრმა? მან გადაწყვიტა, თავისი ხელნაწერიდან ამოეშალა სიტყვა ქალწული. ამ დროს მას გამოეცხადა უფლის ანგელოზი, დაუჭირა ხელი და უთხრა: “ირწმუნე იმისა, რაც დაწერილია; შენ თავად იხილავ უდიდესი საიდუმლოს აღსრულებას; არ იგემებ სიკვდილს, სანამ არ იხილავ ყოველადწმიდა ქალწულისაგან შობილ მაცხოვარს”. ანგელოზისა და წინასწარმეტყველის სიტყვებში დარწმუნებული სვიმეონი იმ დროიდან მხურვალე გულისწადილით მოელოდა მაცხოვრის მოსვლას, ცხოვრობდა უბიწოდ და ტაძრიდან გამოუსვლელად ღოცულობდა ღმრთისადმი.

როდესაც იშვა მაცხოვარი და მეორმოცე დღეს მიმადლებულმა მარიამმა იგი ტაძარში მიიყვანა, წმიდანმა გულისხმაჰყო სულიწმიდის მადლით, რომ ეს ყრმა იყო აღთქმული მესია, ეს დედა კი – წმიდა ქალწული, რომელზეც აღსრულდა ესაიას წინასწარმეტყველება. კრძალვითა და სიხარულით აიყვანა მან ხელებში უფალი და შეჰკლადადა: “აწ განუტევე მონაჲ შენი, მეუფეო, სიტყვისაებრ შენისა მშვიდობით, რამეთუ იხილეს თუალთა ჩემთა მაცხოვარებაჲ შენი...” (ლუკ. 2, 29); მადლობა შესწირა ღმერთს, რომელმაც მიჰმადლა ნუგეში ისრაელს, და 365 წლისამ განუტევა სული.

### ...რადგან ახსოვდა წმიდა წერილის სიტყვები, რომ მოწყალებითა და რწმენით განიწმიდება ცოდვები

მონასტერში სახელი გაეთქვა ერთ დაყუდებულ ბერს, რომელიც სიყრმიდან წმიდა ცხოვრებას ეწეოდა. წუთისოფლის ყველა სიამეს განშორებული და ვიწრო სენაკში დაყუდებული ბერი ხორცს მარხვითა და მღვიძარებით თანგავდა, მხურვალე ცრემლებით აღუვლენდა ღოცვებს ყოველთა მეუფეს თავისთვის და მთელი მსოფლიოსათვის და გონებას ღმერთზე ფიქრით განწმედდა. მცირე საზრდელს იღებდა იგი დადგენილ დროს ძმების ხელიდან, ხოლო როდესაც ღმერთი მონასტრის ძმობას ქრისტიანების მეშვეობით უგზავნიდა ოქროსა და ვერცხლს, საზრდელსა და ღვინოს, – არ იღებდა. ამ დაყუდებულ ბერს მიეცა ხილვა მოწყალების მიმღებთა შესახებ.

ერთხელ ქალაქის თავმა მოწყალება გაიღო ამ მონასტერში და ყველას თითო ვერცხლი დაურიგა. მივიდა დაყუდებულ ბერთანაც, სთხოვდა, რათა მიეღო ოქრო; შერცხვა ბერს პატიოსანი კაცისა, გამოართვა მონეტა და დამალა. დამით ჩვეული კანონის აღსრულების შემდეგ მიწვა ჭილობზე, რათა ცოტა წაეძინა, და ჰქონდა ხილვა. მან იხილა, რომ მონასტრის ძმებთან ერთად დგას ეკლით დათესილ ვრცელ მინდორზე. გამოჩნდა საშინელი ჭაბუკი (ეს იყო უფლის ანგელოზი) და აიძულებდა მონაზვნებს, რომ მოემკათ ეკალი. უბრძანა მასაც: “წელზე შემოიჭირე და მომკე ეკალი”.

დაყუდებულ ბერს არ უნდოდა და უარს ამბობდა, მაგრამ ანგელოზმა თქვა: “უარს ვერაფრით ვერ იტყვი, რადგან შენ გუშინ ქირით დადექი ყველა აქ მყოფ მონაზონთან ერთად, რომლებმაც აიღეს თითო ვერცხლი, შენ კი აიღე ოქრო, და როგორც ყველაზე დიდი ქირის მიმღები ყველაზე მეტად უნდა იშრომო სამკალზე. ეკალი კი, რომელსაც ხედავ, – იმ კაცის ცოდვებია, ვისგანაც გუშინ მიიღე მოწყალება. მას, მიდი და მომკე სხვებთან ერთად”.

როდესაც გამოიღვიძა და დაფიქრდა ნანახზე, ბერი დამწუხრდა, მოუწოდა მოწყალების გაძღვებას და თხოვა, უკან წაეღო თავისი ოქრო. ქრისტესმოყვარეს არ უნდოდა და უთხრა ბერს: “დაიტოვე, მამაო, ან მიეცი, ვისაც გინდა”. მაშინ ბერმა თქვა: “არ მინდა სხვისი ცოდვების მკა, რადგან არ ძალმიძს აღვხოცო საკუთარი ცოდვების ეკალთა სიმრავლე”, გადააგდო მონეტა თავისი სენაკიდან და დახურა ფანჯარა.

როდესაც იმ კაცმა გაიგო ბერის მიერ მოწყალებაზე უარის თქმის მიზეზი, იწყო თავისი მცხოვრების გამოსწორება და უფრო დიდ მოწყალებას გასცემდა გლახაკთა და უპოვართა მიმართ, რადგან ახსოვდა წმიდა წერილის სიტყვები, რომ მოწყალებითა და რწმენით განიწმიდება ცოდვები.

### **“გამოდი სენაკიდან და მე გიჩვენებ კაცთა საქმეებს”**

თავის სენაკში მჯდომ ღირს არსენი დიდს მოესმა ხმა: “გამოდი სენაკიდან და მე გიჩვენებ კაცთა საქმეებს”. ბერმა იხილა უფლის ანგელოზი, რომელმაც მას ხელი მოჰკიდა და მიიყვანა ერთ ადგილზე.

ანგელოზმა უჩვენა მას კაცი, რომელსაც დაეჩეხა შეშა, გაეკეთებინა დიდი შეკერვა და უნდოდა მისი მხრებზე წამოკიდება, მაგრამ ვერ ახერხებდა. იმის ნაცვლად, რომ მოეკლო შეშა და შეემსუბუქებინა ტვირთი, მან კვლავ იწყო შეშის ჩეხვა და მომატება, რითაც ტვირთი უფრო მძიმდებოდა. შემდეგ ისევ დააპირა მისი წამოწევა და ვერ შეძლო.

უფლის ანგელოზმა ღირსი არსენი მიიყვანა სხვა ადგილზე და უჩვენა კაცი, რომელიც ჭიდან წყალს ხაპავდა და იქვე ასხამდა ბრტყელ და გახვრეტილ ჭურჭელში. წყალი იქცეოდა ჭურჭლიდან და ისევ ჭაში ბრუნდებოდა.

შემდეგ ანგელოზმა ბერს უჩვენა გაღებული ეკლესია. ორ კაცს ეჭირა მორი და ეკლესიაში შესვლას ცდილობდა, მაგრამ არაფერი გამოსდიოდათ, რადგან მორი სივრცეში კი არ მიჰქონდათ, არამედ გვერდიგვერდ მიდიოდნენ, ერთმანეთს არ უთმობდნენ და ეკლესიაში ერთდროულად სურდათ შესვლა. ამიტომ ისინი ეკლესიის გარეთ დარჩნენ.

ბერმა ანგელოზს ნანახის განმარტება სთხოვა. მან აუხსნა: “კაცები, რომლებსაც მიჰქონდათ მორი, გამოხატავენ სათნო, მაგრამ ამპარტავან ადამიანებს, რომლებსაც არ სურთ თავი დაიმდაბლონ ერთმანეთის წინაშე, ამიტომ ცათა სასუფეველში ვერ შევლენ ამპარტავნების გამო, რომლითაც ძალას უკარგავენ თავიანთ სათნოებას.

კაცი, რომელიც წყალს ხაპავდა და გახვრეტილ ჭურჭელში ასხამდა, აღნიშნავს ადამიანს, რომელსაც აქვს კეთილი საქმეები, მაგრამ არ დაუტევებს ცოდვებსაც და, ამგვარად, ამოდ ირჯება, რადგან თავისი ცოდვებით აუქმებს იმ ჯილდოს, რომელიც შეეძლო მიეღო ღმრთისაგან.

ის კაცი კი, რომელიც შეშას ჩეხავდა და ტვირთს ტვირთს უმატებდა, – სახეა მრავალ ცოდვაში მცხოვრები ადამიანისა, რომელიც სინანულის ნაცვლად სულ უფრო და უფრო უმატებს თავის წარსულ უსჯულოებებს”.

ღირსმა არსენიმ ეს ხილვა სულიერი სარგებლისათვის უამბო თავის მოწაფეებს, მაგრამ არა როგორც მის მიერ ნანახი, არამედ როგორც ვიღაც სხვა ბერისგან მონათხრობი.

### **“...ამიტომ შენც ნუ გამოიკვლევ მათ – ეს სარგებელს არ მოგიტანს”**

ერთი განდევნილი ევედრებოდა ღმერთს, მიეცა ნიჭი მისი განგებულების წვდომისა და თავს იღო მარხვა. მაგრამ ღმერთმა არ გამოუცხადა მას, რის ცოდნაც სურდა. ბერი განაგრძობდა ლოცვას და ბოლოს ღმერთმა შეაგონა მას. როდესაც იგი გაემართა ერთ, მისგან შორს მცხოვრებ ბერთან, მას

მონაზონის სახით ანგელოზი გამოეცხადა და მასთან ერთად მგზავრობა შესთავაზა. ბერმა გაიხარა და ორივენი ერთად წავიდნენ.

საღამო ხანს ისინი ღამის გასათევად შეჩერდნენ ერთ ღმრთისმოსავ კაცთან, რომელმაც მწირნი პატივით მიიღო და საჭმელიც კი ვერცხლის თევზზე შესთავაზა. მაგრამ აი, საკვირველება! ტრაპეზის შემდეგ ანგელოზმა აიღო თევზი და ზღვაში გადააგდო. ბერს გაუკვირდა, მაგრამ არაფერი თქვა. განაგრძეს გზა და მეორე დღეს შეჩერდნენ სხვა, ასევე ღმრთისმოსავ კაცთან, რომელმაც ისინი სიხარულით მიიღო, ფეხები დაბანა და ყოველმხრივ მოემსახურა. მაგრამ, კვლავ განსაცდელი! როდესაც განდევილი თანამგზავრთან ერთად წასასვლელად მოემზადა, მასპინძელმა მათთან მიიყვანა მცირეწლოვანი ძე, რომ მათ დაელოცათ იგი. მაგრამ დალოცვის ნაცვლად, ანგელოზი შეეხო ყრმას და მიიღო მისი სული. შეპრწუნებული ბერი გარეთ გავარდა, თანამგზავრიც არ ჩამორჩა და უკან მიჰყვა. მოგზავრობის მესამე დღეს მათ ღამის გასათევი არსად ჰქონდათ ერთი ნახევრად დანგრეული და მიტოვებული სახლის გარდა, სადაც შეაფარეს კიდევ თავი. ბერმა იწყო ჭამა, თანამგზავრმა კი მისდა გასაოცრად უცნაურ საქმეს მიჰყო ხელი. იგი შეუდგა სახლის დანგრევას და შემდგომ კვლავ აშენებას. ამის მხილველმა ბერმა ველარ მოითმინა: “შენ დემონი ხარ თუ ანგელოზი? – რისხვით შესძახა. – სამი დღის წინ კეთილ კაცს თევზი წაართვი და ზღვაში გადააგდე, გუშინ ყრმას სიცოცხლე მოუსწრაფე, დღეს კი რად დაანგრე და კვლავ აშენებ ამ სახლს?” მაშინ ანგელოზმა უთხრა მას: “ნუ გიკვირს და ნუ დაბრკოლდები ჩემს გამო, არამედ მომისმინე, რას გეტყვი: პირველი კაცი, რომელმაც ჩვენ მიგვიღო, მართლაც ყველაფერში ღმრთივსათნოდ იქცევა, მაგრამ ჩემს მიერ გადაგდებული თევზი მან უსამართლობით შეიძინა; იმიტომაც გადავაგდე, რომ მის გამო არ დაეკარგა თავისი ჯილდო; მეორე კაცი ასევე სათნოა ღმრთისათვის, მაგრამ მისი მცირეწლოვანი შვილი რომ გაზრდილიყო, საშინელი ბოროტმოქმედი გახდებოდა, – ამიტომაც მივიღე მისი სული, მამამისის სიკეთისათვის, რომ იგიც გადარჩენილიყო; ამ სახლის პატრონი კი უზნეო კაცი იყო, რის გამოც გადატაკდა და მიიმაღა; მისმა ბაბუამ სახლის აშენებისას კედელში დამალა ოქრო და ზოგიერთებმა იციან ამის შესახებ. ამიტომაც დავანგრეე იგი, რომ ამიერიდან არავინ ეძებოს აქ ოქრო და მისი მეშვეობით არ დაიღუპოს. დაბრუნდი, ბერო, შენს სენაკში და ნუ იტანჯები უგუნურებით; რამეთუ ამას ამბობს სულიწმიდა: “უფლის მსჯავრნი – გამოუკვლეველი სიღრმეა და უცნობია კაცთათვის”; ამიტომ შენც ნუ გამოიკვლევ მათ – ეს სარგებელს არ მოგიტანს”.

### **მის თავზე ხმამაღლა გადაიქროლა უფლის სიტყვამ: “ასე მოიქეცით და გადარჩებით”**

განმარტოებულ უდაბნოში მცხოვრებ ერთ ღრმად მოხუცებულ ბერს მოწყინება დაეუფლა; პირქუში ფიქრები აწვალდებდნენ მის სულს და შთააგონებდნენ ეჭვებს, სწორი გზით მიდიოდა თუ არა იგი და იყო თუ არა იმედი, რომ მისი ღვაწლი ბოლოს და ბოლოს წარმატებით დაგვირგვინდებოდა? ბერს თავი დაეხარა და მწუხარებით იტანჯებოდა. ამ განსაცდელის უამს მის წინაშე წარდგა ანგელოზი და უთხრა: “რატომ შეცბუნებულხარ და ზრახვანი რად ეუფლებიან შენს გულს? შენ არა ხარ პირველი და არც უკანასკნელი, ვინც ამ გზით მიდის. ბევრმა გაიარა ამ გზით, ბევრი მიდის, და ბევრიც მიაღწევს სასუფეველის ნათელ სავანეებს. გამოძევი და მე გიჩვენებ სხვადასხვა გზებს, რომლებზეც დადიან კაცთა ძენი, და იმასაც, თუ სად მიიყვანებენ ეს გზები. შეხედე და გულისხმავაჲ”. ბერი დაემორჩილა ანგელოზის ბრძანებას და გაჰყვა მას, მაგრამ გადადგა თუ არა წინ რამდენიმე ნაბიჯი, მისი გონების თვალებს წარმოუდგა საკვირველი სანახაობა. თავის მარცხენა მხარეს მან იხილა თვალშეუვალი სიბნელე, საიდანაც მოისმოდა ხმაური და იგრძნობოდა შფოთი და აღელვება. ბერი ყურადღებით ჩააცქერდა სიბნელეს და იხილა ფართო მდინარე, რომელზეც ტალღები გადადიოდა წინ და უკან, მარჯვნივ და მარცხნივ, და ყოველი ტალღის ხილვისას ვიდაც თითქოსდა ყურში

მკაფიოდ ეუბნებოდა ბერს: ეს ურწმუნოების, უზრუნველობის, გულგრილობის ტალღაა; ეს – უმოწყალობის, გარყვნილების, მექრთამეობისა; ეს – განცხრომის, გართობის, შურის, განხეთქილების; ეს კი – მემთვრალეობის, უწმინდურების, სიზარმაცის, მეუღლეთა ორგულობისა და სხვა. ყოველი ტალღა მის თვალწინ აბრუნებდა უთვალავ ადამიანს, ამოჰყავდა მდინარიდან და კვლავ ნოქავდა მის სიდრმეში. შეძრწუნებულმა ბერმა წამოიძახა: “უფალო! ნუთუ ყველა დაიდუპება და არ არის მათი გადარჩენის იმედი?” ანგელოზმა უთხრა მას: “შეხედე კვლავ და იხილავ ღმრთის წყალობასა და სიმართლეს”. ბერმა ისევ შეხედა მდინარეს და იხილა, რომ მის მთელ სიფართესა და სიგრძეზე დაცურავდნენ მცირე ნაგები, რომლებშიც ისხდნენ ნათელი ჭაბუკები და ხელთ ეპყრათ ყველა სახის იარაღი დამხრჩვალთა გადასარჩენად. ისინი ყველას თავისკენ უხმობდნენ და ზოგიერთებს უწვდიდნენ ხელს, სხვებს აწვდიდნენ ფიცრებს, ესროდნენ თოკებს, ზოგჯერ კი სიდრმეში უშვებდნენ ბარჯებსა და კაუჭებს იმ იმედით, რომ ვინმე მოეჭიდებოდა მათ. და რა ხდებოდა? იშვიათად თუ ეხმაურებოდა ვინმე მათ მოწოდებას. უდიდესი ნაწილი კი უარყოფდა მათ და რაღაც ველური ტკობით ეფლობოდა ამ მდინარეში, რომელიც გამოსცემდა ბოლს, სიმყრალესა და დამწვრის სუნს. ბერმა თავისი მხერა გააყოლა მდინარეს და მის ბოლოში იხილა უფსკრული, რომელშიც ინთქმებოდა იგი. უამრავი ჭაბუკი სწრაფად დაცურავდა აქა-იქ, თავად უფსკრულის პირთან და მზრუნველობით უწვდიდა დახმარების ხელს ყოველ ადამიანს; მაგრამ ამის მიუხედავად ყოველ წუთს ათასობით ადამიანი მდინარესთან ერთად ინთქმებოდა უფსკრულში; იქიდან მოისმოდა მხოლოდ სასოწარკვეთილი კვნესა და კბილების ღრჭენა. ბერმა სახე დაიფარა და ატირდა. ამ დროს მოესმა ხმა ზეციდან: *“მწარეა, მაგრამ ვინ არის დამნაშავე? მითხარი, კიდევ რა შემეძლო გამეკეთებინა მათი გადარჩენისათვის, რაც არ ვაკეთე? მაგრამ ისინი გამბეზინვარებით უარყოფენ მათთვის გაწეულ ყოველგვარ დახმარებას, ისინი უარყოფენ მეც, მათი ტანჯვის ყველაზე უნუგეშო ადგილებშიც რომ ჩავიდე დასახმარებლად”*. რამდენადმე დამშვიდებულმა ბერმა მხერა მარჯვენა მხარეს, ნათელი აღმოსავლეთისკენ მიაპყრო და სასიხარულო სანახაობით იქნა ნუგეშინის-ცემული. ისინი, ვინც ყურად-იღეს ნათელი ჭაბუკების დაძახილი, ხელი გაუწოდეს მათ ან რომელიმე მხსნელ იარაღს ჩაეჭიდნენ, ამოყვანილ იქნენ ჭაბუკთა მიერ მარჯვენა ნაპირზე; აქ მათ ხვდებოდნენ სხვები, შეჰყავდათ მცირე, ღამაზ შენობებში, რომლებიც მრავლად იყო მიმოფანტული მთელი ნაპირის გასწვრივ; აქ მათ განბანდნენ სუფთა წყლით, მოსავდნენ სუფთა სამოსით, წელზე შემოარტყამდნენ ქამარს, აცმევდნენ ფეხზე, აძლევდნენ კვერთხს და საჭმლით დანაყრებულთ წარგზავნიდნენ აღმოსავლეთისკენ, ამცნობდნენ, არ მოეხედათ უკან, ევლოთ გაუჩერებლად, ყურადღებით ეცქირათ ფეხქვეშ და არც ერთი მსგავსი შენობა არ დაეტოვებინათ ისე, რომ არ შესულიყვნენ მასში, დანაყრებულიყვნენ და განმტკიცებულიყვნენ იმათი რჩევით, ვის მზრუნველობაზეც მინდობილი იყო ეს შენობები და მათში შემავალი ყოველი ადამიანი. ბერმა თვალი გააყოლა ნაპირს და დაინახა, რომ მთელ მის გაყოლებაზე გადარჩენილნი ემზადებოდნენ გასამგზავრებლად. მათ სახეზე აღბეჭდილი იყო სიხარული და მხნეობა. ჩანდა, რომ ყველა მათგანი განსაკუთრებულ ძალასა და სიმსუბუქეს გრძნობდა და დაუოკებლად მიისწრაფოდა გზაში, რომელიც საამური ყვავილებით იყო მოფენილი. შემდგომ ბერმა მხერა გადაიტანა შორს, აღმოსავლეთისკენ და აი, რა გადაიშალა მის თვალწინ. საამო მდელი მთავრდებოდა ნაპირის შორიახლოს; შემდეგ იწყებოდა მთები, ზოგან მოშიშველებული და ფრიალო, ზოგან კი ბუჩქნარებითა და ტყეებით დაფარული, სულ უფრო და უფრო მაღლა აზიდული და უფსკრულებით გადაკვეთილი. მათზე ყველგან მოჩანდა დამაშვრალი მგზავრები. ერთი მიცოცავდა ციცაბოზე, მეორე იჯდა დაღლილი ან იღვა დაფიქრებული, სხვა კიდევ ებრძოდა მხეცს ან გველს; ერთი მიდიოდა პირდაპირ აღმოსავლეთისკენ, მეორე – არაპირდაპირი მიმართულებით, ზოგიერთი კი სხვებს განივად გზას უჭრიდა; ყველანი იყვნენ ჯაფასა და ოფლში, ბრძოლასა და სულიერი და ხორციელი ძალების დაძაბვაში. იშვიათი იყო მგზავრი, ყოველთვის რომ ხედავდა გზას, რადგან გზა ხშირად მთლიანად იკარგებოდა ან გზაჯვარედინზე იყო-

ფოდა; ზოგიერთ ადგილზე მას ფარავდა ნისლი და წყვილიად; ზოგან კვეთდა უფსკრული ან ფრი-  
ალო; აქა-იქ გზას ეღობებოდნენ მხეცები ან შხამიანი ქვეწარმავლები. მაგრამ აი, რა არის საკ-  
ვირველი! მთებში ყველგან მიმოფანტული იყო ლამაზი შენობები, მსგავსი იმათი, რომლებშიც  
პირველად იღებდნენ წყლისგან გადარჩენილთ. თუკი მგზავრი შედიოდა მათში, როგორც მას  
თავდაპირველად ამცნეს, – რა ღონემიხდილიც უნდა ყოფილიყო მანამდე, იქიდან მხნე და ძალებით  
საესე გამოდიოდა. მაშინ მხეცები და ქვეწარმავლები ვეღარ უძლებდნენ მის მხერას და გარბოდნენ  
მისგან, – ვერანაირი დაბრკოლება დიდხანს ვერ აჩერებდა მას და იგი ადვილად და სწრაფად პოუ-  
ლობდა ამა თუ იმ სახით მიმალულ გზას, იმ მითითებებით, რომლებსაც ამ შენობებში იღებდა. ყოვ-  
ელთვის, როცა ვინმე გადალახავდა დაბრკოლებას ან ძლევედა მტერს, ხდებოდა უფრო ძლიერი,  
მაღალი და ტანადი. რაც უფრო მაღლა ადიოდა ვინმე, მით უფრო მშვენივრობდა და ნათლდებოდა.  
მთის მწვერვალთან ადგილი ხდებოდა კვლავ სწორი და ყვავილოვანი, მაგრამ იქ მისულნი მალე  
შედიოდნენ ნათელ ღრუბელში, ან ნისლში, საიდანაც უკვე მეტად აღარ ჩნდებოდნენ. ბერმა თვალები  
ამ ღრუბლის მაღლა ასწია და იხილა საკვირველი, აღუწერელი მშვენიერების ნათელი, საიდანაც აღ-  
წევდა ტკბილი ხმები: “წმიდაო, წმიდაო, წმიდაო უფალო საბაოთ!” გულანუყვებული ბერი პირქვე  
დაემხო და მის თავზე ხმამაღლა გადაიქროლა უფლის სიტყვამ: “*ახე მოიქეცით და გადარჩებით*”.  
ბერი ისევ ფეხზე წამოდგა და იხილა, რომ მთის სხვადასხვა სიმაღლიდან არამცირედი რიცხვი  
მგზავრებისა სწრაფად დაეშვა კვლავ მდინარისაკენ, ზოგი დუმილით, ზოგიც ყვირილით, გმობითა და  
ლანძღვა-გინებით. თითოეულ მათგანს, ზემოდანაც და ქვემოდანაც, მიმართავდნენ მოწოდებით: “შე-  
ჩერდით, შეჩერდით!” მაგრამ რაღაც შავი ადამიანების მიერ დანქარებულნი, ისინი ყურად არ  
იღებდნენ გაფრთხილებას და კვლავ მყრალ მდინარეში ეშვებოდნენ. მაშინ ბერმა ღაღად-ჰყო:  
“უფალო, ეს რაღაა?” და მოესმა პასუხად: “*ესაა ნაყოფი თვითნებობისა და ღმრთივ-დადგენილი წე-  
სისადმი დაუმორჩილებლობისა!*” ამით ხილვა დასრულდა. ანგელოზმა, რომელმაც იგი უჩვენა ბერს,  
დასასრულს ჰკითხა მას: “ნუგეშინისცემულ იქმენ?” ბერმა მიწამდე მოუდრიკა მას თავი.

ბერის ეს ხილვა თავისთავად გასაგებია. მდინარე არის წუთისოფელი; მასში ჩადირულნი –  
წუთისოფლის სულით მცხოვრები, ვნებებში, მანკიერებებსა და ცოდვებში ჩაფლული ადამიანები;  
ნაგებში მსხდომი ნათელი ჭაბუკები არიან ანგელოზები და საერთოდ ესაა ხსნისადმი მხმობელი  
მაღლი; უფსკრული, რომელშიც ინთქმებოდა მდინარე ადამიანებით, არის წარსაწყმედელი; მარჯვენა  
ნაპირზე მდგომი ლამაზი შენობა ეკლესიაა, სადაც სინანულის ან ნათლისღების საიდუმლოთა მეშ-  
ვეობით მოქცეული ცოდვილნი განიბანებიან ცოდვებისგან, იმოსებიან გამართლების სამოსელით,  
შემოირტყამენ ძალას მაღლისას და დადგენილ არიან ცხონების გზაზე. აღმასვლა მთაზე სხვადასხვა  
სიძნელეების გადალახვით – სხვადასხვაგვარი შრომაა გულის განსაწმენდელად; მხეცები და ქვეწარ-  
მავლები – ცხონების მტრები; ნათელი ღრუბელი, რომელიც მგზავრებს ფარავს – მშვიდი აღსას-  
რული; მთიდან მომავალი ნათელი – ნეტარი სამოთხე; მთაზე მიმოფანტული შენობები – ღმრთის  
ტაძრები. ვინც გზაზე მდგომ ამ შენობებში შედის, – ანუ ეზიარება საიდუმლოებებს და  
მონაწილეობს ეკლესიის მღვდელმოქმედებებსა და ღოცვებში, სარგებლობს მწყემსების  
ხელმძღვანელობით, – იგი იოლად ძლევს ყველა დაბრკოლებას და სწრაფად მიდის სრულყოფილე-  
ბამდე; ხოლო ვინც თვითნებურად უარყოფს მათ და არ ემორჩილება მწყემსების მითითებებსა და  
რჩევებს, ის მალე ეცემა და სოფლის სული კვლავ იტაცებს (წმ. თეოფანე დაყუდებულის ქმნილებე-  
ბიდან).

## ანგელოზები ადამიანის გვერდით არიან მისი სიკვდილის ჟამს

მფარველი ანგელოზები არ გვეტოვებენ წუთისოფლიდან მარადიულ ცხოვრებაში ჩვენი გადასვლის დროსაც. “მუდამ გქონდეს გონებაში ფიქრი სიკვდილზე, – ამბობს წმიდა თეოდორე სტუდიელი, – იფიქრე თავად სხეულთან სულის გაყრაზე, – გაყრაზე, რომელიც შენი ანგელოზის ზედამხედველობის ქვეშ მოხდება”. მფარველი ანგელოზის ჩვენს გვერდით ყოფნა და მისი მხიარული მზერა გვიმსუბუქებს სხეულთან სულის გაყრის მძიმე წუთებს და ამშვიდებს კეთილ ქრისტიანს, რომელმაც არ დააკლო თავის თავს მიწაზე ეს უკანასკნელი ზეციური შეწევნა.

წმიდა ეკლესიას სწამს, რომ მფარველი ანგელოზი იცავს ქრისტიანის სულს სხეულთან მისი გაყრის შემდეგაც, საზვერებების გავლის დროს. თუ რაში მდგომარეობს ანგელოზების მეოხება საზვერებების გავლისას, ამის თვალსაჩინო მოწმობას ვხვდებით ღირსი ნიფონტის ცხოვრებაში. ერთხელ ეკლესიაში ლოცვაზე მდგომმა ნიფონტმა თვალები ზეცად აღაპყრო და იხილა გახსნილი ზეცა და ანგელოზთა სიმრავლე, რომელთაგან ზოგიერთი ჩამოდიოდა მიწაზე, სხვები კი ზეცაში აღიოდნენ და აჰყავდათ ადამიანთა სულები. ორი ანგელოზი მიიწვედა მალლა და მიჰყავდათ ერთი სული. როდესაც მიუახლოვდნენ მრუშობის საზვერეს, რისხვით გამოვარდნენ ბოროტი სულები: “ეს სული ჩვენია, როგორ ბედავთ მის წაყვანას?” ანგელოზებმა ჰკითხეს: “რა უფლება გაქვთ მასზე?” ბოროტმა სულებმა მიუგეს: “იგი სცოდავდა სიკვდილამდე, იბილწავდა თავს არა მარტო ბუნებრივი, არამედ არაბუნებრივი ცოდვებითაც, ამასთან განიკითხავდა მოყვასს, და რაც ყველაზე უარესია – მოუნანიებლად მოკვდა: ამაზე რას იტყვით?” ანგელოზები შეეპასუხნენ: “ჩვენ არ დაგიჯერებთ არც თქვენ, არც თქვენს მამას – ეშმაკს, სანამ არ გავიგებთ ამ სულის მფარველი ანგელოზისგან”. ჰკითხეს მას და მან უამბო: “მართალია, ამ სულმა ბევრი შესცოდა, მაგრამ იმ ჟამს, როდესაც მას სწეულება ეწია, მან იწყო ტირილი და ღმრთის წინაშე თავისი ცოდვების აღიარება. თუკი მას აპატია ღმერთმა, მან უკეთ იცის, რატომ. მას აქვს ხელმწიფება და დიდება მის მართალ მსჯავრს”. მაშინ ანგელოზებმა დასცინეს ბოროტ სულებს და სულთან ერთად ზეციურ კარიბჭეში შევიდნენ.

მფარველი ანგელოზი დადგება იმ ადამიანის ახლოს, რომელმაც, მოციქულის თქმით, ამ ცხოვრებაში კეთილად იღვაწა და რწმენა დაიმარხა. პირიქით, იგი შორს იქნება იმ სულისგან, რომელმაც აქ, მიწაზე, თავის თავს დაუხშო ზეციური სასუფეველის ბჭენი. ღირსმა ნიფონტმა იხილა ისეთი სულიც, რომელსაც ეშმაკები ჯოჯოხეთში მიათრევდნენ. ეს იყო სული ერთი მონისა, რომელსაც ბატონი შიმშილითა და ცემით სულს ხდიდა. მან კი ვერ დაითმინა ტანჯვა, ეშმაკების რჩევით აიღო თოკი და თავი ჩამოიხრჩო. ამ სულის მფარველი ანგელოზი შორს მოდიოდა და მწარედ ტირილდა, ეშმაკები კი ხარობდნენ. ასე მძიმეა თვითმკვლელობის ცოდვა!

## ანგელოზების თანადგომით და ღირსი ბასილის ლოცვით წმიდანმა ყველა საზვერე მშვიდობით მოიტოვა უკან

წმ. თეოდორა კონსტანტინოპოლში ცხოვრობდა X საუკუნის I ნახევარში. იგი გათხოვილი იყო, შემდეგ დაქვრივდა და ღმრთისმომშიმ ცხოვრებას ეწეოდა – გლახაკებსა და მოგზაურებს ემსახურებოდა. ბოლოს მონაზვნობა მიიღო და ღირსი ბასილი ახლის ხელმძღვანელობით მოღვაწეობდა. როდესაც თეოდორა გარდაიცვალა, წმ. ბასილი ახლის მოწაფე, გრიგოლი ევედრა მოძღვარს, წმიდა მონაზვნის იმსოფლიური ხვედრი ეუწეებინა მისთვის. ღირსი მამის ლოცვით გრიგოლს ძილში საოცარი ხილვა ეჩვენა: იგი აღმოჩნდა მშვენიერ ბაღში, სადაც თეოდორას შეხვდა და გამოჰკითხა ყველაფერი, რაც აინტერესებდა...

ღირსმა თეოდორამ გრიგოლს უამბო, თუ როგორ აშინებდნენ სიკვდილის ჟამს უეცრად გაჩენილი ბოროტი სულები. მათ თან დიდი წიგნები მოიტანეს, რომლებშიც მისი ცოდვები იყო ჩაწერილი, და მოუთმენლად ელოდნენ მსაჯულს, რომელიც საცაა უნდა გამოჩენილიყო. ღირსი თეოდორა ისეთმა ძრწოლამ შეიპყრო, რომ სასოწარკვეთილების პირას მივიდა და აქეთ-იქით ყურება დაიწყო, იქნებ ვინმემ მომაცილოს ეშმაკებიო. ამ დროს მის გვერდით ორი ანგელოზი გაჩნდა და ბოროტი სულები მყისვე მოშორებით დადგნენ. “კაცთა მოდგმის შავბნელო მტრებო, რატომ აწუხებთ მომაკვდავის სულს? ამოდ ხარობთ, თქვენ აქ არაფერი გერგებათ”, – უთხრა მათ ერთ-ერთმა ანგელოზმა. მაშინ ეშმაკებმა იწყეს ყველაფრის ჩამოთვლა, რაც კი ოდესმე შეუცოდავს ღირს თეოდორას სიტყვით, საქმით თუ გონებით, თანაც ბევრ რამეს ამატებდნენ და ცილს სწამებდნენ წმიდანს.

სხეულთან გაყრის შემდეგ ღირსი თეოდორას სული ნათლით მოსიღმა ანგელოზებმა აიტაცეს და მასთან ერთად ზეცისკენ გაფრინდნენ, სხეული კი მიწაზე დარჩა გახდილი სამოსელივით. მაშინ ბოროტი სულები კვლავ მიუახლოვდნენ მათ და უთხრეს ანგელოზებს: “ჩვენ ბევრი მისი ცოდვა ვიცით, პასუხი აგეთ მათზე”. ანგელოზებმა გაიხსენეს წმიდანის ყველა კეთილი საქმე: მოწყალება, მოთმინება, მშვიდობისმოყვარება, სიმაბლღე, მარხვა და მრავალი სხვა...

ანგელოზების თანადგომით და ღირსი ბასილის ღოცვით წმიდანმა ყველა საზვერე მშვიდობით მოიტოვა უკან და ზეციურ კარიბჭეში შევიდა. მას შეეგება ანგელოზთა მოზიემე დასი და ღმრთის საყდართან მიაცილა. თვალშეუდგამ სიმაღლეზე ღმრთის საყდარი ბრწყინავდა და ყველას, ვინც მის წინაშე იდგა, ნათელს ჰფენდა. თეოდორამ თავყანი სცა უხილავ ღმერთს და ესმა ხმა, რომელმაც ბრძანა, ეჩვენებინათ მისთვის მართალთა და ცოდვილთა სულები, მერე კი მოესვენებინათ.

აღბათ ყოველი მორწმუნე ქრისტიანი ჰპოვებს ამ ამბავში საზრდოს სულისთვის, შიშით დაფიქრდება, თუ რა მოელის სიკვდილის შემდგომ და, სანამ დროა, გადახედავს თავის ცხოვრებას, საქმეებს, სიტყვებს, აზრებს, განაგდებს ყოველგვარ ყოყმანს და დაუფარავად აღიარებს ყველაფერს, რაც კი ოდესმე შეუცოდავს.

### **ეს თქვა მონაზონმა და მშვიდობით შეჰვედრა სული თვისი უფალს**

ერთი მონაზონი საკმაოდ დაუდევარი იყო ცხოვნების გზაზე – ღოცვასა და მარხვაში. ბოლოს დადგა მისი აღსასრულის ჟამი, და მისი სარეცელის გარშემო შეკრებილი ძმობა ფრიად განცვიფრდა, როდესაც იხილა, რომ ეს, მათი აზრით, უზრუნველი მონაზონი ამ სოფელს ტოვებდა არა მხოლოდ თრთოლვის გარეშე, არამედ ღმრთისადმი მაღლიერებითა და ღიმილითაც კი. “რატომ ხარ ასე უზრუნველი ღმრთის სამსჯავროს ამ მრისხანე ჟამს? – ჰკითხეს მათ. – ჩვენ ვიცნობთ შენს ცხოვრებას და არ გვესმის, რატომ ხარ ასე მშვიდად; განმტკიცდი ძალითა ქრისტესი, ღმრთისა ჩვენისა და გვითხარი, რათა განვადიდოთ მისი მოწყალება”. მაშინ მომაკვდავმა მონაზონმა საწოლიდან წამოიწია და უთხრა მათ: “მამანო და ძმანო! მე დაუდევრად ვცხოვრობდი და აწ ყველა ჩემი საქმე წარმოადგინეს ჩემ წინაშე და წამიკითხეს ღმრთის ანგელოზებმა; შემუსვრილმა აღვიარე ისინი და მოველოდი ღმრთის მკაცრ მსჯავროს... მაგრამ უეცრად ანგელოზებმა მითხრეს: “მართალია, შენ დაუდევრად ცხოვრობდი, მაგრამ არავის განიკითხავდი და უბოროტო იყავი”, და ამ სიტყვებით დახიეს ჩემი ცოდვების ხელითწერილი. აი, მიზეზი ჩემი სიხარულისა!” ეს თქვა მონაზონმა და მშვიდობით შეჰვედრა სული თვისი უფალს”.

ეს ამბავი დასტურია უფლის აღთქმის ჭეშმარიტებისა: “ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ; და ნუ დასჯით და არა დაისაჯნეთ; მიუტყვეთ და მოგეტყვენ” (ლუკ. 6, 37).

## “ამან მაცხოვნა სხვა ღვაწლთა გარეშე”

ერთი ერისკაცი მივიდა ათონის მთის კავსოკალივიის სკიტში, რათა გამხდარიყო მონაზონი. თუმცა სკიტელმა მამებმა არ მიიღეს იგი, რადგან სიზარმაცისა და დაუდევრობის გარდა მას ჰქონდა სკანდალური ხასიათიც და მუდამ პრობლემებს ქმნიდა. მაგრამ ვინაიდან ძლიერ მოსწონდა სკიტი, მამებისგან მიიღო მათთან დარჩენის ნებართვა და აღუთქვა, რომ ხანდახან დაეხმარებოდა.

სიზარმაცესა და დაუდევრობაში განვლო მან თავისი ცხოვრება, სანამ არ დადგა მისი სიკვდილის ჟამი. მამები არ განეშორებოდნენ მის სარეცელს, რათა ნუგეში-ეცათ მომაკვდავისათვის.

და აი, მომაკვდავი განკვირებაში მოვიდა და რაღაცას ანიშნებდა მამებს. მათ ვერ გაიგეს, რა ხდებოდა მის თავს. როდესაც გონს მოვიდა, მამებს საშინელი რამ უამბო: “მე ვიხილე მთავარანგელოზი მიქაელი ხელში ქარტიით, რომელშიც ჩაწერილი იყო ყველა ჩემი ცოდვა. მან მითხრა: “ხედავ? ყველაფერი, რაც აქ არის ჩაწერილი, შენ ჩაიღინე. ამიტომ მოემზადე ჯოჯოხეთში წასასვლელად”. მაშინ მე ვუთხარი: “აბა ჩაიხედე, თუ არის ყოველივე ამაში განიკითხვის ცოდვა?” მთავარანგელოზმა ეძია და ბოლოს მითხრა: “არა”. – “ესე იგი, – ვუთხარი მას, – მე არ უნდა წავიდე ჯოჯოხეთში უფლის სიტყვების თანახმად: “ნუ განიკითხავთ და არა განიკითხნეთ” (ლუკ. 6, 37). მაშინ მთავარანგელოზმა მიქაელმა დახია ქარტია ჩემი ცოდვებით. ასე რომ, მამებო, მე წავალ სამოთხეში. როდესაც თქვენ მითხართ, რომ მე არ გამოვდგები იმისათვის, რომ ვიყო სკიტელი მონაზონი, და მე დავიწყე მუშაობა როგორც ერისკაცმა და ეკლესიაში მხოლოდ დღესასწაულებზე დავდიოდი, გავიგონე სახარების სიტყვები: “ნუ განიკითხავთ, რადგან არა განიკითხნეთ” (მათ. 7, 1) – და ჩემს თავს ვუთხარი: “წყეულო, შეასრულე თუნდაც ეს”, – და ამან მაცხოვნა სხვა ღვაწლთა გარეშე.

როგორც კი მან ეს თქვა, მთავარანგელოზმა მიქაელმა მიიღო მისი სული.

## ესენი იყვნენ ღმრთისმშობელი და მფარველი ანგელოზი

1964 წელს ქალაქ ბარნაულში საოპერაციო მაგიდაზე გარდაიცვალა კლავდია უსტიუჟანინა. როდესაც კლავდია გაჭრეს, მისი ნაწლავები მთლიანად დაშლილი იყო. ნაკერების დადების გარეშე იგი პირდაპირ მორგში წაიყვანეს, ნათესავებზე გასცეს გარდაცვალების მოწმობა, შვილი კი ბავშვთა თავშესაფარში გაამწესეს. სამი დღის შემდეგ კლავდია მკვდრეთით აღდგა და როდესაც მას ხელმეორედ გაუკეთეს ოპერაცია, მისი ორგანიზმი სრულიად ჯანმრთელი აღმოჩნდა.

კლავდიას შვილი დღეს მღვდელია – მამა ანდრია. იგი მოგვითხრობს დედის ნაამბობს, საიდანაც განსაკუთრებით საგულისხმოა შემდეგი მომენტი: “დედა აღმოჩნდა ხეივანში უცნობ ადგილას. მოელვარე კარიდან, რომელიც აღსავლის კარის მსგავსი იყო, გამოჩნდა ღამაზი, ძალზე მაღალი, მკაცრი ქალი. მასთან ერთად მოდიოდა ჭაბუკი (ღირსი სერგის ღავრის ბერების განმარტებით, ესენი იყვნენ ღმრთისმშობელი და მფარველი ანგელოზი). იგი ტიროდა და რაღაცას თხოვდა ქალს, ხელზე ეყვრებოდა; მაგრამ ქალი მას ყურადღებას არ აქცევდა, მაშინაც კი, როცა ჭაბუკი მის წინ მუხლებზე დაემხო. ქალი მიუახლოვდა დედას, შემდეგ თვალები ზე აღაპრო და იკითხა: “უფალო, ეს საით?” პასუხად მოისმა უჩვეულოდ ღამაზი ხმა მამაკაცისა: “იგი დროებით არის წამოყვანილი. მისი მამის სათნოებებმა და განუწყვეტელმა ლოცვამ ღმობიერ-მყო მე”. ხმა იყო მეტად სველიანი. იგი ტიროდა...”

მამა ანდრია დღესაც ინახავს თავისი დედის გარდაცვალების მოწმობას, სადაც მითითებულია სიკვდილის მიზეზი და თარიღი. მკვდრეთით აღდგომის შემდეგ კლავდიამ კიდევ 14 წელი იცოცხლა და საყოველთაო უღმერთობის ხანაში ბოლომდე ატარა მარადიული ცხოვრების მოწმის ჯვარი.



## **ანგელოზები უგალობენ ზეცაში უფალს და მონაწილეობენ ეკლესიის ღმრთისმსახურებაში**

გალობის უნარი მხოლოდ გონიერ არსებათა – ანგელოზთა და კაცთა გამორჩეული თვისებაა. მათთვის გალობა სიტყვასთან ერთად ღმრთის თაყვანისცემის უმაღლესი გრძნობის გამომხატველი საშუალებაა და მხოლოდ მათი ბუნებისთვისაა დამახასიათებელი.

საღმრთო წერილში და ასევე წმიდანთა და კეთილმორწმუნე ადამიანთა გამოცხადებებში ანგელოზები წარმოდგენილი არიან უთვალავ გუნდად, რომლებიც უგალობენ წმიდა სამებას.

ჯერ კიდევ ადამიანის შექმნამდე, როგორც კი სამყაროში გაჩნდა ციური მნათობები – ყველა ანგელოზი ხმამაღლა უგალობდა უფალს (იობ. 38, 7). წინასწარმეტყველმა ესაიამ იხილა სერაფიმები, რომლებიც გარს შემოხვეოდნენ უფალი საბაოთის ტახტს და გალობდნენ: “წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს უფალი საბაოთ! სავსე არს ყოველი ქვეყანა დიდებითა მისითა!” (ეს. 6, 3). ახალი აღთქმის დაფარულთა მხილველი იოანე ღმრთისმეტყველი თავის გამოცხადებაში არაერთხელ ასხენებს ზეცის ნეტარ მკვიდრთა გალობას. უფლის ტახტთან მდგომარე წმიდა მამები, ანგელოზნი და უზარმაზარი დასი წმიდა მოწამეთა გალობით აქებდნენ ღმერთსა და კრავს.

არა მარტო წინასწარმეტყველნი, არამედ მრავალი ღმრთივსათნო ადამიანი შეიქნა ღირსი, მოესმინა ანგელოზთა გალობა. ქრისტე მაცხოვრის შობისას მწყემსები ხელავდნენ ზეციურ მხედრობათა სიმრავლეს, რომლებიც აქებდნენ ღმერთს და ამბობდნენ: “დიდება მადალთა შინა ღმერთსა, და ქუეყანასა ზედა მშუდობაჲ, და კაცთა შორის სათნობაჲ” (ლუკ. 2, 13-14).

წმიდა ეგნატე ღმერთშემოსილმა იხილა ანგელოზები, რომლებიც უგალობდნენ წმიდა სამებას ერთმანეთის მონაცვლეობით ანუ ანტიფონურად (ძველი ქართულით – “მიმოგვებითად”) და ამ სახის გალობა დაუწესა ნიმუშად ანტიოქიის ეკლესიას.

### **სამწმიდა საგალობელი მთელმა ერმა აიტაცა...**

წმიდა პროკლეს პატრიარქობაში ბიზანტიას თავს დაატყდა გამანადგურებელი მიწისძვრა, რომელიც რამდენიმე თვე გრძელდებოდა. იმპერიაში მთელი ქალაქები ინგრეოდა, მდინარეები მიწისქვეშ იკარგებოდა, ოდესღაც უწყლო ადგილებში დამღუპველი წყალდიდობები ხდებოდა. კონსტანტინოპოლის მკვიდრნი პატრიარქისა და იმპერატორის წინამძღოლობით ქალაქიდან გადიოდნენ, პარაკლისებს აღასრულებდნენ და უფლისგან ამ არნახული უბედურების შეწყვეტას ითხოვდნენ. ერთ-ერთი პარაკლისის დროს უხილაჲმა ძალამ ერთი ბიჭუნა ჰაერში აიტაცა. რამდენიმე ხანში ყრმა სრულიად უვნებელი დაბრუნდა მიწაზე და შემოკრებილ ხალხს ამცნო, რომ იქ, მაღლა მან იხილა და მოისმინა ანგელოზთა გალობა: “წმიდაო ღმერთო, წმიდაო ძლიერო, წმიდაო უკვდავო”. სამწმიდა საგალობელი მთელმა ერმა აიტაცა და თან დაამატა: “შეგვიწყალებნ ჩვენ”. ამ ღოცვის აღვლენის შემდეგ მიწისძვრები შეწყდა. აქედან მიეცა დასაბამი ამ ღოცვას, რომელიც ყველა ღმრთისმსახურების განუყოფელ ნაწილად იქცა.

### **ეს გუნდი იყო დიდი და ხმაშეწყობილი და არაამქვეყნიურად ტკბილად გალობდა**

ერთხელ წმიდა სპირიდონ ტრიმიფუნტელი ეკლესიაში მწუხრის მსახურებაზე მივიდა. იმ დროს ტაძარში არავინ იყო ღმრთისმსახურთა გარდა. მან კანდლებისა და სანთლების ანთება ბრძანა და ღმრთისმსახურებას შეუდგა. როცა დადგენილ დროს წარმოთქვა: “მშვიდობა ყოველთა” – და არ იყო ხალხი, ვინც მღვდელმთავარს უპასუხებდა, უეცრად ზემოდან მოისმა უთვალავი ხმა: “და სუ-

ლისაცა შენისა თანა”. ეს გუნდი იყო დიდი და ხმაშეწყობილი და არაამქვეყნიურად ტკბილად გალობდა. შეძრწუნებულ დიაკვანს ყოველი კვერქის წარმოთქმის შემდეგ ესმოდა საკვირველი გალობა ზემოდან: “უფალო, შეგვიწყალებ”. ამ გალობამ ეკლესიიდან შორ მანძილზე მყოფი ხალხიც კი მიიზიდა. რაც უფრო უახლოვდებოდნენ უფლის სახლს, ტკბილი გალობა სულ უფრო ძლიერდებოდა. ეკლესიაში შესულთ კი ეპისკოპოსისა და რამდენიმე ღმრთისმსახურის გარდა არავინ დახვდათ და ზეციური გალობაც შეწყდა, რამაც ყველანი განაცვიფრა.

### **“მრწამს, უფალო, რომ პური შენი ხორცია და ღვინო – შენი სისხლი”**

ღირსი არსენი დიდის ცხოვრებაში ვკითხულობთ: “სკიტში ცხოვრობდა ერთი ბერი, რომელსაც წმიდა ცხოვრებითა და სათნოებებით გაეთქვა სახელი, მაგრამ უბრალოებისა და საღმრთო წერილში განუსწავლელობის გამო ცდომილებაში იმყოფებოდა, რადგან არ სწამდა წმიდა საიდუმლონი და ამბობდა, რომ პური, რომელსაც საღმრთო ტრაპეზიდან ვიხმევთ, და ღვინო, რომელსაც ბარძიმიდან ვეზიარებით, არ არის ჭეშმარიტი ხორცი და სისხლი ქრისტესი და მხოლოდ სახეა მათი.

ორმა ბერმა მოისურვა მისი შეცდომის გამოსწორება, მივიდნენ მასთან და შეაგონებდნენ, რომ საღმრთო ლიტურგიაზე სულიწმიდის მოქმედებით პური და ღვინო გარდაიქმნება იესო ქრისტეს ჭეშმარიტ ხორცად და სისხლად. ბოლოს შესთავაზეს, ლოცვასა და მარხვაში გაეტარებინათ ერთი კვირა, რათა ღმერთს განეცხადებინა ჭეშმარიტება.

და აი, ამ დროის გახვლის შემდეგ, კვირა დღეს, სამივე ბერი ტაძარში საღმრთო ლიტურგიაზე მივიდა. როდესაც წმიდა ძღვენი დააბრძანეს ტრაპეზზე, მათ სულიერი თვალები აეხილათ და იხილეს ყრმა ქრისტე. როგორც კი მღვდელმა პურის გასატეხად გაიწოდა ხელი, ზეცით გარდამოხდა უფლის ანგელოზი დანით ხელში, დაკლა ყრმა და სისხლი ბარძიმში ჩაასხა, ხორცი კი ნაწილებად დაჰყო.

დადგა საღმრთო საიდუმლოთა ზიარების ჟამი; საზიარებლად მივიდა ურწმუნო ბერიც, მაგრამ როცა ხელში პურის ნაცვლად სისხლიანი ხორცი იხილა, ბარძიმში კი – სისხლი, შეძრწუნებულმა შეჰყვირა: “მრწამს, უფალო, რომ პური შენი ხორცია და ღვინო – შენი სისხლი”. ხორცმა ისევ პურის სახე მიიღო, სისხლმა კი – ღვინისა და ბერიც დიდი შიშითა და მოკრძალებით ეზიარა. მაშინ ყველამ ერთად აღიდა ქრისტე ღმერთი.

### **ღირსი ნიფონტის ხილვა კონსტანტინოპოლში საღმრთო ლიტურგიაზე**

ერთხელ ღირსი ნიფონტი თავის მოწაფესთან ერთად კონსტანტინოპოლში ღმრთისმსახურებას ესწრებოდა. უეცრად წმიდანს აეხილა სულიერი თვალები და იხილა ზეცით გარდამოსული ცეცხლი, რომელმაც დაფარა საკურთხეველი და მღვდელმთავარი. “წმიდაო ღმერთო!”-ს გალობისას გამოცხადდა ოთხი ანგელოზი და მგალობლებთან ერთად იწყო გალობა. ხოლო როცა კითხულობდნენ სამოციქულოს, მკითხველის უკან იდგა წმიდა პავლე მოციქული და თვალს ადევნებდა მას.

სახარების კითხვისას სიტყვები, როგორც ლამპარნი, ზეცად აღიოდა. წმიდა ძღვენის გადაბრძანების დროს გაიღო ეკლესიის თაღი, გაიხსნა ზეცა და საკვირველ კეთილსურნელებაში ანგელოზებმა იწყეს ჩამოსვლა გალობით: “დიდება ქრისტე ღმერთს!” მათ მოჰყავდათ მშვენიერი ყრმა, რომელიც დაასვენეს ფეშხუმზე და თვითონ გარს შემოერტყნენ ტრაპეზს.

მოვიდა ძღვენის კურთხევისა და საიდუმლოს აღსრულების დრო; მაშინ ერთ-ერთმა ყველაზე ნათელმა ანგელოზმა აიღო დანა, დაკლა ყრმა და წმიდა სისხლი ბარძიმში ჩაასხა; მერე ყრმა ფეშხუმზე დაასვენა და მოკრძალებით კვლავ სხვებთან ერთად დადგა.

ზიარების დროს ნეტარი მამა ხედავდა, რომ მაზიარებელთა ერთ ნაწილს სახე ჰქონდა მზე-სავით ნათელი, ხოლო სხვებს – ბნელი და პირქუში. იქ მყოფი ანგელოზები თვალს ადევნებდნენ, თუ ვინ როგორ მიეახლებოდა წმიდა ბარძიმს და ღირსეულად მაზიარებლებს გვირგვინს ადგამდნენ, უღირსებისგან კი პირს იბრუნებდნენ. წირვის დასრულების შემდეგ წმიდა ნიფონტმა ყრმა კვლავ მრთელი იხილა, ანგელოზთა ხელებზე ზეცად აღმავალი. ღირსმა მამამ ამ ხილვის შესახებ უამბო თავის მოწაფეს, რომელმაც იგი სხვების სულის სასარგებლოდ ჩაიწერა.

### **“უკან დავბრუნდეთ, შვილო, ეს ანგელოზთა მსახურებაა”.**

წმიდა ნეტარიოს ეგინელის დედათა სავანის ამბებს იხსენებს მარიამ სტრონგილუ. იგი ამ მონასტერში იზრდებოდა, მისი დეიდა, ქსენია კი მონასტრის პირველი ილუმენია გახლდათ.

“დედა აკაკია ერთხელ ავად შეიქნა, – გვიყვება მარიამი, – მან და სტელას თხოვა, რომ იგი ცისკრამდე გაეღვიძებინა, რადგან მეორე დღეს ზიარებას აპირებდა. ღამით უეცრად სტელას მოესმა, რომ ტაძარში მსახურება აღესრულებოდა. როცა ტაძართან მივიდა, იგი დაკეტილი დახვდა. ერთხელ, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო დედა ქსენია, მსგავსი რამ მეც გადამხდა. მომესმა, რომ ტაძარში მსახურება მიდიოდა. მახსოვს, ავდექი და ჩავიცვი, ჩემი უსინათლო დედა ტაძარში ღმრთისმსახურებაზე რომ წამეყვანა. ჩვენ გარეთ გავედით, ეკლესია კი დაკეტილი დაგვხვდა. ირგვლივ ბნელოდა. “უკან დავბრუნდეთ, შვილო, – მითხრა დეიდამ, – ეს ანგელოზთა მსახურებაა”.

### **ამგვარად გამოუცხადა კაცთმოყვარე უფალმა ამა სოფლისაგან მოკიცხულ სამ ქალწულს ზეციური გალობა**

ნიჟეგოროდის ეპარქიის მღვდლის იოანე მილოვსკის ნაამბობიდან: “ნიჟეგოროდის ეპარქიის ორ სოფელს – კონკუროვოსა და საიტოვკას შორის ხის ძველთაძველი პატარა სამლოცველოა. სოფელ კონკუროვოს მკვიდრმა სამმა ქალწულმა – პელაგია, პარასკევა და ქსენიამ გადაწყვიტეს, მწუხრის ღოცვის შემდეგ ზემოხსენებულ სამლოცველოში წასულიყვნენ მოსალოცად იმ განზრახვით, რომ ცისკრის ღოცვისთვის კვლავ თავის ტაძარში დაბრუნდებოდნენ.

როდესაც უფლის სახლს თითქმის ნახევარი ვერსტით მიუახლოვდნენ, შეამჩნიეს, რომ მისი კარიდან შუქი გამოდიოდა, გაუხარდათ და იფიქრეს, სხვა მორწმუნენიც მოსულან სამლოცველოშიო. მალე გალობაც გაიგონეს, სიხარულით აღვისილებმა ნაბიჯს მოუმატეს და სწრაფად გაიარეს ხრამი, რომელიც სამლოცველოს აშორებდათ. ჩქარი სიარულის შემდეგ ცოტა შეისვენეს სულის მოსათქმელად და გალობის მოსასმენად, გაუნძრევლად იდგნენ და უსმენდნენ. გალობა იმდენად მშვენიერი და ტკბილი იყო, რომ ქალწულნი გაოცებას ვერ ფარავდნენ და გულუბრყვილოდ ფიქრობდნენ: “ჩვენი თანასოფელები ასე ვერ იგალობებენ, ალბათ ქალაქიდან განათლებული მომლოცველები არიან ჩამოსული; მაშ, მოდი, მოვიცადოთ და ნუ შევალთ შიგნით, რათა არ მოვაცდინოთ მგალობელნი”.

ამ განზრახვით ისინი ჩუმად მიუახლოვდნენ სამლოცველოს სარკმელს და იქ ისმენდნენ საკვირველ გალობას, რომელიც, მათი თქმით, დიდი ხოტბის მსგავსი იყო. გალობასთან ერთად მათ მუდავითნის ხმაც ესმოდათ. ბოლოს ერთ-ერთმა მათგანმა, ქსენიამ, სამლოცველოში შესვლა გადაწყვიტა და კარებს მიაშურა. მას სხვებიც მიჰყვნენ. კართან მისულთ იგი ჯაჭვით გადარაზული და ბოქლომდადებული დახვდათ. ამასობაში სამლოცველოში სინათლევც ჩაქრა და გალობაც შეწყდა. შეშინებული ქალწულნი სწრაფად გაეცაღნენ იქაურობას.

თავიდან ამ მოვლენის შესახებ ისინი არავის უამბობდნენ. გარკვეული დროის შემდეგ, 1867 წელს, ეს ამბავი პელაგია მომითხრო. ამის შემდეგ მე მოვიხმე პარასკევა, გამოვკითხე ხილვის შეს-

ახებ და მან ყველაფერი ზუსტად ისე აღწერა, როგორც პელაგიამ. ქსენია კი ვერ ენახე, რადგან იმხანად სოფელში არ იყო. ჩემს შეკითხვაზე, თუ რატომ არ ჰყვებოდნენ ამის შესახებ ამდენ ხანს, მიპასუხეს: “თანასოფლელები ისედაც დაგვცინოდნენ და ფარისევლებს გვეძახოდნენ, ამიტომ გადავწყვიტეთ, ეს საიდუმლო არ გაგვეთქვა, რათა უფრო მეტი დაცინვა და შეურაცხყოფა არ მიგველო”.

მე არ შემიძლია, არ ვირწმუნო ამ ამბის ჭეშმარიტება, პირველ რიგში, იმიტომ, რომ მას სამი მოწმე ჰყავს, და მეორეც იმიტომ, რომ ისინი უმწიკვლოდ ცხოვრობენ. ჩემი ორმოცწლიანი მოძღვრობის მანძილზე მე ისინი კარგად გავიცანი”.

აი, ამგვარად გამოუცხადა კაცთმოყვარე უფალმა ამა სოფლისაგან მოკიცხულ სამ ქალწულს ზეციური გალობა, როგორც ოდესღაც ბეთლემში მაცხოვრის შობისას უბრალო მწყემსებს. ჭეშმარიტად ბრძანა უფალმა იესო ქრისტემ ზეციური მამისადმი თავის ლოცვაში: “აღვიარებ შენ, მამაო, უფალო ცისა და ქუეყანისაო, რამეთუ დაჰფარე ესე ბრძენთაგან და მეცნიერთა და გამოუცხადე ესე ჩხვლთა. ჰე, მამაო, რამეთუ ესრეთ სათნო-იყო შენ წინაშე” (მათ. 11, 25-26).

### **მაშინ კი მიხვდა, რომ სტუმრები ზეციდან იყვნენ**

ეკლესიაში მსახურება ათონელი ბერის, ტიხონისთვის ნეტარება იყო, ლიტურგია კი მას ყველაზე მეტად უყვარდა; უკვე დიდიდანი ზიარების ლოცვებს კითხულობდა და მთელი დღე საშინელი საიდუმლოს აღსრულებისთვის ემზადებოდა; ამბობდა, რომ ქრისტიანი მთელი ოცდაოთხი საათი უნდა ემზადებოდეს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს წმიდა ხორცისა და სისხლის მიღებისათვის.

ღმრთაებრივი ლიტურგიის დროს ბერის სული ზეცად ამაღლდებოდა. იგი მგალობელ ძმას თხოვდა, მსახურებაზე რაც შეიძლება ადრე, განთიადზე მოსულიყო. საიდუმლოს აღსრულებისას, როდესაც უსისხლო მსხვერპლი შეიწირებოდა, ამ მონაზონს თხოვდა, სტოაში მდგარიყო და იქიდან ეგალობა “უფალო, შეგვიწყალებ”, რათა სრულ განმარტობაში ელოცა. მონაზონი ქერუბიმთა საგალობელს მრავალჯერ იმეორებდა, სანამ ბერი პატიოსან ძღვენს გამოაბრძანებდა. მამა ტიხონი, მისივე სიტყვებით, ამ დროს ოცი, ზოგჯერ კი ოცდაათი წუთითაც (სულიერად) ატაცებული იყო ზეცად. როცა წირვის შემდეგ მას ეკითხებოდნენ: “რას ხედავდი, მამაო?” იგი პასუხობდა: “ქერუბიმებს და სერაბიმებს, რომლებიც აღიღებდნენ ჩემს უფალს! მიწაზე მფარველ ანგელოზს ჩამოყვავარ და მაშინ კვლავ ვაგრძელებ ღმრთაებრივ მსახურებას”.

ხშირად, როცა იგი მარტო მსახურებდა, მას ანგელოზები უგალობდნენ ქერუბიმთა საგალობელს. მაშინ გამოუთქმელ ღმობიერებაში ბერი ლოცულობდა მთელი მსოფლიოსათვის, რომელმაც უარყო თავისი მაცხოვარი და უფალი და არ მიიღო ეს დიდი მსხვერპლი, რათა განწმენდილიყო და გადარჩენილიყო. ლიტურგიის დასრულების შემდეგ იგი თითქოსდა სხვა სამყაროდან ბრუნდებოდა და უკვირდა, რომ უკვე ბინდებოდა და ამდენი ხანი იყო გასული. პროსკომიდიაზე მამა ტიხონი უთვალავ სახელს კითხულობდა, მოხსენიების შემდეგ ყველა ბარათს შეკრებდა, სახეზე მიიღებდა და უფალს თხოვდა ყველა ცოცხალისა და გარდაცვლილის მოხსენიებას თავის სასუფეველში. მას გული შესტკიოდა ყველასათვის და მის სულს არ შეეძლო, არ ელოცა.

ერთხელ მამა ტიხონთან მოვიდა მამა თეოკლიტე დიონისიატის მონასტრიდან. სენაკის კარი დაკეტილი დახვდა, ეკლესიიდან კი გულის ამაჩუყებელი გალობა მოისმოდა. სტუმარმა ვერ გაბედა დაკაკუნება, რათა არ დაერღვია ღმრთაებრივი მსახურება და გადაწყვიტა წირვის დასრულებამდე მოეთმინა. მაგრამ მალე გამოვიდა მამა ტიხონი და მას კარი გაუღო. როდესაც მამა თეოკლიტე შევიდა, ვერც ტაძარში და ვერც სენაკში ვერავინ იპოვა ბერის გარდა. მაშინ კი მიხვდა, რომ სტუმრები ზეციდან იყვნენ.

## ანგელოზთა სასწაულები უკანასკნელ საუკუნეებში

### ღმრთის ანგელოზთა გამოცხადება ალიასკაზე

აი, რა საგულისხმო შემთხვევას გვიამბობს თავისი ცხოვრებიდან მოსკოვის მიტროპოლიტი ინოკენტი, რომელიც წარსულში მღვდლის ხარისხში (მას ერქვა მამა იოანე) მისიონერულ მოღვაწეობას ეწეოდა შორეულ ალიასკაზე:

კუნძულ უნალაშკიზე თითქმის ოთხი წლის ცხოვრების შემდეგ, დიდ მარხვაში, პირველად გავემგზავრე კუნძულ აკუნზე, რათა მისი მკვიდრი ალექსანდრე ზიარებისთვის მომემზადებინა. კუნძულთან მიახლოებისას დავინახე, რომ სადღესასწაულოდ მორთულ-მოკაზმული ალექსანდრე ნაპირზე გამოსულიყვნენ. როცა ხმელეთს მივალწიე, სიხარულით მოირბინეს ჩემთან და საოცრად აღერსიანად მეპყრობოდნენ. მე ვკითხე, თუ რატომ იყვნენ ისინი ასე შემოსილი და მათ მიპასუხეს: “ჩვენ ვიცოდით, რომ შენ გამოემგზავრე და დღეს ჩვენთან იქნებოდი; ჩვენც სიხარულით გამოვედით ნაპირზე შენს შესახებდრად”.

– ვინ გითხრათ, რომ დღეს ჩამოვიდოდი, და საიდან გაიგეთ, რომ სწორედ მე ვარ მამა იოანე?

– ჩვენმა შამანმა, მოხუცმა ივანე სმირენნიკოვმა, გვითხრა: დაელოდეთ, დღეს თქვენთან მღვდელი ჩამოვა; იგი უკვე გამოემგზავრა და გასწავლით ღმრთისადმი ღოცვას; მან აღგვიწერა შენი გარეგნობა ისე, როგორც ახლა გხედავთ.

– შემიძლია ვნახო ეს თქვენი მოხუცი შამანი?

– რატომაც არა, შეგიძლია: მაგრამ ახლა აქ არ არის, და როდესაც მოვა, ჩვენ ვეტყვი; იგი თვითონ, ჩვენს გარეშეც მოვა შენთან.

თუმცა ამ გარემოებამ ფრიალ გამაკვირვა, მაგრამ ყურადღების გარეშე დავტოვე და შევუდექი ალექსანდრის მომზადებას ზიარებისათვის, აუხსენი მარხვისა და სხვათა მნიშვნელობა. მოვიდა ჩემთან მოხუცი შამანიც და გამოთქვა ზიარებისთვის მომზადების სურვილი. მე მას განსაკუთრებულ ყურადღებას არ ვაქცევდი და აღსარებისას იმის შეკითხვაც დამავიწყდა, თუ რატომ უწოდებენ მას ალექსანდრე შამანს, და ამის თაობაზე გარკვეული დარიგებაც მიმეცა. იგი ვაზიარე წმიდა საიდუმლოებებს და გავუშვი...

და რა მოხდა? ჩემდა გასაკვირად, ზიარების შემდეგ იგი გაემართა თავის ტონთან და მასთან გამოთქვა უკმაყოფილება ჩემდამი სწორედ იმის გამო, რომ აღსარებისას არ ვკითხე, რატომ უწოდებენ მას ალექსანდრე შამანს, ვინაიდან მას ძლიერ არ სიამოვნებს, რომ თანამოძმენი მას შამანს უწოდებენ, და რომ იგი სრულიადაც არ არის შამანი. ტონმა, რასაკვირველია, გადმომცა მოხუცი სმირენნიკოვის უკმაყოფილება და მე მაშინვე გავაგზავნე ხალხი მის მოსაყვანად; წარგზავნილებს სმირენნიკოვი გზაში შეხვდა შემდეგი სიტყვებით: “მე ვიცი, რომ მეძახის მღვდელი მამა იოანე, და მე მასთან მივდივარ”. მე მას დაწვრილებით გამოვკითხე ჩემს მიმართ თავისი უკმაყოფილებისა და მისი ცხოვრების შესახებ, და ჩემს კითხვაზე, იცოდა თუ არა წერა-კითხვა, მომიგო, რომ, მართალია, წერა-კითხვა არ იცის, მაგრამ იცის სახარება და ღოცვები. მაშინ ვთხოვე, განემარტა, საიდან მიცნობდა ისე, რომ თავის თანამოძმეებს ჩემი გარეგნობაც კი აღუწერა, და საიდან გაიგო, რომ მე გარკვეულ დღეს ჩამოვიდოდი და გასწავლიდი მათ ღოცვას. მოხუცმა მიპასუხა, რომ ყოველივე ეს მას უთხრა მისმა ორმა მეგობარმა.

“ვინ არის ეს შენი ორი მეგობარი?” – ვკითხე მე. “თეთრი ადამიანები, – მომიგო მოხუცმა. – მათ, გარდა ამისა, მითხრეს, რომ შენ ახლო მომავალში შენს ოჯახს გაგზავნი ხმელეთით, თავად კი ზღვით წახვალ დიდ ადამიანთან და ესაუბრები მას”.

– სად არიან ეს შენი მეგობრები, თეთრი ადამიანები, რას წარმოადგენენ ისინი და როგორი გარეგნობისა არიან?

– ისინი აქ შორიახლოს მთებში ცხოვრობენ და ჩემთან ყოველდღე მოდიან, – მომიგო მოხუცმა და ისინი წარმომიდგინა ისე, როგორც გამოსახავენ წმ. მთავარანგელოზ გაბრიელს, თეთრ სამოსში და მხარზე გადაჭერილი ვარდისფერი ლენტით.

– როდის მოვიდნენ შენთან პირველად ეს თეთრი ადამიანები?

– ისინი მოვიდნენ მალე მას შემდეგ, რაც მოგვნათლა მღვდელმონაზონმა მაკარიმ.

ამ საუბრის შემდეგ მე ვკითხე სმირენნიკოსს, შემეძლო თუ არა მათი ნახვა? “მე მათ ვკითხავ”,

– მიპასუხა მოხუცმა და წავიდა.

მე რამდენიმე ხნით ახლომდებარე კუნძულებზე გავემგზავრე ღმრთის სიტყვის საქადაგებლად. როგორც კი დაებრუნდი, ვკითხე სმირენნიკოსს:

– ჰკითხე თეთრ ადამიანებს, შემიძლია თუ არა მათი ნახვა, და სურთ თუ არა ჩემი მიღება?

– ვკითხე, – მიპასუხა მოხუცმა. – თუმცა მათ გამოთქვეს შენი ნახვის და მიღების სურვილი, მაგრამ ამასთან თქვეს: “რად უნდა მას ჩვენი ნახვა, როდესაც თვითონ გასწავლით იმას, რასაც ჩვენ გასწავლით”? ასე რომ, წავიდეთ, მე მიგიყვან მათთან”.

“მაშინ რაღაც აუხსნელი მოხდა ჩემში, – ამბობდა მამა იოანე ბენიამინოვი. – შემიპყრო რაღაც შიშმა და სრულმა სიმდაბლემ. რა იქნება, ვიფიქრე, მართლაც რომ ვნახო ეს ანგელოზები და მათ დაადასტურონ მოხუცის ნათქვამი? და როგორ წავალ მათთან? მე ხომ ცოდვილი კაცი ვარ, მაშასადამე, მათთან საუბრის უღირსი, და ჩემი მხრიდან ამპარტავნება და თავდაჯერებულობა იქნება, მე რომ მათთან წასვლა გაგებდო; და ბოლოს, ანგელოზებთან ჩემი შეხვედრის შემდეგ, შესაძლოა თავი აღვიმადლო ჩემი რწმენით ან საკუთარ თავზე დიდი წარმოდგენა შემექმნას... და მე, როგორც უღირსმა, გადავწყვიტე, მათთან აღარ წავსულიყავი”.

შემდგომი გამოკითხვებიდან მამა იოანემ გაიგო, რომ მოხუცმა ივანე სმირენნიკოვმა თავის თანამოძმეებს ზებუნებრივი დახმარებაც კი აღმოუჩინა, სახელდობრ:

1) ტოენ თევდორე ჟაროვის მეუღლე ღამით ხაფანგში მოჰყვა, ავადმყოფობამ მწვავე ხასიათი მიიღო, ისე რომ არ იყო არანაირი საშუალება მისი განკურნებისა და იგი სიკვდილის პირას იყო მისული. მისმა ნათესავებმა საიდუმლოდ თხოვეს სმირენნიკოსს განკურნება და მან მცირე ფიქრის შემდეგ თქვა: დილით ჯანმრთელი იქნება. და, მართლაც, ყველას გასაოცრად, ავადმყოფი დილით წამოდგა და გაიარა, იგი არავითარ ტკივილს აღარ გრძნობდა.

2) ერთხელ ზამთარში სმირენნიკოვის თანასოფლელები საჭმლის სიმცირეს განიცდიდნენ. ზოგიერთმა მათგანმა თხოვა მას, მიეცა მათთვის ვეშაპი, და მოხუცმაც აღუთქვა, რომ ითხოვდა. მცირე ხნის შემდეგ მან კუნძულის მკვიდრთ გამოუცხადა, წასულიყვნენ მითითებულ ადგილას ვეშაპისათვის. და, მართლაც, იქ მისულებმა იპოვეს მთლიანი და თანაც ნედლი ვეშაპი.

3) ერთხელ შემოდგომაზე მამა იოანეს განზრახული ჰქონდა აკუნზე წასვლა, იმ დროს მას იქ ელოდნენ და კიდევ გაემგზავრნენ აკუნიდან მის ჩამოსაყვანად, მაგრამ სმირენნიკოვი თამამად ამტკიცებდა, რომ მამა იოანე არ ჩამოვიდოდა შემოდგომაზე, არამედ გაზაფხულზე. და, მართლაც, ძლიერმა ქარებმა დააკავეს იგი, შემდეგ კი უკვე გვიანი შეიქნა და მან თავისი განზრახვა გაზაფხულამდე გადადო.

იყო მისი საკვირველი ხილვის დამადასტურებელი სხვა შემთხვევებიც; ყოველივე ამან დაარწმუნა მამა იოანე, პირადად ეკითხა მოხუცისთვის, თუ საიდან იგებდა იგი მომავალს და როგორ კურნავდა სნეულებებს? მის შეკითხვაზე სმირენნიკოვმა უამბო შემდეგი:

მღვდელმონაზონ მაკარის მიერ მისი მონათვლის შემდეგ მოკლე ხანში მას ადამიანის სახით გამოეცხადა ჯერ ერთი, შემდეგ კი მეორე სული, რომლებსაც სხვები ვერ ხედავდნენ. მათ ჰქონდათ

თეთრი სახეები, შემოსილი იყვნენ თეთრ სტიქარებში მხარზე გადაჭერილი ვარდისფერი ლენტით და უთხრეს მას, რომ ისინი გამოგზავნა ღმერთმა მისი დარიგების, განსწავლისა და დაცვისათვის. 30 წლის მანძილზე ისინი თითქმის ყოველდღე ეცხადებოდნენ მას დღისით ან საღამო ხანს, მაგრამ არა ღამით, და ასწავლიდნენ ქრისტიანულ ღმრთისმეტყველებასა და სარწმუნოების საიდუმლოებებს. მისი თხოვნით კურნავდნენ როგორც თავად მის, ასევე სხვათა სნეულებებს, ზოგჯერ კი აწვდიდნენ საჭმელს. მაგრამ სხვების დახმარების შემთხვევაში ისინი მის თხოვნაზე მუდამ პასუხობდნენ, რომ ამის შესახებ კითხავდნენ ღმერთს და თუ იგი აკურთხებდა, მაშინ შეასრულებდნენ. ზოგჯერ აუწყებდნენ მას, თუ რა ხდებოდა სხვა ადგილებში, ხან კი – მომავალსაც, ოღონდ იმ პირობით, თუ ამის განცხადება სათნო იყო ღმრთისათვის; ამასთან არწმუნებდნენ, რომ ყველაფერს იქმოდნენ არა თავისი, არამედ ყოველადღიური ღმერთის ძალით.

ამის მოსმენისას მე ცოტა არ იყოს დავეჭვდი, –ამბობდა მამა იოანე, – რადგან ვიცოდი, რომ ეშმაკებსაც სწამთ და ძრწიან, და ვიფიქრე, ხომ არ იყო ეს ბოროტისაგან? და ვკითხე, თუ როგორ ასწავლიდნენ ისინი მას ღოცვას – მათდამი თუ ღმრთისადმი, და ასევე სხვებთან ურთიერთობას?

მან მომიგო, რომ ისინი ასწავლიან ღოცვას არა მათდამი, არამედ ყოველთა შემოქმედისადმი, ღოცვას სულით და გულით, და ზოგჯერ მასთან ერთად ღოცულობდნენ ძალზე დიდ ხანს; ასწავლიან ყველა ქრისტიანული სათნოების აღსრულებას, ყველაზე მეტად კი ურჩევენ ერთგულებისა და სიწმინდის დაცვას, როგორც ცოლ-ქმრობაში, ისე მის გარეშეც. შემდეგ ასწავლიდნენ მას – როგორ გამოესახა პირჯვარი, არც ერთი საქმე არ დაეწყო ღოცვა-კურთხევის გარეშე, არ ეჭამა დილაადრიან, არ ეცხოვრა ერთად ბევრ ოჯახს, არ ეჭამა ახლახანს მოკლული და ჯერ კიდევ თბილი თევზი ან მხეცი, ზოგიერთი ფრინველი, ცხოველი და წყალმცენარე საერთოდ არ მიეღო საზრდელად, და სხვა...

ამის შემდეგ მე ვკითხე მას, თუ გამოეცხადნენ ახლა, აღსარებისა და ზიარების შემდეგ, და თუ უბრძანეს ჩემთვის დაჯერება?

მან მიპასუხა, რომ გამოეცხადნენ და უთხრეს, რომ არავისთვის ეთქვა თავისი აღიარებული ცოდვები და ზიარების შემდეგ მალე არ ეჭამა ცხიმიანი, და რომ გაეგონა მისი სწავლებისათვის.

შემდეგ ვკითხე, თუ რას გრძნობს იგი სულების გამოცხადებისას – სიხარულსა თუ სევდას?

თუკი მან ჩაიღინა რაიმე ცუდი – იყო პასუხი, – მათი დანახვისას გრძნობს სინდისის ქენჯნას, სხვა დროს კი არ გრძნობს არანაირ შიშს; და რადგანაც ბევრნი მას შამანად თვლიან, მას კი არა აქვს ამის სურვილი, არაერთხელ უთქვამს მათთვის, განშორებოდნენ მას და აღარ მოსულიყვნენ მეტად. მაგრამ ამაზე მიიღო პასუხი, რომ ისინი არ არიან ეშმაკები და ნაბრძანები აქვთ, არ დატოვონ იგი. მის კითხვაზე, თუ რატომ არ ეცხადებიან სხვებს, უთხრეს, რომ მათ ასე უბრძანეს.

სხვათა შორის, მოხუცი სმირენნიკოვი დაწვრილებით უამბობდა მამა იოანეს წმიდა წერილიდან ისტორიებს: ანგელოზების შექმნისა და დაცემის, კეთილისა და ბოროტის ცნობის ხის, პირველი კაცისმკვლელის, ნოეს, აბრაამის, ნათლისმცემლის, ხარებისა და უფალი იესო ქრისტეს შობის შესახებ; ყოველივე ეს მას ასწავლეს ანგელოზებმა, რადგან იგი იყო წერა-კითხვის უცოდინარი და საერთოდ არ იცოდა რუსული ენა, ამიტომ არ შეეძლო არც წაკითხვა, არც სხვებისგან მოსმენა.

ამგვარად, მას შემდეგ, რაც კეთილგონივრულად განსაჯა და დარწმუნდა სხვების ჩვენებებით სმირენნიკოვის ქმედებათა შესახებ, მამა იოანემ მას მისცა შემდეგი დარიგება:

– ვხედავ, რომ შენ გეცხადებიან არა ეშმაკნი, ამიტომ ისმინე მათი სწავლება და დარიგებები, თუკი მათი სიტყვები არ იქნება საწინააღმდეგო იმისა, რაც მე გასწავლეთ საერთო კრებაზე. მაგრამ სხვებს, ვინც გეკითხება მომავალზე და გთხოვს დახმარებას, უთხარი, რომ მათ თავად თხოვონ ღმერთს, როგორც ყველას საერთო მამას. მკურნალობას არ გიკრძალავ, ოღონდაც, ვის განკურნებასაც დააპირებ, უთხარი, რომ კურნავ არა საკუთარი, არამედ ღმრთის ძალით, და გირჩევ, უფრო

გულმოდგინედ ილოცო და მადლობა შესწირო მას ერთადერთს. არ გიკრძალავ სწავლებასაც, მაგრამ დაარიგე მხოლოდ მცირეწლოვანნი. მომავლის შესახებ კი ნურავის და თავად მეც ნურაფერს მეტყვი.

ამ დარიგების შემდეგ მამა იოანემ სხვა აღუტებებსაც შეაგონა, არ ეწოდებიანთ მისთვის შამანი და ერთადერთი ღმერთის გარდა არავისთვის არაფერი ეთხოვათ.

ჩვენი მხრიდან კი მხოლოდ იმას ვიტყვით, რომ, როგორც ჩანს, ამ აღიასკეულ კაცს თავისი ღრმა სიმდაბლის გამო უბოძა უფალმა ისეთი დიდი წყალობა, რომლის მსგავსიც არ გვსმენია ეკლესიის ისტორიაში. საგულისხმოა მისი გვარიც – სმირენიკოვი, სიტყვა “სმირენიე” ხომ ქართულად სიმდაბლეს ნიშნავს. ჭეშმარიტად, როგორც ბრძანებს უფლის მოციქული, “ამპარტავანთა შეჰმუსრავს ღმერთი, ხოლო მდაბალთა მოსცის მადლი” (იაკ. 4, 6).

### **“...უეცრად ჩემს წინ ცეცხლოვანი მახვილით წარდგა თავად მთავარანგელოზი მიქაელი”**

ეს შემთხვევა ოპტინელმა ბერმა, მღვდელსქემონაზონმა იოსებმა უამბო სერგი ნილუსს 1909 წლის 16 მარტს: “მეფის გული, მისი ტახტი და თავად სიცოცხლე ღმრთის ხელშია. და განა შეიძლება, ყოვლად უვარგისმა ადამიანებმა ხელი აღმართონ რუსეთის ამ სიწმინდეზე, თუკი ჩვენმა ცოდვებმა პირთამდე არ აღაესეს ღმრთის რისხვის ფიალა? იმაზედ კი, რომ იგი ჯერ კიდევ არ ავსილა, აი რას გეტყვი: ორი წლის წინათ, ზაფხულში, ჩემთან იყო ახალგაზრდა კაცი და ინანიებდა იმას, რომ რევოლუციონერთა შორის მას წილად ხვდა მეფის მოკვლა. “ყველაფერი მომზადებული გვქონდა, – თქვა მან, – მეფესთან გზა ხსნილი იყო. მხოლოდ ერთი ღამე რჩებოდა მკვლელობამდე. მთელი ღამე არ მეძინა, ძლიერ ველავადი, გამთენიისას ძლივს ჩამეძინა... და ვხედავ: დგას მეფე. ვეპტერე მოსაკლავად... და უეცრად ჩემს წინ, როგორც ელვა ზეციდან, წარდგა ცეცხლოვანი მახვილით თავად მთავარანგელოზი მიქაელი. შეძრწუნებული პირქვე დავემხე მის ფერხით. შიშისაგან გონს მოვედი და პირველივე მატარებლით გავიქეცი პეტერბურგიდან, ახლა კი თანამზრახველთა შურისძიებას ვეძებ. ისინი მიპოვიან, მაგრამ უმჯობესია ათასობით ყველაზე სასტიკი სიკვდილი, ვიდრე მრისხანე მთავარანგელოზის ხილვა და საუკუნო წყევლა ღმრთის ცხებულის მკვლელობისათვის”...

### **“იგი თავად ანგელოზებს მიჰყავდათ, წესი კი ნათლისმცემელმა აუგო”**

ღირს მამა თეოდოსი კაკკასიელს უფალი არ აკლებდა თავის მადლმოსილ შეწევნას. სიყრმიდანვე იგი იმდენად სათნო-ყოფილად ღმერთს, რომ შურით აღძრული მონასტრის ძმობა ყოველმხრივ დევნიდა და ავიწროებდა მას, მაგრამ იგი სიმდაბლითა და მორჩილებით ემსახურებოდა ღმერთსა და ძმობას და უდრტვინველად ითმენდა ყველა შეურაცხყოფას. დიდ განსაცდელთა ჟამს იგი რამდენიმეჯერ უეჭველი დაღუპვისგან იხსნეს ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა და მთავარანგელოზმა მიქაელმა, ერთხელ კი ცრუ ცილისწამებით საპყრობილეში ჩაგდებული ბერი განთავისუფლებულ იქნა უფლის ანგელოზის მეოხებით.

გარდაცვალების წინ ღირსი მამა ანუკეშებდა თავის სულიერ შვილებს: “ნუ გეშინიათ. ღმერთი ყოველივეს კეთილად წარმართავს”. მართლაც ასე მოხდა. მისი გარდაცვალების მომენტში სახლში მოულოდნელად გამოჩნდა უცნობი მწირი. იგი მთელი ღამის განმავლობაში ზეპირად კითხულობდა ფსალმუნებსა და წმიდა სახარებას, რითაც დიდად გააოცა იქ მყოფნი.

როდესაც კუბო გამოასვენეს და ქალაქის გარეუბნამდე მიაბრძანეს, ხალხს მიუახლოვდა ოთხი მშვენიერი ჭაბუკი, მხრებზე დაფენილი ნათელი თმებით, თეთრი გრძელკალთიანი პერანგებით, შავი



შარვლებითა და მსუბუქი ფეხსაცმელებით, რაც ომის შემდგომ პერიოდში დიდი ფუფუნება იყო. მათ კუბო მხრებზე შემოიდგეს და შეუსვენებლად ატარეს სასაფლაომდე.

როდესაც ღირსი მამა მიწას მიაბარეს და მისი სულის მოსახსენებელ ტრაპეზზე მიემართებოდნენ, დააპირეს უცნობი ახალგაზრდების მიწვევაც, მაგრამ ისინი უკვალოდ გამქრალიყვნენ. სასაფლაო გაშლილ ადგილზე მდებარეობს, ყველა მხარე რამდენიმე კილომეტრის მანძილზე მოჩანს. “ჩვენ ყველანი ერთმანეთს ვეკითხებოდით: “საიდან არიან ეს ჭაბუკნი, კუბო რომ მოაქვთ? – იხსენებდა დედა ანგელინა, – მაგრამ არავინ იცოდა. როდესაც დავასაფლავეთ, ვეძებდით, რათა ქელეხზე მიგვეწვია, მაგრამ ვეღარ ვიპოვეთ: ვერც ახალგაზრდები და ვერც ის მწირი, ვინც წესი აუგო. ესე იგი, იგი თავად ანგელოზებს მიჰყავდათ, წესი კი ნათლისმცემელმა აუგო, რადგან ვერავინ იხილა, თუ სად წავიდნენ ისინი”. ღირსი თეოდოსი აღესრულა 1948 წელს ჩრდილოეთ კავკასიის ქალაქ მინერალურ წყლებში.

### **ეს იყო ღმრთის წყალობა მისდამი**

ანგელოზები მონაზვნად აღკვეცის წინ გამოეცხადნენ წმიდა სამების-სერგის ლავრის მორჩილ ზოსიმას (სქემაში ზაქარიას) ორი მწირის სახით და უწინასწარმეტყველეს მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანესი მოვლენების თარიღები.

მამა ზაქარიას ჰყავდა მესაიდუმლე – ნეტარი ნიკოლოზი, რომელიც გაუნძრევლად იწვა საწოლში. ზედიზედ რამდენიმე წლის მანძილზე მას აზიარებდნენ ანგელოზები, რომლებიც მასთან სენაკში მოდიოდნენ ღამით მონაზვნების სახით იღუმენის წინამძღოლობით. მონაზვნები საკვირველად გალობდნენ. ნეტარმა მამამ არ იცოდა, რომ ეს იყო ღმრთის წყალობა მისდამი და ფიქრობდა: “რა კარგად მეპყრობიან იღუმენი და ძმები. დღისით მათ არ სცალიათ და ღამით მანუგეშებენ მე, მრავალენებულს”.

### **დიდ არს წყალობა შენი, ღმერთო ჩვენო!**

მადლმოსილი ათონელი ბერის პაისის თავს გადამხდარი შემდეგი შემთხვევის შესახებ მოგვითხრობს ბერი იოსებ ათონელის მორჩილი მამა სილოვანი:

“მე გავხდი მიიმედ ავად, – მიაბო მამა პაისიმ. – იყო შუა ზამთარი. ისე ძლიერ მოთოვა, რომ არც ერთი ხე, ჩაფლული თეთრში, არ ჰგავდა ხეს. ბილიკები სრულიად გაქრა თოვლში, ჩიტები დადუმდნენ და თვალს მიეფარნენ, ღრუბლებმა და ნისლმა დაფარეს ათონი. დაირღვა ყოველგვარი კავშირი სტავრონიკიტას მონასტერთან და მე რამდენიმე დღეც კი ვერ ვიცოცხლებდი, რადგან ავადმყოფობამ მთლიანად მიმაჯაჭვა საწოლს. მე მოველოდი უფალს, რათა მას მიეღო ჩემი სული და წაეყვანა თავისი მოწყალების წიაღში. მე არც ჩაის დაყენება შემეძლო, არც ღუმელის ანთება, სასმელი წყალიც კი არ მქონდა. ჩემი სიცოცხლე ღმრთის წყალობაზე იყო დამოკიდებული: “აჰა, უფალო, შენს მოწყალებას ვესაჯ, ნუ დამაგდებ მე!” ამ მცირე ღოცვის შემდეგ, რომელიც მე დიდი გაჭირვებით წავიხურე, დავინახე, რომ ჩემს სენაკში გამოჩნდნენ ჩემი ღმრთის მიერ გამოგზავნილი ანგელოზები და წმიდანები. მსწრაფლ შემეწია მადლი შენი, უფალო! მე ვმადლობდი და ვადიდებდი ჩემს მაცხოვარს. ცრემლი მომერია. ერთ-ერთი ანგელოზი ანთებდა ღუმელს, მეორე ამზადებდა ცხელ კერძს, მობრუნდნენ სურნელოვანი პურიც. მე აღმოვჩნდი სამოთხეში. კიდევ რა უნდა მესურვა? წმიდანებმა იწყეს ჩემი გამხსნელება ნუგეშის სიტყვებით. მარტო მათი გარეგნობა მანიჭებდა მოსვენებას, მათ განმამტკიცეს და მომცეს იმედი. ისინი ჩემს გვერდით იხსდნენ, სანამ არ მოვლო-

ნიერდი და საკუთარი თავის მომსახურება ვერ შევქმელი. შემდეგ ისინი წავიდნენ, მაგრამ მთელი კვირის მანძილზე ჩნდებოდნენ...”

აი, ძმებო, რა დიდებული და ზებუნებრივია შეწევნა, რომელსაც გვანიჭებს შემოქმედი, როდესაც ავადმყოფი მოთმინებით იტანს სწეულებას და არავინ ჰყავს ამქვეყნად სხვა შემწე. დიდ არს წყალობა შენი, ღმერთო ჩვენი!

### **ბერი პაისის ათონელის შეგონებანი მფარველი ანგელოზის შესახებ**

ნუ განვეშორებით ღმერთს, რადგან ამას მოჰყვება ტანჯვა. დაფიქრდით – მფარველი ანგელოზი მთელი ცხოვრების მანძილზე ცდილობს, ჩააგონოს ადამიანს კეთილი ზრახვანი, ითმენს, იტანჯება და გული მწუხარებით ევსება, როცა ადამიანი სცოდავს, თავად ანგელოზი კი საბოლოოდ ღმერთთან ხელცარიელი მიდის. მხოლოდ დაფიქრდით ამაზე! ეს ძალზე მწარეა. და უკვე ამის გამო არავინ არ უნდა გაიქცეს ღმერთისგან. ანუ, არ უნდა დავარდვიოთ ღმრთის მცნებები. მოდით, გამოვიჩინოთ მცირედი გულმოდგინება.

† † †

ბევრს უხილავს თავისი მფარველი ანგელოზი. როგორც კი ადამიანი მას დაინახავს, უკვე სხვა აღარაფერი უნდა. როდესაც პატარა ბავშვები იცინიან, თავის მფარველ ანგელოზს ხედავენ. პატარა ბავშვებს უნდა ასწავლოთ ღოცვა, რადგან ღმერთი მათ ღოცვას ისმენს.

† † †

ჩვენ რომ ვხედავდეთ ჩვენს ანგელოზს, თუ რამდენად ახლოა იგი ჩვენთან, არასოდეს ვიგრძნობდით მარტობას. ჩვენ გვყავს სხვა მეგობრებიც: იოანე ნათლისმცემელი, წმიდანები, ქერუბიმები და სერაბიმები და, განსაკუთრებით, ყოველადწმიდა ღმრთისმშობელი.

† † †

ერთხელ მამა პაისის ჰკითხეს: “განგვეშორება თუ არა ანგელოზი, როდესაც ვცოდავთ?” ბერმა მიუგო: “კურთხეულო სულო, ანგელოზი ასე ადვილად რომ მიდიოდეს, მსოფლიო აღბათ დიდი ხანია დაიღუპებოდა. იგი არ განგვეშორება, არამედ რჩება, ოღონდ იტანჯება და ხელცარიელი ბრუნდება ღმერთთან”.

## საქართველოსთან დაკავშირებული ანგელოზებთა გამოცხადებანი და სასწაულები

### “წილ-ხდომილი შენი ქვეყანა განათლებების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ”

საეკლესიო გადმოცემით, სულიწმიდის მოფენის შემდეგ მოციქულებმა განიზრახეს წილისყრა, თუ ვის რომელი ქვეყანა ხედებოდა წილად, რათა ექადაგათ სახარება. მაშინ ყოვლადწმიდა ღმრთისმშობელმა უთხრა მოციქულთ: “მეც მიყარეთ თქვენთან წილი, არ მინდა უწილოდ დავრჩე. დაე მეც მერგოს ქვეყანა, რომელსა მარგუნებს უფალო”. წილისყრით წმიდა მარიამს ერგო ივერია ანუ საქართველო. როდესაც ღმრთისმშობელმა დააპირა ივერიისკენ გამომგზავრება, ანგელოზი გამოეცხადა მას და უთხრა: “ნუ განეშორები იერუსალიმს; წილ-ხდომილი შენი ქვეყანა განათლებების მომავალში, შენი მეუფება განემტკიცების იქ”.

### მაშინ მოესმა ხმა ზეცით, რომელიც უბრძანებდა ჩრდილოეთით წასვლას

როდესაც სომხეთის მეფის, თრდატის ბრძანებით სიკვდილით სჯიდნენ წმიდა რიფსიმეს, გაიანეს და სხვა ქალწულთ, მაშინ “წმიდა ნინო დაიმაღლა ეკალთა შორის ვარდისათა, რომელი-იგი ჯერეთ არა ყვაოდა მას ჟამსა. და ოდეს-იგი აღმოვიდოდეს სულნი წმიდათა მათ მოწამეთანი, იხილა წმიდამან ნინო სტეფანეს მსგავსი დიაკონი, ჩამომავალი ოღარითა ნათლისათა, და ხელთა მისთა აქვნდა სასაკუმეველე, რომლისაგან გამოვიდოდა კვამლი სულნელებისა, რომელი ცათა დაფარვიდა, და მის თანა სიმრავლე ერთა ზეცისათა. და მათ შეერთნეს სულნი წმიდათა მოწამეთანი”.

ეს რომ იხილა წმიდა ნინომ, ღაღად-ჰყო: “უფალო, უფალო, რად დამიტეობ მე შორის ასპიტა და იქედნეთა!” მაშინ მოესმა ხმა ზეცით, რომელიც უბრძანებდა ჩრდილოეთით წასვლას, “სადა-იგი არს სამკალი ფრიად და მუშაკი – არა”.

### “მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა”

როდესაც წმიდა ნინოს ღოცვით განიკურნა ნანა დედოფალი, მირიან მეფე განკვირდა და იწყო ქრისტეს სჯულის გამოძიება. მრავალგზის გამოჰკითხა ჰურიაციოფილ აბიათარს ძველი და ახალი აღთქმის წიგნთა შესახებ. და ნებროთის წიგნში, რომელიც ჰქონდა მირიან მეფეს, იპოვა შემდეგი სიტყვები:

“აღშენებასა მას გოდლისასა ხმა იყო ზეცით ნებროთის მიმართ, რომელი ეტყოდა: “მე ვარ მიქაელ, რომელი დადგინებულ ვარ ღმრთისა მიერ მთავრობასა ზედა აღმოსავალისასა. განვედ ქალაქით მაგიერ, რამეთუ ღმერთი ჰფარავს ქალაქსა მაგას. ხოლო უკანასკნელთა ჟამთა მოვიდეს მეუფე იგი ცისა, რომლისა-იგი შენ გნებავს ხილვა, ერსა შორის შეურაცხსა. შიშმან მისმან განაქარენეს გემონი სოფლისანი, მეფენი დაუტეობდენ მეფობასა და ეძიებდენ სიგლახაკესა. მან გიხილოს ჭირსა შინა და გიხსნეს შენ”.

### და ჭაბუკმან მან შეჰყო ხელი სვეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესა შინა...

როდესაც მირიან მეფეს ნადირობისას დაუბნელდა მზე და წარიკვეთა სასო გადარჩენისა, უხმო წმიდა ნინოს ღმერთს და გამოუბრწყინდა ნათელი. მაშინ ირწმუნა მირიანმა იესო ქრისტე, მაცხოვარი სოფლისა და ისურვა აღშენება ღმრთის სახლისა. მოკვეთეს ნაძვი სამეფო ბაღში და

შეამზადეს შვიდი სვეტი. აღმართეს ექვსი სვეტი, ხოლო უდიდეს სვეტს, რომელიც ეკლესიის შუაგულში უნდა აღეშენებინათ, დიდძალი ხალხის ძალისხმევით მიუხედავად ძვრა ვერ უყვეს. საღამო ხანს დამწვრებული მეფე შინ წავიდა, წმიდა ნინო და მისი თორმეტი მოწაფე კი სვეტთან დარჩნენ. და აი, ცისკრის ჟამს, როდესაც მოწაფეებს ეძინათ გარდა ერთის – სილონიასი, წმიდა ნინო კი ხელგანპყრობით ლოცულობდა, “აჰა ესერა, ზედა მოადგა ჭაბუკი ერთი ნეტარსა მას, ყოვლად ნათლითა შემეკობილი, შებლარდნილი ცეცხლის ზეწრითა, და რქვა რამე სამნი სიტყვანი. ხოლო იგი დაეცა პირსა ზედა თვისსა. და ჭაბუკმან მან შეჰყო ხელი სვეტსა მას და აღმართა და წარიღო სიმაღლესა შინა... ხოლო დედანი ვითარ იყვნეს კიდე, იხილეს მათცა: სვეტი იგი ცეცხლისსახედ ჩამოვიდოდა და მოახლდებოდა ხარისხად მონაკვეთსა ზედა ძირსა ნაძვისასა”.

დილით აღდგა გულდამძიმებული მეფე და დაწვებულ ეკლესიას მხერა მიაპყრო. “და იხილა ნათელი, ვითარცა ელვა აღწევნული ცად სამოთხით მისით... შიშითა და სიხარულითა აღივსო მცხეთა ქალაქი. და დიოდეს მდინარენი ცრემლთანი მეფეთა და მთავართა და ყოველსა ერსა, სულთქმითა სულისა მათისათა აღიდებდეს ღმერთსა და ნატრიდეს ნეტარსა ნინოს. და იქმნეს სასწაული დიდნი მას დღესა შინა”.

### **ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა**

როდესაც მცხეთაში ბორცვზე აღმართეს ჯვარი, რამდენიმე ხნის შემდეგ “იხილეს სასწაული დიდად საშინელი, დღესა ოთხშაბათსა: აჰა ესერა, სვეტი ნათლისა სახედ ჯვარისა დგა ჯვარსა მას ზედა და თორმეტი ვარსკვლავი სახედ გვირგვინისა გარემოს მისსა, ხოლო ბორცვი იგი კუმოდა სახედ სულნელად”. შემდგომ იხილეს სხვა სასწაული ჯვარისა: “ვითარცა რა ცეცხლი დგა თავსა ზედა მისსა, შვიდწილად მზისა უბრწყინვალესი, ზედა დაადგრა მას და ვითარცა სახუმილისა ნაბერწყალნი აღვლენ, ეგრესახედ ანგელოზნი ღმრთისანი აღვიდოდეს და გარდამოვიდოდეს მას ზედა. ხოლო ბორცვი იგი იძრვოდა ძლიერად... დაუკვირდა ყოველთა და უფროსად და უმეტესად აღიდებდეს ღმერთსა”.

### **“აი, მოდის მონა ღმრთისა იოანე თავის მოწაფეებთან ერთად”**

როდესაც ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი თორმეტი მოწაფე ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ლოცვა-კურთხევით საქართველოში მოემგზავრებოდნენ, რათა წმიდა ნინოს მიერ მოქცეულ ხალხში ქრისტეს სჯული განემტკიცებინათ, და უკვე უახლოვდებოდნენ ივერიის დედაქალაქ მცხეთას, სადაც მეფობდა ფარსმან VI, კათოლიკოს ევლავიოსს გამოეცხადა უფლის ანგელოზი და აუწყა: “აი, მოდის მონა ღმრთისა იოანე თავის მოწაფეებთან ერთად. იგი განამტკიცებს ამ ქვეყანას წმიდა ნინოს მიერ დანერგილ მართლმადიდებლურ რწმენაში. ადექი და შეხვდი მათ გულითადად, რამეთუ ისინი ღმრთისგან არიან გამოგზავნილი; ნუ შეეწინააღმდეგები მათ განზრახვას; მათი შინაგანი კაცი განათლებული და შემკულია ყველა სათნოებით”.

### **ამ დროს უფლის ანგელოზმა უხმო დავითს: “დავით, დავით!”**

უდაბნოში განმარტოებულ ღირს მამა დავითსა და მის მოწაფე ლუკიანეს, რომლებიც მარადის ლოცვას აღავლენდნენ ღმრთის მიმართ და ფრიად მარხვასა და მღვიმარებაში ცხოვრობდნენ, უფალმა საკვირველი წყალობა მიჰმადლა – მოღვაწეებთან ყოველდღე, გარდა ოთხშაბათისა და პარასკევისა, მოდიოდა სამი ირემი ნუკრებთან ერთად და მშვიდად ელოდა მოწვევას, მამა დავითის

მიერ ჯვრის გადასახვით კი რძე მყის ყველად გარდაიქცეოდა. ერთხელ მამათა სამკვიდრების მახლობლად გამოქვაბულში მცხოვრებმა საზარელმა მხეცმა ირმებს ნუკრი მოსტაცა. ნეტარმა მამამ აიღო კვერთხი, რომელზეც იყო ჯვარი ქრისტესი, უშიშრად მივიდა გამოქვაბულთან და მრისხანედ უბრძანა მხეცს გამოსვლა და უდაბნოს დატოვება. ღირსი დავითის ბრძანებამ შიშის ზარი დასცა მხეცში და მკვიდრებულ ეშმაკს, რომელიც შეეკედრა წმიდანს, მიეცა მისთვის აღთქმა, რომ თვალს არ მოაცილებდა, ვიდრე მთის სამხრეთით მდებარე მდინარეში არ ჩავიდოდა. დიდმა დავითმა აღუთქვა მას, მაშინ წმიდანის ბრძანებისაებრ გამოვიდა მხეცი თავისი ბუნაგიდან და მორჩილად მიჰყვა მას. მხეცის მოძრაობით იძვროდა მიწა და ლოდები, ამის მხილველი ლუკიანე თავზარდაცემული ძირს დაეცა და მკვდარს დაემსგავსა.

როდესაც მიაღწიეს მთის წვერს, მხეცი სწრაფად დაეშვა ველად და გეზი მდინარე მტკვრისკენ აიღო, მამა დავითი კი მას თვალს არ აშორებდა. ამ დროს უფლის ანგელოზმა უხმო დავითს უკანა მხრიდან: “დავით, დავით!” და როგორც კი მამამ უკან მიიხედა, მეყვსეულად ზეცით გარდამოსული მესხი დაეცა მხეცს და თვალის დახამხამებაში დაწვა იგი სრულიად (ამ ადგილზე დღემდე მოჩანს დამწვრობის კვალი და მასზე არ ამოდის ბალახეული). ეს რომ იხილა, დამწუხრდა დავითი და თქვა: “უფალო, რატომ მოაკვდინე მხეცი, რომელიც დიდი სასოებით მომენდო მე”. მაშინ მიუგო უფლის ანგელოზმა: “რად მწუხარებ, მონაო ღმრთისაო, განა არ უწყი, იგი რომ წყალში ჩასულიყო, ზღვაში გადავიდოდა და მრავალ ნავსა და ადამიანს შეამთხვევდა ვნებას, ამიტომაც მოაკვდინა იგი ღმერთმა; შენ კი დაბრუნდი შენს გამოქვაბულში, რადგან შენი მოწაფე ლუკიანე მხეცის შიშით ძირს აგდია, აღადგინე იგი და განამტკიცე, ამ ბოროტი პირუტყვის ნაცვლად კი პირმეტყველთა და სულიერთა შეილთათვის იზრუნე”.

ამის მსმენელი დავითი მყისვე ჩამოვიდა მთიდან და ჰპოვა ლუკიანე შიშისაგან დაცემული, აღადგინა იგი და უთხრა: “მცირედ მორწმუნეო, რად შეგაშინა ჭიამ, რომელიც ერთ წამში ზეციური ცეცხლით მოისრა; აწ გამხნევი და ნუ გეშინია, რამეთუ ძალი ქრისტესი შეგვეწვევა ყოველივეში და იგი დაგვიფარავს მბრძოლთაგან, მასზე მინდობილნი დავთრგუნავთ ლომსა და ვეშაპს”. ბერის სიტყვებით ნუგეშინისცემულმა ლუკიანემ განაგდო შიში და მადლობდა ღმერთსა, დიდ ნიშთა და საკვირველებათა მოქმედს, რომელმაც მისცა თავის მონას დავითს ესოდენი ხელმწიფება უბრძოლველ მხეცებზე.

### **“შენი სარწმუნოებით წაგიღია ჩემი ქალაქის, წმიდა იერუსალიმის მადლი”**

როდესაც გარეჯის უდაბნოში შემოიკრიბა ფრიალი სიმრავლე ძმათა, ღირსმა დავითმა მოუწოდა ლუკიანეს, მიანდო მათი სულების წინამძღვრობა და თვითონ საღმრთო სურვილით ადრული რამდენიმე ძმასთან ერთად წმიდა ქალაქ იერუსალიმის მოსალოცად გაეშურა. როდესაც მიაღწიეს მადლის ქედად წოდებულ ადგილს, საიდანაც კარგად მოჩანდა ღმრთის ქალაქი, ყველამ ზეცად აღაპყრო ხელნი და მადლობა შესწირა უფალს, ხოლო წმიდა მამა დავითი დავარდა მიწაზე და აღიდებდა უფალს, რომელმაც კაცთა ცხონებისათვის ამ ადგილებში დაითმინა ჯვარცმა და სიკვდილი და აღდგა მკვდრეთით და ღირს-ჰყო მონა თვისი ამ ადგილის ხილვისა. “აწ არ ვიკადრებ განვაგრძო გზა, რათა ჩემი ცოდვილი ფეხებით არ შეურაცხყო შენს წმიდა ფერხთაგან კურთხეული ალაგნი; ჩემთვის საკმარისია ის მადლიც, რომ ჩემი უღირსი თვალებით ვიხილე წმიდა ადგილები”, – ამბობდა ღირსი მამა და მიწას მხურვალე ცრემლებით დააღტობდა. ძმების დაჟინებულ თხოვნას, მათთან ერთად განეგრძო გზა, თავმდაბალი დავითი ასე პასუხობდა: “არა, ძმანო! მე ყოველად უღირსად მივიჩნევ თავს, მივეახლო წმიდა ადგილებს, თქვენ წადით და ღმრთის შემწყნარებელ საფლავთან მე ცოდვილიც მომიხსენეთ ლოცვაში”. როცა ვერაფერს გახდნენ, ძმები ცრემლით ეამბორნენ დავითს

და წმიდა ქალაქისკენ განაგრძეს გზა. ღირსმა მამამ კი მხურვალე ლოცვა-ვედრებისა და ცრემლთა დათხევის შემდეგ აიღო სამი ქვა, თითქოს თვით ქრისტეს საფლავიდან იყო გამოკვეთილი, რწმენით ჩაალაგა თავის ხურჯინში და მოხარულმა გარეჯის უდაბნოსკენ აიღო გეზი.

დავითის სიმდაბლითა და სარწმუნოებით განკვირვებულმა ღმერთმა ინება, რათა ყველასათვის საცნაური გამხდარიყო მისი გულის სიწრფელე და იმავე ღამით იერუსალიმის პატრიარქ ელიას მიუვლინა ანგელოზი, რომელმაც აუწყა მას: “წემმა საყვარელმა დავითმა მისი სარწმუნოებით წაიღო იერუსალიმის მადლი, ხოლო შენ წარავლინე მალემსროლნი, რათა დაეწიონ ქალაქ ნაშოლის გზაზე მიმავალ ბერს, ძონძებით მოსილს, რომელსაც აქვს ძველი ხურჯინი და მასში დევს სამი ქვა. უბრძანე მალემსროლთ, გამოართვან ქვები, მხოლოდ ერთი მისცენ და უთხრან: ამას გიბრძანებს შენ უფალი: შენი სარწმუნოებით წაგიღია ჩემი ქალაქის, წმიდა იერუსალიმის მადლი, მე კი ვინებე, ორი ნაწილი დავაბრუნო იერუსალიმში, რათა სრულიად არ მოაკლდეს მას მადლი, ხოლო მესამე მომინიჭებია შენთვის შენს უდაბნოში წასადებად; წადი მშვიდობით და შენი მისვლით კურთხევა მიჰმადლე მას, ამიერიდან შენთან რწმენით მოსულნი მიიღებენ სულთა და ხორცთა კურნებას; წაიღე ეს ქვა ლოცვა-კურთხევის ნიშნად შენს უდაბნოში შენი რწმენის მოსახსენებლად და საუწყებლად”.

დიდად განკვირდა პატრიარქი, ძილისაგან განკრთომილმა მოუწოდა მალემსროლთ, უამბო მათ ყოველივე, რაც კი იხილა და ესმა ჩვენებაში ანგელოზისგან და სწრაფად წარავლინა დავითთან. მალემსროლნი დაეწივნენ ღმრთის კაცს, შეიცნეს იგი და მოკრძალებით თაყვანი-სცეს, აუწყეს დავითს პატრიარქის ბრძანება და გამოართვეს ორი ქვა, ერთი კი დაუბრუნეს. განაკვირვა მამა დავითი ღმრთის სახიერებამ, პირქვე დაემხო და ცრემლმორეული აღიდებდა და მადლობდა უფალს. მალემსროლნი აიძულებდნენ ნეტარ მამას იერუსალიმში დაბრუნებას, რადგან პატრიარქსაც სურდა მისი ხილვა, მაგრამ ვერ დაარწმუნეს და გაუშვეს, თავად კი ორი ქვით პატრიარქთან დაბრუნდნენ. ეს საკვირველი ამბავი მთელ იერუსალიმში გავრცელდა.

ღირსმა დავითმა კი რამდენიმე ხანში უდაბნოს მიადწია და ნუგეში მიჰმადლა სულიერ მწყემსთან განშორებით დამწუხრებულ ძმებს. მალე იერუსალიმიდან დაბრუნდნენ წმიდა ადგილების მომლოცველი ძმებიც და ყველას უამბეს, რაც იხილეს და ესმათ მამა დავითის შესახებ, თუ როგორ განადიდა იგი უფალმა. ღირსი მამის მიერ იერუსალიმიდან ჩამობრძანებულ ქვას კი ეწოდა “მადლის ქვა”, იგი საუკუნეების მანძილზე წმიდანის საფლავთან ესვენა და მასზე სარწმუნოებით შემხებელთ მადლმოსილ კურნებათა წყაროს აღმოუცენებდა. იგი სხვა მრავალ სასწაულსაც აღასრულებდა. დღეს “მადლის ქვა” საქართველოს საპატრიარქოში ინახება.

### **ცადმდე იხილვებოდა მწყობრი ანგელოზთა, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმიდისა**

უფლის წინამძღოლობითა და ღირსი იოანე ზედაზნელის ლოცვა-კურთხევით მოვიდა ღირსი მამა შიო მცხეთის მახლობლად მდებარე ერთ უდაბურ, მხეცებითა და გესლიანი ქვეწარმავლებით სავსე ხევში, იქ ჰპოვა მცირე გამოქვაბული და მასში განმარტოებით დამკვიდრებულმა გულმოდგინე ღვაწლში გაატარა სამოცი დღე საზრდელისა და სასმელის მიღების გარეშე, მხოლოდ ღმერთზე იყო მინდობილი და მისგან მოელოდა შეწვენასა და განძლიერებას მტერთან ბრძოლაში. დიდ განსაცდელთ მოაწვედა ეშმაკი წმიდანზე – განცილდა მას აურაცხელი გულის-სიტყვითა და ოცნებით, ეჩვენებოდა მხეცთა და ქვეწარმავალთა სახით და აშინებდა ღამით და დღისით. როდესაც ბოროტის ურიცხვი მანქანებანი ღირსი მამის სარწმუნოების კლდეზე დაიმსხვრა, მაშინ იქ დამკვიდრებული ეშმაკნი ერთად შეიკრიბნენ და თავს დაესხნენ წმიდანს, ვითომ მისი მოკვლა სურდათ, მაგრამ არ შეირყია ნეტარი შიო და იესო ქრისტეს სახელით განდევნა ბოროტ ძალთა სიმრავლე. მაშინ აღუთქვა მტერმა, რომ ხვალ თავად მთავარი ბნელეთისა მოვიდოდა და მას ბოროტად მოაკვდინებდა.

ნეტარმა შიომ ის ღამე ღმრთისადმი ხელგანპყრობით ლოცვაში გაატარა. რაჟამს მოეახლა ცისკარი, გამოქვაბულს მოეფინა ნათელი მიუთხრობელი და სურნელება საკვირველი, და იხილა ნეტარმა გამოქვაბულის კართან მდგომარე დედაკაცი ყოვლად დიდებული, მასთან ერთად მოღვაწე სახის მამაკაცი და ფრიადი სიმრავლე ანგელოზთა, “ცადმდე იხილვებოდა მწყობრი ანგელოზთა, რომელნი გალობდეს გალობასა სამწმიდისა ტკბილითა და რათმე მიუთხრობელითა ხმითა და ყოველნი იყუნეს ნიშითა ჯუარისათა შეჭურვილ”. ნათლით მოსილმა ღმრთისმშობელმა წმიდა იოანე ნათლისმცემელთან ერთად ანუგეშა ერთგული მონა თავისი ძისა, განაძლიერა და მისცა თოვლის მსგავსი პური, რომელმაც მიუწვდომელი სიტკბოებით დაატკბო შიოს პირი და მანაც, სიხარულით აღვსილმა, მადლობა შესწირა ღმერთს.

### **...და მისი მფარველობა შეავედრა მიქაელ მთავარანგელოზს**

წმიდა მეფე ვახტანგმა მის მიერ საქართველოს ახალ დაარსებული დედაქალაქის – თბილისის საფუძვლად ააშენა ოთხი ტაძარი – ერთი წმიდა ქალწულ მარიამის მიძინებისა – სიონი; მეორე იერუსალიმის გეთსამანიის მსგავსად – მეტეხი; მესამე წმიდა ჯვრისა – გოლგოთის სახელწოდებით და მეოთხე – ბეთლემისა. პირველი საკათედრო ტაძარი კი მეფემ წმიდა მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე ააგო. ეს ტაძარი 1398 წელს საფუძვლამდე დაანგრია თემურ ლენგმა. თუ რამხელა იყო იგი, მიუთითებს ის ფაქტი, რომ მისი ნარჩენებისგან სამი ეკლესია აიგო – წმიდა იოანე ნათლისმცემლისა, ხარებისა და წმიდა გიორგის სახელობის კარის ეკლესია. ასე ჩაუყარა საფუძველი თბილისს ვახტანგ გორგასალმა და მისი მფარველობა შეავედრა მიქაელ მთავარანგელოზს.

### **სპეტაკი სამოსელი მოიტანეს ანგელოზებმა და შემოსეს ყრმანი**

როდესაც ნათელს იღებდნენ ცხრა ძმა კოლაელნი, იყო ზამთრის გამთოშავი ღამე, რადგან დღისით ვერ ბედავდნენ მათ ნათლისცემას წარმართთა შიშით და უფალმა ჩვენმა იესო ქრისტემაც ღამით იღო ნათელი მდინარე იორდანეს იოანესგან. იმ დროს წყალი გამოსცემდა საშინელ სიცივეს და როცა ბავშვები მდინარეში ჩავიდნენ და ხუცესმა ნათელ-სცა მათ სახელითა მამისა და ძისა და წმიდისა სულისა და წარმოთქვამდა გალობას: “სული წმიდად გარდამოხდა ვითარცა ტრედი ზედა იორდანესა, რაჟამს ქრისტე ნათელს იღებდა, ანგელოზნი თანა უდგეს, ამას გალობასა იტყოდენ: “ალილუიამ, ალილუიამ”, მაშინ გამოსცა წყალმა ძლიერი სითბო, როგორც აბანომ და ღმრთის ბრძანებით სპეტაკი სამოსელი მოიტანეს ანგელოზებმა და შემოსეს ყრმანი, ახლად ნათელ-ღებულნი, კაცთა უხილავად. აღარ დაბრუნდნენ ცხრა ძმა კოლაელნი მშობლებთან, არამედ ქრისტიანებთან დარჩნენ და იმყოფებოდნენ მათთან.

### **...იხილა “სიმრავლე უხორცოთა მხედართა ნათლისათა, საკუირველ მავალნი ჰაერთა ზედა”**

მე-7 საუკუნეში “არაბთა და სირთა და მიდთა” მფლობელი ამირა მუმნის ბრძანებით სარდალი აჰმადი დიდძალი სპით საქართველოს შემოესია. ლიახვის ხეობის მოოხრების შემდეგ აჰმადმა ორი მხედართმთავარი, ომარი და ბურული, გაგზავნა მცხეთისაკენ. მტკვრისა და არაგვის შესართავთან, სოფელ ციხედიდთან მდინარის გაღმა, სარკინეთის კლდეთა შორის მათ იხილეს “ქუაბნი გამოქნილნი”, მისი დაურბევლობა სირცხვილად და სულთნის წინაშე დანაშაულად მიიჩნიეს და გაღმა გასასვლელად მტკვარში შევიდნენ, მაგრამ მდინარის გადაღახვა ვერაფრით შეძლეს. შეცბუნებულმა სარკინოზებმა ტყვეებს ჰკითხეს: “რამე არს ქუაბთა შინა?” ტყვეებმა უპასუხეს, რომ ეს ნეტარი შიო

მღვიმელის მონასტერი იყო, სადაც ცხოვრობდნენ “კაცი მონანი ღმრთისანი”, ყოველგვარ ამქვეყნიურ შვებას მოკლებულნი.

მათი ამბის გაგონებამ უსჯულო მხედრობა დიდად გააკვირვა. სარდლებმა გადაწყვიტეს, ყოველივე აჰმადისთვის ეცნობებინათ. საღმრთო ძალისგან შემკრთალმა აჰმადმა მონასტერში ომარი გაგზავნა, ოქრო და მრავალი სახმარი ნივთი გაატანა და მონაზვნებთან დააბარა თხოვნა: “ლოცუა ჰყავთ ჩემთვის, მონანო ღმრთისანო, და ძღუენი ესე ჩემი მიიღეთ და ალუა და გუნდრუკი მიართუთ საკმევად სამარხოსა მოძღუარისა თქუენისასა”.

სარკინეთის ქვაბებს მიახლებულმა ომარმა მონაზვნებს კაცი გაუგზავნა და აცნობა, ნუ-გეშინისცემად და სამსახურად მოვდივარ და არა სავნებლად. მონასტრის ბჭესთან მისულმა მხედართმთავარმა იხილა “სიმრავლე უხორცოთა მხედართა ნათლისათა, საკვირველ მავალნი ჰაერთა ზედა და შორის მათსა კაცი მოხუცებული მონაზონი ფრიადითა ელუარებითა შესახედავისათა”. მონასტრის მკვიდრთა თავმდაბლობამ და ისეთმა მოკრძალებულმა ყოფაქცევამ, თითქოს “ანგელოსნი ბრწყინვიდეს ხორცთა შინა”, უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა ომარზე. ის მიხვდა, რომ უცხო მხედარნი უფლის ანგელოზები იყვნენ, მოხუცებული მონაზონი კი – ამ მონასტრის წინამძღვარი და მონაზვნებს უთხრა: “წმიდანო ღმრთისანო, რაღსათვის-მე მოშიშ ხართ თქუენ კაცთაგან? რამეთუ ვხედავ ჭეშმარიტად მცუელთა მონასტრისა თქუენისათა, მხედართა ნათლისათა მცუელად თქუენდა, მფრინუალეთა ჰაერთა ზედა და შორის მათსა მონაზონსა ვისმე საკვირველსა მცოვანსა წუერთა და თმითა, რომლისა ხილვისა სიკეთედ ვერ შესაძლებელ არს ჩემდა თქმად, ხოლო მრწამს, ვითარმედ მხედარნი იგი არიან ანგელოსნი ღმრთისანი და მონაზონი იგი არს მოძღუარი თქუენი”.

ეს რომ მოისმინეს, ძმებმა მადლობით აღიდეს უფალი, რომელმაც ნეტარი შიოს ღოცვით იხსნა მონასტერი უსჯულოთა დარბევისაგან. ომარმა მონაზონთა წინაშე აღთქმა დადო: “დამეკუეთოს რა ჟამი მარჯუე, მოვიდე თქუენდა და ვიქმნე ქრისტიანე და ნათელსვილო და მონაზონ ვიქმნე და თქუენ თანა დავადგრე სიკუდილადმდე ჩემდა”.

მართლაც, მან დაუტევა უღმრთოება, მამული, მთავრობა, სიმდიდრე, შიო მღვიმელის სავანეში მივიდა და ყოველადწმიდა სამების სახელით მოინათლა. მასთან ერთად ნათელ-ილო მისმა ორმა მონამ. ნათლისღების შემდეგ ომარს ნეოფიტე (ახალი ნერგი) ეწოდა, მის მეომრებს კი – ქრისტოდულოსი (ქრისტეს მონა) და ქრისტოფოროსი (ქრისტეშემოსილი). შემდგომში წმიდა ნეოფიტე მღვდელმთავრად იქნა დადგენილი ურბნისის კათედრაზე და მაზღვანთაგან მოწამეობრივი სიკვდილი მიიღო – წმიდა სტეფანე პირველმოწამის მსგავსად იგი ქვებით ჩაქოლეს. წმიდა მღვდელმოწამის უკანასკნელი სიტყვები იყო: “უფალო იესო ქრისტე, შეივედრე სული ჩემი”.

### **ადგილი იგი აღივსო სურნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალობითა**

გიორგი მერჩულის “გრიგოლ ხანძთელის ცხოვრებაში” ვკითხულობთ:

ნეტარი ბერი ხვედიოს მოხუცებული იყო ფრიად და მოახლოებულიყო ჟამი მისი მიცვალებისა. მაშინ მივიდნენ წმიდა გრიგოლი და ძმანი ბერთან, მოიკითხეს იგი და სთხოვეს კურთხევა. ხოლო მან უთხრა:

– ღმერთი მშვიდობისა, სიყვარულისა და კაცთმოყვარებისა იყოს თქვენთან მარადის. არამედ ილოცეთ ჩემთვის, წმიდანო მამანო, რამეთუ მივალ დღეს ღმრთის საშინელ საყდართან.

მამებთან ქრისტესმიერი სიყვარულით გამომშვიდობების შემდეგ “დაიძინა ნეტარმან ბერმან და ტკბილ-ყუო მას ჰრული მისი და ადგილი იგი აღივსო სურნელებითა და ანგელოზთა წმიდათა გალო-



ბითა, რომელთა წარიყვანეს იგი სიხარულით წინაშე ქრისტესა”. მამა გრიგოლმა და ძმებმა პატივით დაკრძალეს მისი ძლევიტ შემოსილი გვამი.

### **“მიხედე ბერთას ზედა და იხილე დიდებული ხილვა!”**

ღირსი მამა მატოის მიცვალებისას ნეტარ დედა ანატოლე დაყუდებულს ჰქონდა ხილვა. მასთან მივიდა ბრწყინვალედ შემკობილი კაცი და უთხრა მას: “დიდი მატოი მიცვალების წინაშე ღმრთისა, არამედ შემომიდეგ მე, რადთა ღირს იქმნე ხილვად დიდებით მიცვალებასა მისსა ამიერ სოფლით ზეცისა სასუფეველსა”. ამ კაცმა ნეტარი დედა მიიყვანა ბერთის მახლობლად მდებარე ბორცვთან და უთხრა მას: “მიხედე ბერთას ზედა და იხილე დიდებული ხილვა!” “და მე ვხედვედ სვეტსა ნათლისასა, – ჰყვებოდა ანატოლე, – რომელი შთამოიწეოდა ზეცით ზედა მონასტერსა მას, და სიმრავლე წმიდათა ანგელოზთა სვეტსა მას თანა გარდამომავალი, და ერთი ვინმე დიაკონისსახედ ოღართა მათ თანა, რომელნი უგალობდეს ღმერთსა ბრწყინვალითა ხმითა. და კვალად ვიხილე კრებული იგი წმიდათა ანგელოზთა, ეგრეთვე სახედ აღმავალი ზეცად და საშუალ მათსა წმიდად მატოდ ხელპყრობით აღჰყვანდა ნათლითა შემკობილთა მათ უხორცოთა დიდებითა გამოუთქმელითა, გალობით მაღალთა შინა”.

### **...სიხარულით წავიდნენ შინ და ადიდებდნენ ღმერთს**

ერთხელ ეკლესიისგან განკვეთილმა ანჩის ეპისკოპოსმა, ღირსი გრიგოლ ხანძთელისადმი შურისძიების სურვილით აღძრულმა, შეკრიბა ანჩის მკვიდრნი და წარგზავნა ხანძთის დასანგრევად. ისინი გამთენიისას მივიდნენ ხანძთაში. უთხრა მათ მამა გრიგოლმა:

– შეიღებო, მოგვეცით დრო მე და ჩემს ძმებს შეადღემდე, რათა წმიდა ეკლესიაში აღვეუვლინოთ ვედრება ქრისტეს და შევიწიოთ წმიდა გიორგი და ყველა წმიდანი. “და ყოს უფალმან სასწაულ კეთილ”.

და მართლაც, შეისმინა უფალმან ცრემლით ვედრება მათი და წმიდა ანგელოზის მიერ აუწყა: “სადმრთოდ შურისგებად ეწია ბოროტსა მას მტერსა თქვენსა. და, აჰა, მოიწიოს ქადაგი, ვითარმედ: მოკვდა იგი, დაღაცათუ ორ დღე ცოცხალ ამისთვის არს, რადთა ვერ ღირს იქმნეს დამარხვად საყდარსა საეპისკოპოსოსა და ყოველთა ჰრწმენეს განკვეთად მისი, ხოლო გული მისი აწვე მომკვდარ არს”.

და რაჟამს ესმა ანგელოზისაგან სასიხარულო ამბავი ანგელოზთა სწორ მამებს, ფრიად გაიხარეს და დიდება შეწირეს საკვირველმოქმედ ღმერთს. მაშინ გამოვიდა ეკლესიიდან მხიარული ნეტარი გრიგოლი და უთხრა მათ:

– ნულარ გეშინიათ თქვენი მომავლინებელის ძაღალობისა, რადგან უფალმან რისხვით მოკლა იგი.

ამ დროს მოიწია მაცნე და აუწყა მათ:

– ნულარ იკადრებთ დიდებული ხანძთის დანგრევას, რამეთუ მისი დამანგრეველი მოკვდა!

მაშინ გაიხარა ანჩის ერმა. და მამათაგან გამასპინძლების შემდეგ სიხარულით წავიდნენ შინ და ადიდებდნენ ღმერთს.

## **“აწ მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებელად”**

როდესაც დადგა ჟამი ღირსი გრიგოლ ხანძთელის მიცვალებისა, როგორც ყოველდღშია ღმრთისმშობლის მიძინებისას მოიწია წმიდა მოციქულთა გუნდი ქვეყნის კიდეთაგან, ამის მსგავსად შემოიკრიბნენ წმიდა მამანი ნეტარი მოხუცებულის პატივსაცემად და მისგან კურთხევის მისაღებად. ხოლო იგი სიხარულით აღიესო მათი ხილვით და ქრისტესმიერი კურთხევით აკურთხა ყველანი. და აი, მათთან გამომშვიდობებისას “ნათლითა მიუწოდომელითა შეიმკო შვენიერად ხილვად მისი ბრწყინვალედ ქრისტეს მიერ. რამეთუ ბანაკი ანგელოზთა უფლისათა გარემოადა მას და პატიოსანთა საკმეველთა სულნელებამან აღავსო ყოველი იგი ერი კრებული მამათად”. და რამეთუ ნეტარი გრიგოლის მართალ სულს ჩვეულებად ჰქონდა ზეცის წმიდა მთავრობათა ხილვა, ახლა მათგანვე ესმა სიხარულის ხმა:

– “ნუ გეშინინ მოსლვად ჩვენ თანა, მსახურო ქრისტესო სანატრელო, რამეთუ ქვეყანისა ანგელოზსა და ზეცისა კაცსა გიწვეს მეუფედ ცათად ქრისტე. აწ მოვედ სიხარულით და უფლისა შენისა თანა იხარებდ დაუსრულებელად, რამეთუ ნეტარ ხარ შენ შორის კაცთა, ნეტარსა მას დიდებასა და მკვიდრებად განმზადებული და მხიარული საუკუნოდ”.

ეს სიტყვანი ესმოდა მის რამდენიმე მოწაფეს, დიდებული ხილვა კი ყველამ იხილა.

მაშინ ღირსმა გრიგოლმა გაიხარა უძლეველი სიხარულით, ჯვარი დაწერა თავის მონასტერს და ძმანი თვისნი აკურთხა საუკუნო კურთხევით ყველა ქრისტეს მორწმუნესთან ერთად. და სიტყვებით: “...მე, მონად შენი, მაცხოვრე სასუფეველსა შენსა და წყალობით მომიხსენე სუფევითა შენითა!” შეჰკვიდრა სული უფალს და შეუერთდა ანგელოზთა კრებულს.

## **მაშინ ორივემ ცრემლით მადლობა შესწირეს ღმერთს**

ღირსი გიორგი მთაწმინდელის დედას ერთხელ ღამით ძილში ეჩვენა “ბრწყინვალე ვინმე და დიდებული”, რომელმაც უთხრა: “აჰა ესერა, ჰმევე ყრმაა წული, ვერძი რჩეული ღმრთისაჲ. შეწირე იგი მისსა, რომლისადა აღვითქვამს, და სახელი უწოდე მას გიორგი”. გაიღვიძა დედაკაცმა და შიშითა და სიხარულით უამბო ქმარს ხილვის შესახებ. მაშინ ორივემ ცრემლით მადლობა შესწირეს ღმერთს და მოელოდნენ საღმრთო აღთქმის აღსრულებას.

## **ძალმან საღმრთომან განაჩინა მშვიდობით**

მემატიანეთა გადმოცემით წმიდა მეფე დავით აღმაშენებელს მკერდზე მთავარანგელოზ მიქაელის ხატი ეკიდა, რომელზეც ეწერა: “ღმერთო, ყოვლისა დამბადებელო, ადიდე შენ მიერ გვირგვინოსანი დავით, აფხაზთა და ქართველთა, ჰერთა და კახთა მეფე, მზე ქრისტეანობისა. ამინ”. ერთხელ მეფე ქართლში ციხე-სიმაგრის ასაღებად იბრძოდა. შუადღისას იგი თავისი კარვის კართან იდგა მხოლოდ პერანგით მოსილი, როდესაც ციხიდან მტერმა ისარი სტყორცნა და “ჰკრა ხატსა მთავარანგელოზისასა, რომელი ეკიდა ყელსა, ოქროსა, მცირე, და ძალმან საღმრთომან განაჩინა მშვიდობით”.

## **ჟამსა მას იყო ხატი მთავარანგელოზის მიქაელისა თავსა თამარისასა მკიდარე**

წმიდა თამარის მეფობაში საქართველოს მოადგა რუმის სულთანი რუქნადინი 400000-იანი ლაშქრით. თამარმა მთელი სასოება ზეციურ შეწვევაზე დაამყარა და ქართველთა მხედრობას ფეხ-

შიშველი წარუძღვა ვარძიისკენ, რათა ვარძიის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის ხატისათვის შეევედრებინა დავით სოსლანი და სპა მისი. ბასიანის ბრძოლის წინ კვლავ მუხლმოდრეკილმა ცრემლებით მლოცველმა შეავედრა ლაშქარი უფალს.

“მერმე მოიყვანნა წინაშე თვისსა ყოველნი წარჩინებულნი და უბრძანა ერისთავთა, რათა თვითეული მათი მოვიდოდის წინაშე წმიდასა ჯვარსა და თაყვანისცემდენ და შეემთხვეოდინან. და იწყეს მოსლვად ყოველთა და ტირილით ვედრებად და თაყვანისცემად პატიოსნისა ჯვარისა და ამბორის ყოფად და ეგრეთვე შეემთხვევად ხელსა თამარისსა. რამეთუ ერთითა ხელითა თვით მას ეპყრა ძელი ჯვარისა, ხოლო ერთითა – ეზოსმოდვარსა ბასილის და ჯვარისმტვირთველსა”.

ჯვრის თაყვანისცემის შემდეგ თამარმა “თვით მიიქვა პატიოსანი იგი ჯვარი ხელითა თვისითა და ამხედრებულთა ზედა ყოველსა მხარსა ნიში ჯვარისა გამოსახა სამგზის, დაულოცა, და ეგრეთ წარემართნეს მინდობილნი ღმრთისანი და თამარის ცრემლთანი”.

სასტიკი ომი გაიმართა ბასიანთან. იმდენად დიდი იყო სულთნის ლაშქარი, რომ დარაჯიც არ დაუყენებიათ. მიუხედავად სიმცირისა, თამარის ლაშქარმა მხნედ მიიტანა იერიში და “წყალობა-ყო ღმერთმან ერსა თვისსა ზედა მეოხებითა ყოვლად წმიდა ღმრთისმშობელისათა და შეწევითა ცხოველსმყოფელისა ჯვარისათა” – მხნედ მომავალი ქართველების დანახვისას სპარსელებმა “დააგდეს სადგომი მათი და სიმაგრეთა მიმართეს, რამეთუ მიაველინა მათ ზედა ღმერთმან შიში დიდი”.

პირველი შეტაკებისთანავე “მოხელა წყალობააურაცხელმან ღმერთმან მოსავთა ჯვარისათა და განადიდა დიდება დავითისი და თამარისი ვარძიისა ღმრთისმშობელმან”. ისე დაიფანტა ურიცხვი მტერი, რომ სადაც “თვალი მისწვთებოდა, ყოველგან ტყეთა მსგავსი ლაშქარი იხილვებოდა ლტოლვილად”.

უამრავი ოქრო-ვერცხლი და ტყვე იგდეს ხელთ ქართველებმა და “ესრეთ ძღვევაშემოსილნი, მადიდებელნი ღმრთისანი” დაბრუნდნენ კარვებში. “ესრეთ ადიდებს ღმერთი მადიდებელთა თვისთა, ესრეთ აღამაღლებს წინაშე თვისსა მდაბალთა, ესრეთ შემწვე არს მოსავთა მისთა, ესევეითართა ნიჭთა მიანიჭებს მინდობილთა თვისთა”.

ბრძოლის შემდგომ თამარ მეფეს მიჰგვარეს სულთნის ერთ-ერთი დიდებული. უეცრად იგი ძირს დაეცა ენაჩავარდნილი და “იღვლარჭნოდა, ვითარცა გუელი”. გაიყვანეს გარეთ, მოასულიერეს და ჰკითხეს, რა დაგემართათ. ხოლო მან თქვა: “რომელი არს თავსა ზედა თამარისსა, მან ჰყო ძღვევა ესე ჩუენ ზედა და აწცა შევშინდი მის მიერ...”

“ხოლო ჟამსა მას იყო ხატი მთავარანგელოზის მიქაელისა თავსა თამარისსა მკიდარე”.

### **“უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღეს თავის ზეციურ სავანეში მოგიწოდებთ ყველას”**

1615 წელს სპარსეთის შაჰი აბას I დიდძალი ლაშქრით თავს დაესხა საქართველოს და ცეცხლს მისცა იგი. როდესაც დაიოკა ქრისტიანთა სისხლის წყურვილი, იგი სანადიროდ გაემართა გარე კახეთის ველებში. გარეჯის მთებში მას შემოადამდა და იქვე დაიბანაკა თავის ჯართან ერთად.

შუალამე იყო. შაჰს ჯერ კიდევ არ ეძინა. უეცრად მის კარავში შემოაღწია სუსტმა ნათებამ. გარეთ გამოსულ შაჰს საკვირველი რამ წარმოუდგა თვალწინ: შორს, მთაზე მოძრაობდა ცეცხლოვანი მწკრივი – გარეჯელ მამებს ჩვეულებად ჰქონდათ, ქრისტეს აღდგომის დამეს შეკრებილიყვნენ და ერთად აღენიშნათ ეს დიდებული დღესასწაული. ისინი ლიტანიობით გარს უვლიდნენ ტაძარს და გალობდნენ ყოველი სულისათვის სასიხარულო საგალობელს: “ქრისტე აღდგა მკვდრეთით...” განრისხებულმა შაჰმა მაშინვე გაგზავნა მეომართა რაზმი ბერ-მონაზონთა დასახოცად.

იმავე დამეს უფლის ანგელოზი გამოეცხადა დავით გარეჯის ლავრის წინამძღვარს, არსენის და აუწყა: “უფალი ჩვენი იესო ქრისტე დღეს თავის ზეციურ სავანეში მოგიწოდებთ ყველას. ამ

ღამით თქვენ დიდი გამოცდა გელით – მახვილით მოისრებით. ვისაც სურს დაზოგოს თავისი დროებითი სიცოცხლე, დაე გაიქცეს ან დაიმალოს, ხოლო ვისაც სწყურია, იხსნას სული თვისი მარადისობისათვის, მახვილით მოწყდება და უფლის მიერ უხრწნელი გვირგვინით შეიმკობა. გამოუცხადე ღმრთის მოწოდება სავანეში შეკრებილ ყველა ბერ-მონაზონს”. ამის შემდეგ ანგელოზი გაუჩინარდა.

მოწამეობრივი ღვაწლისათვის განმზადებულმა გარეჯელმა მამებმა აღასრულეს სადღესასწაულო ლიტურგია უფლის ბრწყინვალე აღდგომის სადიდებლად და ქრისტეს უხრწნელ ხორცსა და სისხლს ნაზიარებნი უშიშრად წარდგნენ სპარსელების წინაშე. იმ ღამით ექვსი ათასი ბერ-მონაზონის სული შეუერთდა ზეცაში წმიდა მოწამეთა დასს. სამი დღის მანძილზე აღმართული იყო მათ პატიოსან სხეულებზე ზეციდან გარდამოსული სამი ნათლის სვეტი, ჰაერში კი ექვსი ათასი მეწამული გვირგვინი ლივლივებდა და გარეჯის უდაბნოს ენით გამოუთქმელი კეთილსურნელება ეფინებოდა.

### **“გიორგი, რატომ ხარ აქ? რა გესაქმება ქალაქში?! შენი ადგილი მონასტერშია!”**

XX საუკუნეში ბეთანიის მონასტერში მოღვაწე ღირსი მამის, გიორგი მხეიძის ცხოვრებიდან ცნობილია შემდეგი შემთხვევა: აღსასრულამდე მცირე ხნით ადრე მამა გიორგი ავადმყოფობის მიზეზით იმყოფებოდა ქალაქში ძმასთან და აი... მას უფლის წმიდა ანგელოზი გამოეცხადა და უთხრა: “გიორგი, რატომ ხარ აქ? რა გესაქმება ქალაქში?! შენი ადგილი მონასტერშია!” “უფალო, შენ უწყი, თუ როგორი სნეული ვარ!” – უთქვამს ბერს. “არა, გიორგი, – მიუგია ანგელოზს, – შენ მონასტერში უნდა იყო!” მაშინ მამა გიორგი სასწრაფოდ გამზადებულა და ახლობელთა დაჟინებული წინააღმდეგობის მიუხედავად ასე, მძიმედ ავადმყოფი დაბრუნებულა მონასტერში, სადაც რამდენიმე დღეში გარდაიცვალა.

### **მან შეიცნო ხატებზე მთავარანგელოზების – მიქაელის და გაბრიელის სახეები**

ბათუმის ყოვლადწმიდა ღმრთისმშობლის შობის საკათედრო ტაძარში მოღვაწე დეკანოზი სერაფიმე (ბერიძე) ნაამბობი: “ჩემი ძმა, აწ განსვენებული დიაკვანი სევერიანე, რომელსაც ნათლობამდე ხასანი ერქვა, სანამ ქრისტიანულ რწმენაში მოვიდოდა, ისლამის მიმდევარი იყო, დადიოდა ჯამეში და მუსლიმანურ რიტუალებს ასრულებდა; ამავე დროს ხასანი კომუნისტი იყო და ქედის რაიონის ზესთასოფლის კოლმეურნეობის თავმჯდომარე. როგორც ხედავთ, სრული შეუსაბამობაა, ამგვარი მაგალითები კი იმ დროს ხშირი იყო. მისი გადმოცემით, მას ბათუმის წმიდა ნიკოლოზის ტაძართან ორი მშვენიერი გარეგნობის ახალგაზრდა გამოეცხადა, რომლებმაც იგი ტაძარში შეიყვანეს, სადაც ჩემმა ძმამ თვითონვე სთხოვა მოძღვარს, რომ მოენათლათ. ნათლობა შედგა. ეს იყო 1961 წელს. ნათლობა შეასრულა ამჟამინდელმა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა, უწმიდესმა და უნეტარესმა ილია მეორემ, რომელიც მაშინ ამ ტაძრის წინამძღვარი იყო. ნათლობის გადაწყვეტისთანავე ის ორი ახალგაზრდა, რომლებმაც იგი ეკლესიაში შეიყვანეს, გაუჩინარდნენ; და როცა ხასანმა იკითხა მათ შესახებ, მოძღვრებმა განუმარტეს, რომ მას ეკლესიაში არავინ შეჰყვოლია. ამის შემდეგ, ცხადია, ხასანი დაინტერესდა – ყოველივე ეს მოჩვენება იყო თუ ცხადი. დროთა განმავლობაში, როცა იგი უკვე ეკლესიური გახდა, მან შეიცნო ხატებზე მთავარანგელოზების – მიქაელის და გაბრიელის სახეები, რომლებმაც იგი ეკლესიაში მიიყვანეს. მართლაც, სასწაული მოხდა: მის მიერ ჩაქვეში აგებულ იქნა ეკლესია მთავარანგელოზ მიქაელის სახელზე. შემდგომში იგი დიაკვნად ეკურთხა და ამ ხარისხში მყოფი წარდგა ღმრთის წინაშე. მამა სევერიანი ძალიან ღმრთისმოშიში და სათნო ადამიანი იყო და ბევრი განსაცდელი და შევიწროება გადაიტანა რწმენის გამო. მისი ღოცვით, ქადაგებითა და ღვაწლით ოჯახის ყველა წევრი გაქრისტიანდა და მოინათლა...”

ანგელოზთა სამყარო და ცხრა დასი ანგელოზთა

“რომელმან შექმნა ანგელოზნი მისნი სულად და მსახურნი მისნი – ალად ცეცხლისა” (ფს. 103,4)

მთავარანგელოზები

“ზეცისა მხედრობათა მთავარანგელოზნო, გვედრებით ჩვენ უღირსნი ესე, რათა მეოხებითა თქვენითა შემზღუნეთ ჩვენ საფარველითა ფრთეთა თქვენთათა და უხორციოსა მის დიდებისა თქვენისა მიერ დაცულნი, შეგივრდებით და ხელადაყრობით გიდადადებთ: დეღვათა და განსაცდელთაგან გვიხსნენით ჩვენ დიდნო მთავარნო ზეცისა ძალთანო” (მთავარანგელოზთა ტროპარი)

წმიდა მთავარანგელოზი მიქაელი და მისი სასწაულები

“გიხაროდენ, მიქაელ, დიდო მთავარო ყოველთა ზეცისა ძალთაო!

გიხაროდენ, რომლისა ბრძანებათა სტიქიონნი დაემორჩილებიან!

გიხაროდენ, ურწმუნოთა სიმართლისა და ჭეშმარიტების გზათა ზედა მომყვანებელო!

გიხაროდენ, რომლისა მიერ ყოველნი ბოროტნი განზრახვანი შეიმუხრებიან!”

(მთავარანგელოზ მიქაელის დაუჯდომელი)

წმიდა მთავარანგელოზი გაბრიელი

“და თუესა მექუსესა მოივლინა გაბრიელ ანგელოზი ღმრთისა მიერ ქალაქად გალილეასა, რომლისა სახელი ნაზარეთ, ქალწულისა... და სახელი ქალწულისაჲ მის მარიამ” (ლუკ. 1,26)

მფარველი ანგელოზი

“ანგელოზი მშვიდობისა, სარწმუნო წინამძღვარი, მცველი სულთა და ხორცთა ჩვენთა უფლისა მიმართ ვითხოვოთ” (სადმრთო ლიტურგია)

ანგელოზები ზრუნავენ ღმრთისმოშიშ ადამიანებზე და იცავენ მათ საფრთხისგან

“დაიბანაკებს ანგელოზი უფლისაჲ გარემოჲს მოშიშთა მისთა და იხსნეს იგინი” (ფს. 33,7)

ანგელოზები განამტკიცებენ წმიდა მოწამეებს მოწამეობრივ დეაწლში

“ანგელოზთა მისთადა უბრძანებიეს შენტვის დაცვად შენდა ყოველთა შინა გზათა შენთა” (ფს. 90,11)

ანგელოზები განსაკუთრებულ მონაწილეობას იღებენ ადამიანის სულის ცხონებაში

“ხელთა მათთა ზედა აღვიპყრან შენ, ნუსადა წარსცე ქვასა ფერხი შენი” (ფს. 90,12)

ანგელოზები განუცხადებენ ადამიანებს სადმრთო სიმართლეს და განუმარტავენ ხილვებს

“წმიდაჰყავ გონებაჲ ჩემი, ნეტარო, და განმანათლე მე, გვედრები შენ, წმიდაო ანგელოსო, და ცნობა ჩემი ყოველადვე უმჯობესისა მიმართ წარმართე” (გალობანი მფარველი ანგელოზისა მიმართ)

ანგელოზები ადამიანის გვერდით არიან მისი სიკვდილის ჟამს

“ზეცისა ძალთა ერის მთავარნო, საფარველითა ფრთეთა თქვენთათა შემზღუნენ, მვედრებელნი ესე თქვენნი, და განსლვასა ამის სულისა ჩვენისა მისხსნენით ბნელთა ჰაერის მცველთა ხელისაგან” (ჟამნი)

ანგელოზები უგალობენ ზეცაში უფალს და მონაწილეობენ ეკლესიის ღმრთისმსახურებაში  
“...და განსუენებად არა აქუს დღე და ღამე, არამედ იტყვიან: წმიდა არს, წმიდა არს, წმიდა არს  
უფალი ღმერთი, ყოვლისა მპყრობელი” (გამოცხ. 4,8)

ანგელოზთა სასწაულები უკანასკნელ საუკუნეებში  
“...შემზღუდენ ჩვენ ანგელოზთა შენთა მიერ, რადთა დაბანაკებითა მათითა დაცულნი და  
ძღვანებულნი მივიწივნეთ ერთობასა სარწმუნოებისასა და მეცნიერებასა უხილავისა ღიღებისა  
შენისასა” (ჟამნი)

საქართველოსთან დაკავშირებული ანგელოზებთა გამოცხადებანი და სასწაულები  
როდესაც ღმრთისმშობელმა დააპირა ივერიისკენ გამომგზავრება, ანგელოზი გამოეცხადა მას და  
უთხრა: “ნუ განეშორები იერუსალიმს; წილ-ხლომილი შენი ქვეყანა განათლდების მომავალში, შენი  
მეფეება განემტკიცების იქ” (საეკლესიო გადმოცემა)

### გამოყენებული ლიტერატურა:

- გაზეთი “მრევლი” N 19, 29, 52, 53  
“საქართველოს სამოთხე”, გობრონ საბინინი, 1882 წ.  
“წმიდანთა ცხოვრება” I-XII ტ. წმ. დიმიტრი როსტოველის რედაქციით, 1997 წ.  
“წმიდანთა ცხოვრება”, I-IV ტ., თბილისი, 2001 წ.  
“ზეციური საფარველი ათონზე”, მოსკოვი, 1902 წ.  
“მართლმადიდებლური სასწაულები XX საუკუნეში”, წიგნი I, 1993 წ.; წიგნი III, მოსკოვი, 2001 წ.  
“აღსარების საიდუმლოსა და ცოდვებისათვის”, არქიმანდრიტი ლაზარე, თბილისი, 1999 წ.  
“მთაწმინდელი მამები და მთაწმინდური ისტორიები”, ბერი პაისი. ტროიცე-სერგის ლავრა, 2001 წ.  
“ცხოვრება მეფეთა”, ლეონტი მროველი, ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი, 1987 წ.  
“სულიერი რეცეპტები”, კიევი, 1869 წ.  
“საკვირველი ბერი თეოდოსი”, მოსკოვი, 2001 წ.  
“მართლმადიდებლური სანკტ-პეტერბურგი”, N 2, 2003 წ.  
“როცა სხვისი ტკივილი ხდება შენი – სქემონაზონ პაისი ათონელის ცხოვრება და დარიგებები”,  
მოსკოვი, 2000 წ.  
“გიორგი მთაწმინდელის ცხოვრება”, გიორგი მცირე, ქართული მწერლობა, ტომი II, თბილისი, 1987  
წ.  
“გრიგოლ ხანძთელის ცხოვრება”, გიორგი მერჩულე, ქართული მწერლობა, ტომი I, თბილისი,  
1987 წ.  
“ღირსი დავით გარეჯელი და მისი წმიდა ლავრა”, მოსკოვი, 1996 წ.  
“ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი”, უცნობი ავტორი, ქართული მწერლობა, ტომი II, თბილისი,  
1987 წ.  
“ცხოვრება მეფეთ-მეფისა თამარისი”, ბასილი ეზოსმოდვარი, ქართული მწერლობა, ტომი III,  
თბილისი, 1988 წ.  
“ბეთანიის მონასტერი”, არქიმანდრიტი ლაზარე, 1994 წ.  
“გზა ტაძრისაკენ”, ბათუმისა და სხალთის ეპარქია, 1999 წ. N1